ჯუმბერ
პატიაშვილი

სახელოვანი გზა

საქართველოს კპ ცკ-ის
გამომცემლობა
თბილისი 1971

3 К С Т (С 41)
3 ა კ 1 (47. 922)
ბ 214

წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება საქართველოს კომკავშირის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს. მისი მიზანია საზოგადოებრიობას გააცნოს საქართველოს კომკავშირის გმირული წარსული, ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდობის წარმატებანი სწავლასა და შრომაში, სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ყველა უბანზე.

საქართველოს კომკავშირი ზეიმობს თავისი არსებობის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს — პარტიისა და მშობელი ხალხის საქმისადმი რესპუბლიკის ახალგაზრდობის თავდადებისა და შრომითი მამაცობის 50-ე წლისთავს.

სოციალისტური სამშობლოს გმირულ მატიანეში საამაყო ფურცლები ჩასწერეს ქართველმა ჭაბუკებმა და ქალიშვილებმა. ისინი მუდამ წინა რიგებში იყვნენ, იჩენდნენ და იჩენენ ინიციატივას, მიზანსწრაფულობასა და დაკისრებული მოვალეობისადმი უდიდეს პასუხისმგებლობას.

საქართველოს კომკავშირის განვლილი გზა უშუალოდ დაკავშირებულია ქართველი მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და მშრომელი ინტელიგენციის სასახელო მიღწევებთან სოციალისტურ და კომუნისტურ მშენებლობაში. რესპუბლიკის კომკავშირმა უდიდესი როლი შეასრულა მენშევიკური მთავრობის განდევნასა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებაში. ახალგაზრდობა მუდამ მხარში ედგა უფროს თაობას რევოლუციური მონაპოვრების დაცვისა და განმტკიცების საქმეში.

ჩვენი ახალგაზრდობის გმირული შემართება თვალსაჩინოდ გამოვლინდა ზაჰესისა და რიონჰესის აგების, კოლხეთის ჭაობიანი ველმინდვრების ამოშრობის, ინდუსტრიული ქალაქ რუსთავის, თბილისის მეტროპოლიტენისა და თავისი მასშტაბებით უდიდესი ენგურჰესის მშენებლობაზე.

რესპუბლიკის კომკავშირის რიგებში აღიზარდა და გამოიწრთო ჩვენი სამშობლოს ახალგაზრდა პატრიოტთა მრავალი თაობა. კომკავშირმა ჩაუნერგა მათ მტკიცე ნებისყოფა, ბრძოლისუნარიანობა და კომუნიზმის საქმისადმი უსაზღვრო ერთგულება.

ჩვენი ახალგაზრდობა ვერასოდეს დაივიწყებს იმ ადამიანთა სახელებს, ვინც მთელი თავისი ძალა, ნიჭი და ენერგია ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის შექმნის დიდ საქმეს მოახმარა, შეუპოვრად იბრძოდა მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრების ერთგულებისა და პროლეტარიატის საქმისადმი თავდადების სულისკვეთებით; ვინც სამოქალაქო ომის ფრონტებზე მკერდით იცავდა ოქტომბრის დიად

მონაპოვარს, მიდიოდა ყველაზე ძნელ უბნებზე და მედგრად ილაშქრებდა კულაკობისა და კერძო მესაკუთრეობის წინააღმდეგ; ვინც წყვეტდა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის ურთულეს პრობლემებს, ხელს უწყობდა კულტურული რევოლუციის გამარჯვებას და საკუთარი სისხლისა და სიცოცხლის ფასად იცავდა ხალხის კეთილდღეობას.

ქართველი ახალგაზრდობის პატრიოტული სულისკვეთება ნათლად გამომჟღავნდა დიდი სამამულო ომის წლებში. საქართველოდან მამულის დამცველთა რიგებში ჩადგა 700 ათასი კაცი, მათ შორის ნახევარ მილიონამდე კომკავშირელი და ახალგაზრდა. ბევრი მათგანის გმირობა მთავრობის მაღალი ჯილდოებით აღინიშნა, საქართველოს კომკავშირის ასზე მეტ წარმომადგენელს კი საბჭოთა კავშირის გმირის საპატიო წოდება მიენიჭა.

საკმარისია დავასახელოთ შოთა გამცემლიძე და ჭიჭიკო ბეხდელიანი, ზოია რუხაძე და თინა იოსებიძე, გრიგოლ სხულუხია და ისრაფილ ჯინჭარაძე, ვახტანგ ლეჟავა, ფორე მოსულიშვილი... და თვალწინ წარმოგვიდგება ვერაგი მტრის წინააღმდეგ საქართველოს შვილების გმირული ბრძოლის სურათები, ის მამაცური თავდადება სამშობლოსათვის, რაც კომკავშირის აღზრდილებს ახასიათებთ.

რესპუბლიკის კომკავშირის ნახევარსაუკუნოვან იუბილეზე სიამაყითა და დიდი მადლიერების გრძნობით ვიგონებთ სოციალიზმის მონაპოვრების გმირ დამცველებს. ომში გმირულად დაცემულთა ნათელ ხსოვნას საქართველოს კომკავშირი სათუთად ინახავს, რადგან ისინი მომავალი თაობების ბედნიერებისათვის იბრძოდნენ.

საბჭოთა ხალხის ძლევამოსილი გამარჯვების შემდეგ საქართველოს კომკავშირელებმა და ახალგაზრდებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს ომის შემდგომ ხუთწლედებში, მრავალდარგოვანი სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების საქმეში, კულტურული ცხოვრების აღორძინებასა და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში. რესპუბლიკის კომკავშირის წარგზავნილებმა თავი ისახელეს ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებაში, საკავშირო დამკვრელურ-კომკავშირულ მშენებლობებზე.

კომუნიზმის მშენებელი მოზარდი თაობისათვის კომკავშირი მუდამ იყო და არის ის ჭეშმარიტი სკოლა, სადაც ახალგაზრდობა იმაღლებს იდეურ-პოლიტიკური ცოდნის დონეს, სწავლობს შეუპოვრობას, სიახლისადმი სწრაფვას და იძენს საუკეთესო მოქალაქე-

ობრივ თვისებებს. კომკავშირმა შეაკავშირა ახალგაზრდობის მასები ლენინიზმის იდეურ და ორგანიზაციულ პრინციპებზე და უზრუნველყო პარტიის ხელმძღვანელობით ჭაბუკებისა და ქალიშვილების აქტიური მონაწილეობა რევოლუციურ ბრძოლებში, წარმართა მათი ენთუზიაზმი სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე.

საქართველოს კომკავშირის მიერ განვლილი ორმოცდაათი წელი არის სახელოვანი გზა, დაწყებული პირველი ახალგაზრდული კავშირების შექმნიდან დღევანდელ დამკვრელურ-კომკავშირულ მშენებლობებამდე.

/ დღევანდელი ახალგაზრდობა ბედნიერია, რომ მის წინაშეა პარტიისა და საბჭოთა ხალხის სასახელო რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციები. ამ ტრადიციების შესწავლა და განზოგადება ყოველთვის ამდიდრებდა კომკავშირულ მუშაობას, ეხმარებოდა და სტიმულს აძლევდა ახალგაზრდობას წარმატებათა მოპოვებაში.

ასე არის ახლაც. ჩვენი მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის სასახელო ტრადიციებს ღირსეულად აგრძელებს და თავდადებული შრომით ამდიდრებს საქართველოს ახალგაზრდობა. ფაბრიკა-ქარხნებში, საკოლმეურნეო მინდვრებზე, მშენებლობებსა და ტრანსპორტზე, კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში მუყაითად ირჯება ათეულ ათასობით ჭაბუკი და ქალიშვილი, კომკავშირი შეფობას უწევს უმნიშვნელოვანეს საწარმოებს, მშენებლობებს, სასწავლო დაწესებულებებს, კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტებს. ახალგაზრდობა თავდადებული შრომით ყველგან პრაქტიკულად ამტკიცებს უფროს თაობათა ძვირფასი ტრადიციებისადმი ერთგულებას.

რესპუბლიკის პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებაში შემოქმედებითმა მონაწილეობამ საქართველოს კომკავშირს ჩვენი ხალხის ღრმა პატივისცემა მოუხვეჭა.

სასიხარულოა, რომ საკავშირო ლენინური კომკავშირის ერთ-ერთი უძველესი მებრძოლი რაზმის — საქართველოს კომკავშირის ნახევარსაუკუნოვანი იუბილე დაემთხვა იმ ისტორიულ წელს, როცა ჩატარდა სკკპ XXIV ყრილობა, როცა ჩვენმა ხალხმა დიდი აღმავლობით აღნიშნა საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 50-ე წლისთავი.

სიჭაბუკის ეს დღესასწაული თანაბრად ეკუთვნის კომკავშირელთა ყველა თაობის წარმომადგენელს — მათ, ვინც საფუძველი ჩაუყარა საქართველოს ახალგაზრდობის კომუნისტურ კავშირს, ვინც იბრძოდა რევოლუციური მონაპოვრების განმტკიცებისათვის და აშდიდრებდა საქართველოს კომკავშირის ტრადიციებს და მათ, ვისაც წილად ხვდა თავისი გამრჯე მარჯვენით სასახელო ფურცელი ჩაწეროს რესპუბლიკის კომკავშირის გმირულ მატიანეში.

* * *

საქართველოს კომკავშირს საფუძველი იმ უაღრესად მძიმე პირობებში ჩაეყარა, როცა რევოლუციური მუშათა კლასი ახალ ძალებს იკრებდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის.

უფრო ადრე, 900-იანი წლებიდან ბოლშევიკების ხელმძღვანელობით საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შექმნილი ახალგაზრდობის ორგანიზაციები, მოსწავლე-ახალგაზრდობის კომიტეტები და მარქსისტული წრეები სცემდნენ ხელნაწერ ჟურნალებს, ავრცელებდნენ პროკლამაციებს და აწყობდნენ გაფიცვებს, რითაც ხელს უწყობდნენ ახალგაზრდობაში კლასობრივი თვითშეგნების განმტკიცებას, მათ მიერ მარქსისტული მოძღვრების დაუფლებას.

ცარიზმის სისასტიკე და ჩამორჩენილობა ახალგაზრდობას სულს უხუთავდა და იგი სულ უფრო ხშირად მიმართავდა თავისი უფლებებისათვის ბრძოლას.

ვ. ი. ლენინი მუდამ იყო რევოლუციური ახალგაზრდობის იდეური მასწავლებელი და მეგობარი. რევოლუციურ ბრძოლებში ახალგაზრდობის ჩაბმას და დარაზმვას დიდი ბელადი ყოველთვის თვლიდა პარტიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად. პარტიის ძირითადი საპროგრამო დებულებების ჩამოყალიბების, რეაქციის წლებსა და რევოლუციური აღმავლობის პერიოდში ბრძოლის ტაქტიკური გეგმის შედგენისას ვ. ი. ლენინი ყოველთვის ხაზგასმით მიუთითებდა მუშა და სტუდენტ ახალგაზრდობაზე პარტიის იდეური გავლენის, რევოლუციურ მოძრაობაში მათი ჩაბმისა და სოციალისტურ მშენებლობაში ფართო მონაწილეობის შესახებ.

ვ. ი. ლენინი წერდა: „საჭიროა ახალგაზრდა ძალები... საჭიროა, მხოლოდ უფრო ფართოდ და გაბედულად, უფრო გაბედულად და ფართოდ, ერთხელ კიდევ უფრო ფართოდ და გაბედულად მოვი-

ზიდოთ ახალგაზრდობა, არ შეგვეშინდეს მისი, ომიანობის დროა, ახლა ახალგაზრდობა გადაწყვეტს მთელი ბრძოლის ბედს“.

ახალგაზრდობა პარტიის მზრუნველობით ვაჟკაცდებოდა და იძენდა რევოლუციის საქმისათვის თავდადებული მებრძოლის საუკეთესო თვისებებს, იბრძოდა თავდაუზოგავად, რადგან ბოლშევიკური პარტიის პლატფორმაში ხედავდა თავისი კლასობრივი ინტერესების გამოხატულებასა და ნათელი მომავლისათვის ბრძოლის ერთადერთ გზას. ამიტომაც პარტიული ორგანიზაციების დახმარებით, აერთიანებდა ძალებს და ქმნიდა ახალგაზრდობის კომუნისტური ორგანიზაციების პირველ უჯრედებს.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლაში ახალგაზრდობის დარაზმვასა და ახალგაზრდათა რევოლუციური ორგანიზაციების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის პარტიულ პრესას, კერძოდ, გაზეთ „პრავდას“, რომელიც ხშირად აქვეყნებდა წერილებს მუშა-ახალგაზრდობის ცხოვრებაზე, პასუხობდა მათ შეკითხვებზე და აანალიზებდა მიმდინარე მომენტის თავისებურებებს.

იმ მრავალ სტატიას, ინფორმაციასა და სხვა მასალებს შორის, რომლებიც „პრავდაში“ მუშა-ახალგაზრდობაზე იბეჭდებოდა, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1917 წლის 20 ივნისის გაზეთში გამოქვეყნებულ „რუსეთის მუშა ახალგაზრდობის სანიმუშო წესდებას“, რომელიც ვ. ი. ლენინის მითითებით ნ. კრუპსკაიამ შეადგინა. ასეთმა მასალებმა უდიდესი როლი შეასრულეს როგორც რუსეთის, ისე საქართველოს ახალგაზრდული ჯგუფების შეკავშირებასა და ორგანიზაციულ გაერთიანებაში. ყალიბდებოდა და იწრთობოდა ახალგაზრდობის რევოლუციური ორგანიზაციები, რომლებიც მიზნად ისახავდნენ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით მოზარდი თაობის აღზრდას.

ახალგაზრდობის რევოლუციურ მოძრაობას მაღალი შეფასება მისცა პარტიის VI ყრილობამ, რომელმაც მიიღო რეზოლუცია „ახალგაზრდობის კავშირების შესახებ“. აღნიშნულმა რეზოლუციამ კიდევ უფრო დააჩქარა ახალგაზრდათა სტიქიურად წარმოშობილი ჯგუფებიდან ახალგაზრდობის დამოუკიდებელი ორგანიზაციების შექმნა. ყრილობამ თავის რეზოლუციაში ზუსტად განსაზღვრა ახალგაზრდული კავშირების იდეური და ორგანიზაციული საფუძვლები, მისი ხასიათი და მიზანდასახულობა.

ყრილობამ პარტიულ ორგანიზაციებს დაავალა ფრიად სერიოზული ყურადღება მიექციათ და სათანადო დახმარება გაეწიათ ახალგაზრდული ორგანიზაციებისათვის. ახალგაზრდული კავშირებისადმი პარტიული ორგანიზაციების დამოკიდებულების განსაზღვრისას რეზოლუციაში ნათქვამი იყო, რომ „პარტიის ჩარევა მუშა-ახალგაზრდობის ორგანიზაციულ მშენებლობაში არ უნდა ატარებდეს მისი მეურვეობის ხასიათს“.

პარტიის VI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა ნაყოფიერი მუშაობა გაშალეს ახალგაზრდობის რევოლუციური ორგანიზაციების შესაქმნელად. 1917 წლის 21 აგვისტოს გაზეთ „კავკაზსკი რაბოჩიმ“ დაბეჭდა ყრილობის რეზოლუცია „ახალგაზრდობის კავშირების შესახებ“, ხოლო პარტიის თბილისის კომიტეტის გადაწყვეტილებით შეიქმნა საინიციატივო ჯგუფი თბილისის რევოლუციური ახალგაზრდობის დამფუძნებელი კრების მოსაწვევად.

საინიციატივო ჯგუფმა პრესაში განცხადება გამოაქვეყნა, რომლითაც იუწყებოდა ახალგაზრდა სოციალისტ-ინტერნაციონალისტთა ორგანიზაცია „სპარტაკის“ დამფუძნებელი კრების მოწვევის დღეს — 3 სექტემბერს.

ახალგაზრდობის შეკრება დანიშნულ დღეს თბილისის მესამე რაიონში, ავლაბრის კლუბის საზამთრო შენობაში გაიმართა. მის მუშაობაში 200-მდე ახალგაზრდა მონაწილეობდა. საქართველოს ახალგაზრდობის ინტერნაციონალური ბუნება იმაშიც გამოიხატა, რომ დამფუძნებელი კრების გადაწყვეტილებით ახალგაზრდობის რევოლუციურ ორგანიზაციას „ახალგაზრდა სოციალისტ-ინტერნაციონალისტთა ორგანიზაცია „სპარტაკი“ ეწოდა, შემუშავდა წესდება და ორგანიზაციის პროგრამა. კრებამ აირჩია „სპარტაკის“ ორგანიზაციის დროებითი კომიტეტი, რომელიც სათავეში უნდა ჩადგომოდა ადგილებზე ახალგაზრდობის ორგანიზაციების შექმნისა და განმტკიცების საქმეს. კრებაზე ერთხმად მიღებულ იქნა მანიფესტი კავკასიის მთელი მშრომელი ახალგაზრდობისადმი, რომელიც რევოლუციური ორგანიზაციების ჩამოყალიბებისა და რუსეთის პროლეტარიატთან ერთობლივი ბრძოლისაკენ მოუწოდებდა. იგი ამასთანავე არსებული ხელისუფლების მკაცრ კრიტიკას შეიცავდა და მიმართული იყო დროებითი მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ.

„ახალგაზრდა სოციალისტ-ინტერნაციონალისტთა ორგანიზა-

ცია „სპარტაკი“.—ნათქვამია მანიფესტში.—მოგმართავთ თქვენ. ყველას, ვისთვისაც ძვირფასია პროლეტარიატის ინტერესები და მომავალი, ვინც დაინტერესებულია ადამიანის განთავისუფლებით მონობისა და ჩაგვრისაგან... მოგმართავთ თქვენ, მომავლისათვის მებრძოლ ყველა ახალგაზრდას და მოგიწოდებთ შექმნათ საკუთარი ადგილობრივი და საერთო ორგანიზაციები, შეუერთდეთ III ინტერნაციონალის დიდ ოჯახს და ყოველთვის და ყველგან დაუჭიროთ მხარი ინტერნაციონალური პროლეტარიატის რევოლუციურ მოძრაობას“.

აღნიშნული მანიფესტი გამოქვეყნდა პერიოდულ პრესაში, გარდა ამისა, ცალკე ფურცლებად დაიბეჭდა ქართულ და რუსულ ენებზე რევოლუციურად განწყობილ ახალგაზრდობაში გასავრცელებლად.

„სპარტაკის“ დამფუძნებელ კრებას ის მნიშვნელობა ჰქონდა. რომ მან საფუძველი ჩაუყარა ახალგაზრდობის ნამდვილ რევოლუციურ ორგანიზაციას, რომელიც საქართველოს კომკავშირის დამაარსებლის ბორის ძნელაძის სიტყვით, მიზნად ისახავდა მშრომელი ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდას.

დამფუძნებელ კრებაზე არჩეული დროებითი კომიტეტი აწყობდა რევოლუციური ახალგაზრდობის კრებებსა და მუშა-ახალგაზრდობის ინტერნაციონალურ საღამოებს, ბეჭდავდა მოწოდებებსა და მანიფესტებს, თავის გარშემო იკრებდა პროპაგანდისტებსა და აგიტატორებს, ხელმძღვანელობდა მოსწავლეთა გაფიცვებს და სხვა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ „სპარტაკი“ თავისი არსებობის მანძილზე სწორ იდეურ პოზიციაზე იდგა და ეწეოდა პარტიის პოლიტიკის პროპაგანდას ახალგაზრდობის ფართო მასებში. მიუხედავად ამისა, 3 სექტემბერს თბილისის მესამე რაიონში შექმნილმა „სპარტაკის“ ორგანიზაციამ მთელი შესაძლებლობით ვერ გაშალა თავისი საქმიანობა, რის გამოც მუშაობის ცენტრი მალე პროლეტარული ახალგაზრდობის რაიონში — ნაძალადევში გადავიდა.

პარტიის თბილისის კომიტეტისა და პირადად მიხა ცხაკაიას მხარდაჭერით ბორის ძნელაძემ თავის თანამოაზრეებთან ერთად თბილისის პირველ რაიონში ახალგაზრდობის რევოლუციური ორგანიზაციის შესაქმნელად ფართოდ გაშალა მუშაობა. ამის შედეგად ნოემბერში შეიქმნა „სპარტაკის“ ნაძალადევის ორგანიზაცია. დამ-

ფუძნებელმა კრებამ აირჩია რაიონული კომიტეტი ბორის ძნელაძის, იაშა იონიდისა და ალექსანდრე ამირბეგოვის შემადგენლობით.

პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით 1917 წლის ბოლოსა და 1918 წლის განმავლობაში „სპარტაკის“ ორგანიზაციები შეიქმნა თბილისის დანარჩენ რაიონებში. დიდი სიძნელეების მიუხედავად, სპარტაკელები აქტიურად მონაწილეობდნენ ახალგაზრდობას შორის სააგიტაციო-პროპაგანდისტულ მუშაობაში, მიტინგებისა და კრებების, საჯარო ლექციებისა და დისპუტების მოწყობაში.

პროგრესული ახალგაზრდობის სოციალისტ-ინტერნაციონალისტთა ორგანიზაცია „სპარტაკმა“ დიდი გავლენა და ავტორიტეტი მოიპოვა საქართველოს ქალაქების, მაზრებისა და რაიონების რევოლუციურ ახალგაზრდობაში. თბილისის გარდა „სპარტაკის“ ორგანიზაციები ჩამოყალიბდა ქუთაისში, აბაშაში, ხონში, ლანჩხუთში, შორაპანში, მახარაძეში, სამტრედიაში, მარტვილში, მოგვიანებით ასეთივე ორგანიზაციებს მტკიცე საფუძველი ჩაეყარა ჩოხატაურში, ჩხოროწყუში, სოხუმში, ხაშურში და სხვაგან. საინტერესო მუშაობას ეწეოდა ორგანიზაცია „სპარტაკის“ შექმნის ბათუმის საინიციატივო ჯგუფი.

დასავლეთ საქართველოს რევოლუციური ახალგაზრდობის ჯგუფების ორგანიზაციულად გაფორმებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1917 წლის შემოდგომაზე ქუთაისში პარტიის საგუბერნიო კომიტეტის ხელმძღვანელობით „სპარტაკის“ პირველი ორგანიზაციის შექმნას. დამფუძნებელმა კრებამ, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ მამია და მარიამ ორახელაშვილები, სტამბის ახალგაზრდა მუშები, მოსწავლეები, სულ 70-მდე კაცი, შეიმუშავა ორგანიზაციის წესდება, აირჩია კომიტეტი 5 კაცის შემადგენლობით და მიიღო გადაწყვეტილება საკუთარი ბეჭდვითი ორგანოს გამოცემაზე, რაც 12 ნოემბერს ჟურნალ „მესამე ინტერნაციონალის“ გამოცემით კიდეც განხორციელდა.

ჟურნალში გამოქვეყნებული წერილები უმთავრესად რუსეთში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებასთან დაკავშირებულ საკითხებს ასახავდა, მაგრამ ამასთანავე მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობოდა საქართველოს მშრომელთა რევოლუციური ბრძოლების პერსპექტივებს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის.

სამი ნომრის გამოსვლის შემდეგ ჟურნალი ამავე სახელწოდე-

ბის ყოველკვირეულ გაზეთად გადაკეთდა. მართალია, მისი გამოცემა მენშევიკებმა მალე აკრძალეს, მაგრამ სპარტაკელთა ბეჭდვითი ორგანოს გამოსვლას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს რევოლუციური ახალგაზრდობის შეკავშირებისა და მათი ბრძოლისუნარიანობის ამაღლებისათვის.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ ახალი ძალები შემატა საქართველოს ახალგაზრდობას, რომელიც თავის უფროს ძმებთან ერთად საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის საბრძოლველად მჭიდროდ დაირაზმა.

ამ დროისათვის „სპარტაკის" დასავლეთ საქართველოს ორგანიზაციებს კონტრრევოლუციურ ძალებთან ბრძოლის სათანადო გამოცდილება დაუგროვდათ, ისინი აქტიურად ეხმარებოდნენ სხვადასხვა რაიონებისა და მაზრების აჯანყებულ გლეხებს, მონაწილეობდნენ მასობრივ-პოლიტიკურ და ორგანიზაციულ მუშაობაში, ქმნიდნენ მებრძოლ რაზმებს და ზრუნავდნენ „სპარტაკის" ორგანიზაციების კავშირურთიერთობის შემდგომი განმტკიცებისათვის.

სწორედ ამ მიზნით 1918 წლის 26 მაისს ქუთაისში მოწვეულ იქნა კონფერენცია „სპარტაკის" დასავლეთ საქართველოს ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით. კონფერენციაზე არჩეულ საგუბერნიო ბიუროს დასავლეთ საქართველოს „სპარტაკის" ორგანიზაციების საერთო ხელმძღვანელობასთან ერთად დაევალა მჭიდრო ურთიერთობა დაემყარებინა „სპარტაკის" თბილისის ორგანიზაციებთან. კონფერენციის მონაწილეთა გადაწყვეტილებით „ახალგაზრდა სოციალისტ-ინტერნაციონალისტთა ორგანიზაცია „სპარტაკს" ეწოდა „ახალგაზრდა კომუნისტთა ორგანიზაცია „სპარტაკი".

ქუთაისის საგუბერნიო ბიურომ კონფერენციის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ივლისში შეიმუშავა ორგანიზაციის წესდება, ხოლო 23 დეკემბერს გამოსცა გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი", რომელმაც თავისი ხანმოკლე არსებობის (სულ ხუთი ნომერი გამოვიდა) მიუხედავად გაზეთ „მესამე ინტერნაციონალის" კარგი ტრადიციები ღირსეულად განაგრძო.

„სპარტაკის" ახალი ორგანიზაციების შექმნისა და განმტკიცებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სრულიად რუსეთის ახალგაზრდობის კავშირების პირველ ყრილობას, რომელიც 1918 წლის 29 ოქტომბერს გაიხსნა ქ. მოსკოვში. ყრილობამ განსაზღვრა ახალ-

გაზრდობის რევოლუციური მოძრაობის ძირითადი ამოცანები და ახალგაზრდობის კომუნისტურ კავშირს მიზნად დაუსახა კომუნისტური იდეების გავრცელება და საბჭოთა რუსეთის მშენებლობაში მუშა და გლეხი ახალგაზრდობის მასობრივად ჩაბმა.

რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის პირველმა ყრილობამ დასაბამი მისცა საკავშირო ლენინური კომკავშირის გმირულ ისტორიას. აქედან მოკიდებული ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი იქცა ჩვენი ქვეყნის ჭაბუკებისა და ქალიშვილების ავანგარდად, რომლის საშუალებით ბოლშევიკური პარტია წარმატებით ეწევა კომუნისტური სულისკვეთებით ახალგაზრდობის აღზრდას.

საქართველოს რევოლუციური ახალგაზრდობის განწყობილებას კარგად გამოხატავდა ბ. ძნელაძე, როცა კომუნისტური ახალგაზრდობის სრულიად კავკასიის პირველ ყრილობაზე აღნიშნავდა, რომ „ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის სახით, რუსეთის სახელოვანი პროლეტარიატის სახით მთელი კავკასიის კომუნისტური ახალგაზრდობა და კომუნისტური პარტია ხედავდა მისი ინტერესების ყველაზე უკეთეს დამცველებს არა მარტო ახალგაზრდობისა, არამედ მთელი მსოფლიოს მუშათა კლასისათვის“.

ამ დროიდან საქართველოს „სპარტაკის“ ორგანიზაციებმა თავიანთი მუშაობა მჭიდროდ დაუკავშირეს რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის საქმიანობას. მენშევიკური ხელისუფლების მიერ შევიწროების მიუხედავად, ახალი ორგანიზაციები თანმიმდევრულად იქმნებოდა ზუგდიდში, სიღნაღში, თელავში, ბათუმში, ბორჯომში, ჯავაში და სხვაგან. ასე რომ, 1919 წელს „სპარტაკის“ ორგანიზაციები შექმნილი იყო საქართველოს თითქმის ყველა ქალაქში, მაზრასა და რაიონში. „სპარტაკის“ ყველა ორგანიზაციის ყრილობის მოწვევისა და ერთიანი ხელმძღვანელი ცენტრით მათი გაერთიანების შესახებ საკითხი თუმცა დაისვა, მაგრამ შექმნილი ისტორიული ვითარების გამო ეს ვერ მოხერხდა.

რკპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1918 წლის ნოემბერში პარტიულ ორგანიზაციებს რეკომენდაცია მისცა ადგილებზე შეექმნათ ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირები, დახმარებოდნენ მათ ყოველდღიურ მუშაობაში და ფართო პროპაგანდისტული ღონისძიებები ჩაეტარებინათ ახალგაზრდობის ფართო მასებში.

ამ მითითების შესაბამისად პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო და თბილისის კომიტეტებმა გადაწყვიტეს მოეწვიათ „სპარტაკის“

თბილისის ორგანიზაციების საერთო-საქალაქო კონფერენცია, რომელიც 1919 წლის 31 მარტიდან 2 აპრილამდე ჩატარდა თბილისის უნივერსიტეტის შენობაში. კონფერენციის მონაწილე 50 დელეგატი წარმოადგენდა „სპარტაკის“ ორგანიზაციების 150 წევრს. დელეგატთა ხმების უმრავლესობით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება თბილისის „ახალგაზრდა სოციალისტ-ინტერნაციონალისტთა ორგანიზაცია „სპარტაკს“ დარქმეოდა „ახალგაზრდათა კომუნისტური ორგანიზაცია „სპარტაკი“. დამტკიცდა ორგანიზაციის პროგრამა და წესდება, რომელშიც ხაზგასმული იყო კომუნისტური პარტიის პროგრამისა და მისი იდეური ხელმძღვანელობის აუცილებლობა „სპარტაკის“ პოლიტიკური და ორგანიზაციული სიმტკიცისათვის.

კონფერენციამ მიიღო „დეკლარაცია მუშა ახალგაზრდობისადმი“, ახალგაზრდობის ერთიან კომუნისტურ ორგანიზაციაში გააერთიანა „სპარტაკის“ თბილისის რაიონული ორგანიზაციები და აირჩია ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის თბილისის კომიტეტი ბორის ძნელაძის ხელმძღვანელობით.

„სპარტაკის“ ორგანიზაციების თბილისის პირველი საქალაქო კონფერენცია დიდმნიშვნელოვან მოვლენად იქცა საქართველოს ახალგაზრდობის კომუნისტური მოძრაობის ისტორიაში. სწორედ აქ ჩაეყარა საფუძველი თბილისის კომკავშირულ ორგანიზაციას, რომელმაც სასახელო ფურცლები ჩასწერა რესპუბლიკის კომკავშირის ბრძოლისა და შრომის გმირულ მატიანეში.

თბილისის კომიტეტი პარტიის სამხარეო კომიტეტის დადგენილებით მალე „ახალგაზრდათა კომუნისტური ორგანიზაცია „სპარტაკის“ ამიერკავკასიის დროებით ცენტრალურ კომიტეტად“ გადაკეთდა, რომელსაც თბილისის ორგანიზაციების გარდა ხელმძღვანელობა უნდა გაეწია ახალგაზრდობის კომუნისტური ორგანიზაციებისათვის საქართველოსა და სომხეთში.

ახალგაზრდობის კომუნისტური ორგანიზაციების შექმნის, საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის აქტიური ბრძოლისა და ახალგაზრდობის ინტერნაციონალური სულისკვეთებით აღზრდის საქმეში დიდი როლი შეასრულეს ამიერკავკასიის დროებითი ცენტრალური კომიტეტის მიერ ადგილებზე გაგზავნილმა ორგანიზატორებმა.

ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლები გაემგზავრნენ სამეგრელოში, გურიაში, ხაშურში, გორში, ბათუმში, სოხუმში, სილ-

ნაღში, თელავში, ფოთში და სხვა ქალაქებსა და რაიონებში, სადაც ჩამოყალიბდა და ორგანიზაციულად კიდევ უფრო განმტკიცდა კომკავშირული ორგანიზაციები.

ხაშურის კომკავშირულ ორგანიზაციას სათავეში ჩაუდგა გაიოზ დევდარიანი, რომელიც შემდეგ საქართველოს კომკავშირის ერთ-ერთი ხელმძღვანელი მუშაკი გახდა. იგი თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე ერთგულად და მთელი შესაძლებლობით ემსახურებოდა ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდას.

ამ პერიოდში გურიაში არსებული „ახალგაზრდა სოციალისტ-ინტერნაციონალისტთა" ორგანიზაციების კომკავშირულ ორგანიზაციებად გარდაქმნისა და ახალი კომკავშირული ორგანიზაციების ჩამოყალიბებაში, როგორც ამიერკავკასიის დროებითი ცენტრალური კომიტეტის წევრმა, თვალსაჩინო როლი შეასრულა ბორის ძნელაძემ, რომლის ცხოვრება კომუნიზმის საქმისათვის თავდადებული რევოლუციონერის საუკეთესო მაგალითია. დიადი მიზნების განსახორციელებლად იგი ისე იბრძოდა, როგორც კომუნისტური რწმენით და შეგნებით შეიარაღებულ ახალგაზრდას შეუძლია ბრძოლა. ბ. ძნელაძეს დაბადებიდანვე თითქოს თან დაჰყვა რევოლუციური შემართება და დიდი ორგანიზატორული ნიჭი. იგი არ შეუშინდა არავითარ სიძნელეს, თავის გარშემო შემოიკრიბა ახალგაზრდობა და ფართო მუშაობა გაშალა საქართველოში კომკავშირული ორგანიზაციების ჩამოყალიბებისათვის. 22 წლის ჭაბუკმა გამოსცადა არალეგალური მუშაობა, დაპატიმრება და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების აღმაფრენაც.

ქართველმა ახალგაზრდობამ უკვდავყო ბორის ძნელაძის სახელი. გასულ წელს რესპუბლიკის ქალიშვილებმა და ჭაბუკებმა დიდი მონდომებით შეაგროვეს მისი ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის ამსახველი მასალები, რის საფუძველზეც ჩოხატაურში გახსნეს სახლ-მუზეუმი. სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ კომკავშირულ-ახალგაზრდულ ბრიგადებს მინიჭებული აქვთ ბ. ძნელაძის სახელი, რესპუბლიკის კომკავშირულ ორგანიზაციებში ყოველწლიურად ტარდება მისი ხსოვნის საღამოები. მიმდინარე წლის აგვისტო-სექტემბერში თბილისში, ჩოხატაურსა და სხვა ქალაქებსა და რაიონებში ფართოდ აღინიშნა საქართველოს კომკავშირის დამაარსებლის დაბადების 70 წლისთავი. ბ. ძნელაძის სახელი უკვდავია, როგორც უკვდავია ის საქმე, რისთვისაც იგი იბრძოდა. მისი

ხელმძღვანელობით შექმნილი საქართველოს კომკავშირი დაარსების დღიდანვე პარტიის საიმედო რეზერვი გახდა, ასრულებდა მის ყოველგვარ დავალებას, მისგან სწავლობდა ორგანიზატორულ მუშაობას და მენშევიკების ბატონობის პერიოდში საბრძოლველად აღაფრთოვანებდა ახალგაზრდა მუშებისა და გლეხების ფართო მასებს. იგი სრულ სოლიდარობასა და ძმურ ერთგულებას უცხადებდა რუსეთის მოწინავე ახალგაზრდობას, რომელიც თავგანწირვით იბრძოდა სამოქალაქო ომის ფრონტებზე.

საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციები მტკიცე პროტესტს უცხადებდნენ მენშევიკურ მთავრობას და პროლეტარულ ახალგაზრდობას გარეშე და შინაგანი კონტრრევოლუციური ძალების წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლებისათვის ამზადებდნენ.

ამ საქმეში განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ კომკავშირის თბილისის ორგანიზაციები, რომლებიც წარმატებით ასრულებდნენ პარტიული კომიტეტების რთულ და პასუხსაგებ დავალებებს. ისინი ქმნიდნენ კომკავშირელთა სპეციალურ რაზმებს, რომლებიც პარტიის სამხედრო-რევოლუციური შტაბისათვის აგროვებდნენ ცნობებს კონტრრევოლუციური ძალების შემადგენლობაზე, იარაღის მარაგსა და საომარ გეგმებზე. საქართველოს კომკავშირი მთელ ძალებს ახმარდა დავალებათა შესრულებას, რასაც არაერთი კომკავშირელის სიცოცხლეც კი შეეწირა. მაგრამ იმდენად ძლიერი იყო გამარჯვების რწმენა, რომ ახალგაზრდები სიძნელეებს არ უდრკოდნენ. ბეჭდავდნენ და ავრცელებდნენ არალეგალურ ლიტერატურას ფაბრიკა-ქარხნებში, ტრანსპორტზე, ქუჩებში. ე. წ. „მფრინავი რაზმების“ წევრები პროკლამაციებს აკრავდნენ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, მონაწილეობდნენ მუშათა პოლიტიკურ დემონსტრაციებში და ა. შ.

1920 წლის თებერვალში ფარულად ჩატარებულმა თბილისის მეორე საქალაქო კონფერენციამ დიდი ყურადღება დაუთმო ორგანიზაციული მშენებლობისა და ახალგაზრდობაში კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის გაუმჯობესების საკითხებს.

კონფერენციამ მისალმების დეპეშა გაუგზავნა ვ. ი. ლენინს. მისალმებები გაეგზავნათ აგრეთვე წითელ არმიას, III ინტერნაციონალს, რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ცენტრალურ კომიტეტს, ბაქოს მუშა ახალგაზრდობის კომუნისტურ კავშირს და სხვ.

თებერვალ-მარტში დასავლეთ საქართველოს ორგანიზაციების წარმომადგენელთა ასეთივე კონფერენცია გაიმართა ქუთაისში, რომელმაც მიმდინარე მომენტის უმნიშვნელოვანესი ღონისძიებები შეიმუშავა.

1920 წლის 22 მაისს უდიდესი მნიშვნელობის აქტი მოხდა საქართველოს კომკავშირის ისტორიაში. ამ დღეს შეიქმნა საქართველოს კომკავშირის დროებითი ცენტრალური კომიტეტი ნაცვლად რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტისა.

„იმის გამო, რომ აზერბაიჯანსა და ჩრდილოეთ კავკასიაში უკვე დამყარებულია საბჭოთა ხელისუფლება და რუსეთის სახკომსაბჭომ სცნო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა, — წერდა დროებითი ცენტრალური კომიტეტი საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციებისადმი გაგზავნილ დეკლარაციაში, — რუსეთის მუშა და გლეხი ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტმა 23 მაისის სხდომაზე დაადგინა: თანახმად რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის დირექტივისა, შეწყვიტოს თავისი არსებობა, როგორც ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის უმთავრესმა ხელმძღვანელმა ორგანომ ამიერკავკასიაში. იმ დღესვე შეიქმნა საქართველოს მუშა და გლეხი ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის დროებითი ცენტრალური კომიტეტი, რომელმაც ყრილობის მოწვევამდე იკისრა საქართველოს კომკავშირის ყველა ორგანიზაციისადმი დროებითი ხელმძღვანელობა.

ცოტა ხნის შემდეგ საქართველოს კომკავშირის დროებითმა ცენტრალურმა კომიტეტმა ჩაატარა კომკავშირელთა ხელახალი რეგისტრაცია, რამაც ხელი შეუწყო კომკავშირის რიგების სიწმინდესა და მონოლითურობას. ამ დიდმნიშვნელოვან. პოლიტიკურ კამპანიას მოჰყვა კომკავშირული ორგანიზაციების შევსება ახალი წევრებით, შეიქმნა და განმტკიცდა კომკავშირის ახალი ორგანიზაციები. 31 მაისიდან გამოსვლას იწყებს გაზეთი „მოლოდოი პროლეტარი“, რომელიც იყო საქართველოს მუშა და გლეხი ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ორგანო. იგი თანმიმდევრულად იბრძოდა როგორც მენშევიკური მთავრობისა და მისი პარტიის, ისე 1917 წლიდან არსებული ახალგაზრდული მენშევიკური ორგანიზაციების წინააღმდეგ.

იმ უაღრესად საინტერესო ორგანიზაციულ და იდეურ-პოლიტიკურ ღონისძიებათა შორის. რომლებიც კომკავშირის დროებითმა ცენტრალურმა კომიტეტმა განახორციელა, უნდა დავასახელოთ თბილისში ჩატარებული საქართველოს ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის საქალაქო, სამაზრო და საგუბერნიო ორგანიზაციების წარმომადგენელთა გაფართოებული თათბირი, რომელმაც მიმდინარე მომენტის შესაბამისად შეიმუშავა კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის ახალი ტაქტიკა. თათბირმა განიხილა აგრეთვე სოფლად მუშაობისა და მუშა ახალგაზრდობის შრომის უფლებების დაცვის საკითხები. ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის საერთაშორისო კონგრესში მონაწილეობის მისაღებად დელეგატად არჩეულ ‘ზიორის ძნელაძეს დაევალა საქართველოსა და სომხეთის კომკავშირული ორგანიზაციების სახელით ახალგაზრდობის საერთაშორისო კონგრესისათვის მოეხსენებინა, რომ ამიერიდან ისინი შედიან ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის რიგებში და იმუშავებენ მისი იდეური და ორგანიზაციული ხელმძღვანელობით. თათბირშა საქართველოს კომკავშირის დროებით ცენტრალურ კომიტეტს დაავალა შესაძლებლობისთანავე მოეწვია კომკავშირის ყრილობა.

1920 წლის ზაფხულში საგუბერნიო კომიტეტებმა ნაყოფიერი მუშაობა გაშალეს ორგანიზაციების ზრდისა და ახალი კომკავშირული ორგანიზაციების ჩამოყალიბებისათვის. ასეთი საქმიანობით შესაძლებელი გახდა ახალი კომკავშირული ორგანიზაციების შექმნა თელავში. ლაგოდეხში. წითელწყაროში, გურჯაანში, დუშეთში, მანგლისში, მცხეთაში და სხვაგან. კომკავშირის აფხაზეთის საოლქო კომიტეტმა ადგილებზე მიმაგრებული მუშაკების საშუალებით უზრუნველყო კომკავშირული ორგანიზაციების შექმნა სამურზაყანოს მაზრაში, გუდაუთაში და სხვაგან. კომკავშირის ორგანიზაციული განმტკიცება და ახალი ორგანიზაციების შექმნა წარმატებით გრძელდებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. თანდათან მზადდებოდა მყარი ნიადაგი საქართველოს კომკავშირის ყრილობის მოწვევისათვის...

საქართველოს ახალგაზრდობის ცხოვრებაში ამ დიდმნიშვნელოვანი მოვლენის შესახებ კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა მუშა და გლეხი ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ყველა ორგანიზაციისადმი 3 აგვისტოს პარტიულ გაზეთ „საქართველოს კომუნისტში “გამოქვეყნდა.

მიმართვის საფუძველზე კომკავშირის რაიონულ, სამაზრო და საგუბერნიო ორგანიზაციების კონფერენციებზე არჩეული დელეგატები, აგრეთვე შედარებით მცირერიცხოვანი კომკავშირული ორგანიზაციებიდან წარმოგზავნილი დელეგატები 1920 წლის 25 აგვისტოს შეიკრიბნენ თბილისში საქართველოს კომკავშირის პირველ „ლეგალურ" ყრილობაზე. ყრილობის პრეზიდიუმმა მიიღო მისალმების დეპეშები სხვადასხვა ორგანიზაციებისა და კერძო პირებისაგან.

ყრილობის გახსნისას დელეგატებმა წუთიერი დუმილით პატივი სცეს მენშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში დაღუპული ამხანაგების ხსოვნას, რის შემდეგ ბორის ძნელაძემ მოკლე შესავალი სიტყვით საქართველოს კომკავშირის პირველი ყრილობა გახსნილად გამოაცხადა.

ყრილობის დღის წესრიგში 12 საკითხი იდგა. ვიდრე საკითხების განხილვას შეუდგებოდნენ, ყრილობის დელეგატთა სახელით სხდომის თავმჯდომარემ მენშევიკური მთავრობის შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებს მოუწოდა დარბაზი დაეტოვებინათ, რაზეც უარი მიიღო. ამის შემდეგ განსაკუთრებული რაზმის წევრებს წინადადება მიეცათ რამდენიმე ხნით მაინც დაეტოვებინათ დარბაზი, რომ ყრილობას გადაეწყვიტა ასეთ პირობებში განეგრძო თუ არა მუშაობა. როცა დარბაზში მხოლოდ დელეგატები დარჩნენ, ბორის ძნელაძის წინადადებით მოეწყო საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის არჩევნები. ცენტრალური კომიტეტის წევრებად არჩეულ იქნენ ბ. ძნელაძე, ს. ჯაფარიძე, გ. დევდარიანი, ა. ამირბეგოვი, ვ. იმედაძე, შ. ოკუჯავა, იზორია, კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატებად — კ. ორაგველიძე, ბ. ადამაძე და გ. გვახარია.

ასეთი შევიწროების მიუხედავად, ყრილობამ მაინც მოახერხა განეხილა საკითხები აზერბაიჯანში საბჭოთა მთავრობის აღმშენებლობითი მუშაობისა და ახალგაზრდათა მოძრაობის გასაცნობად 20 კაციანი დელეგაციის გაგზავნის, ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის აღნიშვნის, ახალგაზრდობის მესამე ინტერნაციონალში საქართველოს კომუნისტური ახალგაზრდობის შესვლისა და მის წარმომადგენლად ბორის ძნელაძის არჩევის შესახებ. ყრილობამ სხვა საკითხების განხილვა ვერ შეძლო, რადგან 26 აგვისტოს დილის სხდომაზე დარბაზში საგანგებო რაზმის წევრები შეიჭრნენ. მენშევი-

კური მთავრობის აგენტების თანდასწრებით წაკითხულ იქნა წინასწარ შედგენილი პროტესტის ტექსტი, რის შემდეგაც ყრილობამ მუშაობა შეწყვიტა.

თითქოს ესეც საკმარისი არ იყო, საგანგებო რაზმის წევრები თავს დაესხნენ აგრეთვე ახლად არჩეული ცენტრალური კომიტეტის სხდომას, დააპატიმრეს რამდენიმე ხელმძღვანელი კომკავშირული მუშაკი, ხოლო ბ. ძნელაძე ბაქოში გადაასახლეს.

საქართველოს კომკავშირის პირველი ყრილობა რთულ პირობებში ჩატარდა. მან ვერ შესძლო განეხილა დღის წესრიგის ყველა საკითხი, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო საქართველოს კომუნისტური ახალგაზრდობის საქმიანობაში. საქართველოს ახალგაზრდობის კომუნისტური მოძრაობის ისტორიაში პირველად აირჩია საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი, რითაც ფაქტიურად დასრულდა საქართველოს კომკავშირის ორგანიზაციული გაფორმება.

ყრილობის დარბევისა და ხელმძღვანელი კომკავშირული მუშაკების დაპატიმრების შემდეგ საქართველოს კომკავშირი ძირითადად არალეგალურ მუშაობაზე გადავიდა, თუმცა ზოგჯერ მუშაობის ლეგარულ ფორმებსაც მიმართავდა.

იზრდებოდა კომკავშირის ავტორიტეტი და გავლენა პროლეტარულ ახალგაზრდობაში. კომკავშირული ორგანიზაციები დიდ აღმზრდელობით მუშაობას ეწეოდნენ ფაბრიკა-ქარხნებსა და წარმოებებში, ახალგაზრდობაში ფართო პროპაგანდას უწევდნენ პარტიის ისტორიასა და პროგრამას. სახავდნენ ღონისძიებებს კომკავშირელთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის აღმოსაფხვრელად; ქმნიდნენ პროპაგანდისტთა სკოლებს და ხელს უწყობდნენ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობის გაუმჯობესებას.

ამ ხანებში კომკავშირმა მიაღწია, რომ ყოველკვირეულად გამოსულიყო „საქართველოს კომუნისტური ახალგაზრდობის ფურცელი“, რომელიც ფართოდ ასახავდა ადგილებზე კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობას, აგრეთვე კომკავშირის კომიტეტების საპროტესტო მოძრაობას საქართველოსა და სომხეთის კონტრრევოლუციური მთავრობების წინააღმდეგ.

საქართველოს კომკავშირს მზრუნველობასა და ყოველდღიურ დახმარებას არ აკლებდნენ პარტიის გამოჩენილი მოღვაწეები მიხა ცხაკაია, სერგო ორჯონიკიძე, სერგეი კიროვი, ფილიპე მახარაძე და

სხვები. ახალგაზრდობისადმი ასეთი ყურადღება საშუალებას იძლეოდა უფრო განმტკიცებულიყო ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა კომკავშირში, დაძლეულიყო არსებული სიძნელეები.

კომკავშირული ორგანიზაციების წინაშე უდიდესი პერსპექტივები დასახა 1920 წლის ოქტომბერში ჩატარებულმა ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის სრულიად რუსეთის მესამე ყრილობამ, სადაც მოზარდი თაობის აღზრდის საპროგრამო სიტყვა წარმოსთქვა ვ. ი. ლენინმა. პროლეტარიატის დიდმა ბელადმა ზუსტად განსაზღვრა კომკავშირის ამოცანები სოციალიზმის მშენებლობასა და ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდაში, დასახა ახალგაზრდობის პრაქტიკული მოღვაწეობისა და მეცნიერული ცოდნის დაუფლების ამოცანები.

კომუნიზმის მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე, როცა ჩვენი ხალხი უდიდეს წარმატებებს აღწევს მრეწველობასა და სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებში, მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის ფრონტზე, ფორმულასავით ჟღერს ბელადის შემდეგი სიტყვები: „კომუნისტი მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდე, როცა შენს მეხსიერებას გაამდიდრებ ყველა იმ სიმდიდრის ცოდნით, რაც კაცობრიობას შეუმუშავებია“.

ყოველი თაობა უცვლელად მიმართავს ლენინის ისტორიულ სიტყვას, როცა სურს პასუხი გასცეს ცხოვრების მიერ დაყენებულ კითხვებზე. ჩვენმა ახალგაზრდობამ კარგად იცის ბელადის მითითება იმის შესახებ, რომ ცოდნის გარეშე, იდეური რწმენისა და მაღალი მოქალაქეობრივი შეგნების გარეშე არ არის კომუნიზმი; ამიტომაც იგი სისტემატურად სრულყოფდა და სრულყოფს თავის იდეურ-პოლიტიკური ცოდნის დონეს და აქტიურად მონაწილეობს ყველა სასარგებლო თაოსნობაში.

1970 წლის ოქტომბერში მთელ ჩვენს ქვეყანაში ფართოდ აღინიშნა კომკავშირის მესამე ყრილობაზე ვ. ი. ლენინის მიერ წარმოთქმული ისტორიული სიტყვის 50 წლისთავი. ეს ორმოცდაათი წელი ნათელყოფს თუ როგორი თავდადებით ასრულებდა და ასრულებს ლენინური კომკავშირი დიდი ბელადის ბრძნულ მითითებებს, როგორი შეუპოვრობით იბრძოდა იგი პარტიის მიზანდასახულობათა ცხოვრებაში განხორციელებისათვის.

ასე იყო იმ რთულ პირობებშიც, როცა საქართველოს კომკავ-

შირის სასახელო ტრადიციების საფუძვლის ჩამყრელმა თაობამ თავისი საქმიანობა კომკავშირის სრულიად რუსეთის III ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად გარდაქმნა.

ჯერ კიდევ ყრილობაზე საქართველოს ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის სახელით ბორის ძნელაძე რუსეთის პროლეტარულ ახალგაზრდობას მიმართავდა: თქვენ ბედნიერი ხართ იმით, რომ საშუალება გაქვთ თავისუფლად მოიწვიოთ ყრილობა და გადაწყვიტოთ ყველა საქმეები. საქართველოს კომუნისტური ახალგაზრდობა მოკლებულია ამ შესაძლებლობას. ჩვენ გვაპატიმრებენ და ციხეებში გვსვამენ იმისათვის, რომ საქვეყნოდ ვაცხადებთ: საქართველოს მუშათა კლასი უნდა აღსდგეს საბოლოოდ და დაამარცხოს მუშათა კლასის მოღალატეები, რათა იგი რუსეთის პროლეტარიატს შეუერთდეს.

იგი რწმენას გამოთქვამდა, რომ უახლოეს მომავალში ეს დღეც დადგებოდა.

და მართლაც, საქართველოს კომკავშირი იმ ხანებში თავდაუზოგავად იბრძოდა თავისი რიგების შეკავშირებისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის.

1920 წლის ნოემბერში კომკავშირის აქტიური მონაწილეობით საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში ფართოდ აღინიშნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 3 წლისთავი. ამ თარიღთან დაკავშირებით საქართველოს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა და თბილისის კომიტეტმა ქართულ, სომხურ და რუსულ ენებზე გამოსცეს ჟურნალი „დიდი პროლეტარული რევოლუცია". ჟურნალში დაბეჭდილი მასალები ასახავდნენ სოციალისტური რევოლუციის მსოფლიო ისტორიულ მნიშვნელობას. კომკავშირის ასეთ გამოსვლას, ცხადია, მენშევიკური ხელისუფლება მტრულად შეხვდა, დაიწყო კომკავშირული მუშაკების დევნა და მასობრივი დაპატიმრებები.

ასეთ პირობებში საჭირო გახდა კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის ძალთა უფრო შეკავშირება და ერთიანი მოქმედების პროგრამის შემუშავება, რასაც მიზნად ისახავდა 20 ნოემბერს საქართველოს კომკავშირის მეორე ყრილობის მოწვევა.

ყრილობამ, რომელიც უაღრესად კონსპირაციულად მიმდინარეობდა, განიხილა მოხსენებები ადგილებიდან, კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში, მესამე ინტერნაციონალის II კონ-

გრესის შედეგები, სოფლად გლეხ ახალგაზრდობაში მუშაობის ამოცანები, პარტიასთან ახალგაზრდობის კომუნისტური ორგანიზაციების დამოკიდებულების საკითხები. ყრილობამ ამასთანავე შეაფასა მიმდინარე მომენტი და კომკავშირული ორგანიზაციების ტაქტიკური ხაზი, რის შემდეგაც მიიღო გადაწყვეტილება არალეგალური მუშაობის გაძლიერების შესახებ.

„ისტორიამ წილად გვარგუნა საპასუხისმგებლო ამოცანა — შევამსუბუქოთ ჩვენი მამების მძიმე ბრძოლა და თვით დავიწყოთ კომუნიზმის უდიდესი ტაძრის შენება. და ეს ამოცანა სინდისიერად უნდა შევასრულოთ, უნდა დავამტკიცოთ, რომ ღირსი ვართ ახალი ქვეყნის მშენებელნი ვიყოთ, სადაც ადგილი არ ექნება ჩაგვრასა და ყვლეფას“, — ნათქვამია საქართველოს მშრომელი ახალგაზრდობისადმი ყრილობის მიერ მიღებულ მოწოდებაში.

საქართველოს ახალგაზრდობამ მართლაც ყველაფერი იღონა კონტრრევოლუციური ძალების საბოლოო დამარცხებაში თავისი წვლილის შეტანისათვის. როგორც ყოველთვის, შეიარაღებული აჯანყების გადამწყვეტ მომენტშიც კომკავშირული ორგანიზაციები, მთელი ქართველი ახალგაზრდობა ყველგან მხარში ედგნენ პარტიულ კომიტეტებს, მუშათა კლასს და გლეხობას მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

1921 წლის 25 თებერვალს საქართველოში გაიმარჯვა საბჭოთა ხელისუფლებამ. დაიწყო ახალი დიდებული ერა ქართველი ხალხის ცხოვრებაში.

ახალ პირობებში საქართველოს კომკავშირის წინაშე მოქმედების ახალი ასპარეზი გადაიშალა. ჩაგვრისაგან განთავისუფლებული ახალგაზრდობა საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დიდი ენთუზიაზმით შეუდგა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისა და გაპარტახებული სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის ზრუნვას.

რესპუბლიკის კომკავშირმა, რომელიც აღზრდილი იყო პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადა ნაციონალიზმის ყოველგვარ გამოვლინებას, აქტიური მონაწილეობა მიიღო ლენინური ეროვნული პოლიტიკის გატარებაში და სათანადო ღონისძიებები განახორციელა „ახალგაზრდა მარქსისტთა“ მენშევიკური ორგანიზაციის იდეური და ორგანიზაციული განადგურებისათვის.

კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით, კომკავშირის თვითოეული წევრი, რიგითი თუ ხელმძღვანელი, რომელიც შემჩნეული იქნებოდა ნაციონალიზმში, უნდა გარიცხულიყო კომკავშირის რიგებიდან და გარიცხვის მიზეზი უნდა გამოქვეყნებულიყო კომკავშირულ პრესაში. ცენტრალურმა კომიტეტმა 1921 წლის ივნისში ბ. ძნელაძის ხელმოწერით გამოსცა ცირკულარული წერილი „კომკავშირის ყველა წევრისადმი" ნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ. ასეთი ღონისძიებები გამოწვეული იყო იმ აუცილებლობით, რომ მენშევიკები, დაშნაკები და მუსავატელები ყოველნაირად ცდილობდნენ ერთმანეთისათვის დაეპირისპირებინათ ამიერკავკასიის მოძმე ერები და ნაციონალიზმის შხამით მოეწამლათ ისინი.

მაგრამ ხალხთა შორის ძმობისა და ინტერნაციონალური მეგობრობის გრძნობა საქართველოს კომკავშირში აღმზრდელებმა რევოლუციურ ბრძოლებსა და დუხჭირი ცხოვრების პირობებში გამოაწრთეს, საქართველოს კომკავშირმა ინტერნაციონალიზმი დასაბამითვე თავის საბრძოლო დროშად აქცია. ამ სულისკვეთებით შეიქმნა ჩვენში პირველი კომკავშირული უჯრედები და ასეთი შეგნებით დაიწყო კომკავშირმა სოციალიზმის მშენებლობა.

კომკავშირელებსა და ახალგაზრდებს სახალხო მეურნეობის აღდგენით პერიოდში გრანდიოზული ამოცანები უნდა გადაეწყვიტათ შრომით ფრონტზე — ფაბრიკა-ქარხნების, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგების, კომუნალური მეურნეობისა და სხვათა მწყობრში ჩასაყენებლად.

ამ საქმეში დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა 1921 წლის 19 აპრილს მოწვეულმა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის გაფართოებულმა პლენუმმა, რომელმაც ახალი პირობების გათვალისწინებით საჭირო ღონისძიებები დასახა სახალხო მეურნეობის აღდგენაში კომკავშირის მონაწილეობის შესახებ.

რესპუბლიკის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი თავის პრაქტიკულ საქმიანობაში ფართოდ იყენებდა რევოლუციური მოღვაწეობის გამოცდილებას და სისტემატურად ზრუნავდა ორგანიზაციული განმტკიცებისა და დისციპლინის ამაღლებისათვის; ხელმძღვანელ კომკავშირულ სამუშაოზე აწინაურებდა ენერგიულ ახალგაზრდებს და ადგილებზე დახმარების გასაწევად აგზავნიდა გამოცდილ კომკავშირულ მუშაკებს. განსაკუთრებული ყურადღება მიექ-

ცა ახალგაზრდობის განათლებისა და აღზრდის საკითხებს. ასეთმა ღონისძიებებმა ხელი შეუწყო კომკავშირის აქტიურ მონაწილეობას სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში.

საქართველოს კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის ცხოვრებაში მნიშვნელოვან მოვლენად იქცა საქართველოს კომკავშირის პირველი ლეგალური ყრილობა, რომელიც 1921 წლის 21 აგვისტოს გაიხსნა ქ. თბილისში. ყრილობის 180 დელეგატი რესპუბლიკის კომკავშირის 12 ათას წევრს წარმოადგენდა. სოციალისტური საქართველოს ახლაგაზრდა თაობის წარმომადგენლებს რუსეთის კომუნისტური პარტიის სახელით მიესალმა და საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა სერგო ორჯონიკიძე.

ყრილობაზე ცენტრალური კომიტეტის ანგარიში გააკეთა ბ. ძნელაძემ, რომელმაც მიმოიხილა რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობა. იგი კომკავშირელებს მოუწოდებდა აქტიური მონაწილეობა მიეღოთ საბჭოთა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, გაეძლიერებინათ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა და ეზრუნათ რესპუბლიკის სამხედრო ძლიერებისათვის.

ყრილობამ იმსჯელა სოციალისტურ მშენებლობაში მუშა და გლეხი ახალგაზრდობის მონაწილეობაზე, განიხილა კომკავშირის პროგრამა და წესდება, ყურადღება გაამახვილა ახალგაზრდობაში პოლიტიკურ-საგანმანათლებლო მუშაობის გაშლის აუცილებლობაზე და აირჩია კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ახალი შემადგენლობა. 27 აგვისტოს გამართულმა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივნად ბორის ძნელაძე აირჩია.

საქართველოს კომკავშირის პირველი ლეგალური ყრილობის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში განსახორციელებლად ფართოდ გაშალეს მუშაობა კომკავშირულმა ორგანიზაციებმა დასახეს რა კონკრეტული ღონისძიებები შიდაკომკავშირული მუშაობის გაუმჯობესების, ახალგაზრდობის მარქსისტული განათლების გაძლიერების, სოფლად მუშაობის გარდაქმნის, ახალგაზრდობაზე წვრილ ბურჟუაზიული ელემენტების გავლენათა წინააღმდეგ ბრძოლისა და სხვა საკითხებზე.

მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა კომკავშირის რიცხობრივ შე-

მადგენლობაში — მაგალითად, თუ 1921 წლის თებერვალში კომკავშირის რიგებში 3500 წევრი ითვლებოდა, ოქტომბრისათვის ამ რიცხვმა 13 ათასს მიაღწია, რაც ახალგაზრდობაში კომკავშირის გავლენის ზრდაზე მიუთითებდა. მაგრამ კომკავშირში აღმოჩნდნენ მერყეევი და აშკარად მტრული ელემენტებიც, რომლებსაც არევ-დარევა შეჰქონდათ კომუნისტური ახალგაზრდობის საქმიანობაში. ისინი ყოველნაირად ცდილობდნენ შეეფერხებინათ ახალგაზრდობის ინიციატივა, მოედუნებინათ მისი საქმიანობა.

რესპუბლიკის კომკავშირის რიგების წმენდა უცხო ელემენტებისაგან 4 თვის მანძილზე მიმდინარეობდა და 1922 წლის მარტის პირველ რიცხვებში წარმატებით დამთავრდა.

ასეთმა ღონისძიებამ ორგანიზაციულად განამტკიცა საქართველოს კომკავშირი, გაზარდა მისი ავტორიტეტი და გავლენა ახალგაზრდობის ფართო მასებში. ეს კი საშუალებას იძლეოდა გაშლილიყო შემოქმედებითი შრომა საზოგადოებრივ, პოლიტიკურ და სამეურნეო ასპარეზზე.

ამ ხანებში კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობაში ფართოდ დაინერგა ქალაქად და სოფლად მასობრივი შაბათობების მოწყობა. კომკავშირის კომიტეტები ახალგაზრდობის აღზრდის ამ საკვანძოებით გამართლებულ საშუალებას მოხერხებულად იყენებდნენ საზოგადოებრივად სასარგებლო საქმისათვის. შაბათობები ეწყობოდა სარწყავი არხების გასაყვანად, საზოგადოებრივი ბოსტნების დასამუშავებლად, გზების შესაკეთებლად, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების კეთილმოსაწყობად და ა. შ. შაბათობებმა ფართო გავრცელება ჰპოვა თბილისის, ქუთაისის, აჭარის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კომკავშირულ ორგანიზაციებში.

რესპუბლიკის კომკავშირი ძალ-ღონეს არ იშურებდა პარტიისა და მთავრობის პოლიტიკის ცხოვრებაში განხორციელებისათვის. ახალი ეკონომიური პოლიტიკის პერიოდში კომკავშირულ ორგანიზაციებთან არსებობდა ე. წ. „მფრინავი რაზმები", რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ სასურსათო გადასახადების აკრეფისა და სახელმწიფოსათვის ჩაბარების საქმეში.

კომკავშირი დიდ ყურადღებას უთმობდა ინტერნაციონალური სულისკვეთებით მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობის აღზრდისა და სამხედრო საქმით ახალგაზრდობის დაინტერესების საკი-

თხებს. სისტემატურად მატულობდა კომკავშირის გავლენა კავშირგარეშე ახალგაზრდობაში.

კავშირგარეშე ახალგაზრდობის პოლიტიკური აქტივობისა და მათი კლასობრივი თვითშეგნების ამაღლების მიზნით კომკავშირული ორგანიზაციები ხშირად ატარებდნენ კომკავშირელებისა და ახალგაზრდების გაერთიანებულ კრებებსა და კონფერენციებს, კავშირგარეშე ახალგაზრდობისათვის ქმნიდნენ თანამგრძნობთა უჯრედებს.

კომკავშირის ავტორიტეტზე და მისი მუშაობის აღიარებაზე მიუთითებს 1922 წლის დასაწყისში საბჭოთა საქართველოს უმაღლეს და ადგილობრივ ორგანოებში დეპუტატებად ბევრი კომკავშირელის არჩევა.

რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობა კიდევ უფრო გამოცოცხლდა კომკავშირის მეოთხე ყრილობის შემდეგ, რომელიც 1922 წლის ივნისში გაიმართა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მშრომელი ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საქმეს, რასაც სოციალიზმის წარმატებით მშენებლობისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. კომკავშირმა ფართო ფრონტით შეუტია კომკავშირის რიგებში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისა და ახალგაზრდობის პოლიტიკური განათლების გაუმჯობესების საკითხებს.

კომკავშირულ პოლიტწრეებში მსმენელები სწავლობდნენ პარტიის ისტორიისა და მისი პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებს. კომკავშირული აქტივი და პროპაგანდისტები გაერთიანებული იყვნენ მარქსიზმის საფუძვლების შემსწავლელ პოლიტიკურ წრეებსა და სემინარებში.

კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მიერ ამ პერიოდში ჩატარებული ღონისძიებებიდან აღსანიშნავია უმაღლესი სასწავლებლების კომკავშირული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ამაღლება, მათი სოციალური შემადგენლობის გაუმჯობესება, აგრეთვე ნაციონალისტური სპორტული საზოგადოებების — „შევარდენის“, „სოკოლის“, „სკაუტის“ წინააღმდეგ ბრძოლა.

რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციების მეცადინეობით და პარტიული ხელმძღვანელობის ხელშეწყობით აღნიშნული სპორტული ორგანიზაციები დაიშალა, ნაცვლად კი შეიქმნა „სპარტაკის“ ორგანიზაციები, რომლებმაც ახალგაზრდობაში თავიდანვე

დიდი პოპულარობა მოიპოვა. ამაზე მიუთითებს თუნდაც ის ფაქტი, რომ სულ რამდენიმე თვეში ახალ სპორტულ საზოგადოებაში 9 ათასამდე ახალგაზრდა გაერთიანდა. სპორტული მუშაობის ფართოდ გაშლას განსაკუთრებით ხელი შეუწყო საქართველოს ფიზკულტურის უმაღლესმა საბჭომ, რომელიც 1923 წლის დეკემბერში შეიქმნა.

კომკავშირული ორგანიზაციები სისტემატურად აფართოებდნენ თავიანთი მოღვაწეობის სფეროს, ისინი დიდ ყურადღებას აქცევდნენ მუშა-ახალგაზრდობის შრომის პირობების გაუმჯობესებისა და მათი განათლების საკითხებს, მოსწავლეთა შორის მუშაობას, საფაბრიკო-საქარხნო სკოლების შექმნას, ბავშვთა კომუნისტური მოძრაობის განვითარებას, ახალგაზრდობის ათეისტურ აღზრდას, არმიაში და წვევამდელთა შორის მუშაობას, სასკოლო მშენებლობის, ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკური აღზრდისა და სხვა უმნიშვნელოვანეს პრობლემებს.

რესპუბლიკის კომკავშირმა საქართველოს კომკავშირის პირველ ლეგალურ კონფერენციაზე 1922 წლის 6 დეკემბერს შეფობა აიღო კასპიის სამხედრო-საზღვაო ფლოტზე. ასობით კომკავშირელმა და ახალგაზრდამ სურვილი გამოთქვა წასულიყო სამხედრო-საზღვაო სამსახურში. მარტო თბილისის ორგანიზაციიდან ფლოტში გაგზავნა ითხოვა 200-ზე მეტმა ახალგაზრდამ, მაშინ როდესაც თბილისელ კომკავშირელებს განაწილებით გამოყოფილი ჰქონდა მხოლოდ 25 ადგილი. კომკავშირის აფხაზეთის ორგანიზაციამ ფლოტის სასარგებლოდ 223 მილიონი მანეთი შეაგროვა: კომკავშირელები სამხედრო-საზღვაო ფლოტს უწევდნენ კულტურულ მომსახურებას და ახალგაზრდობაში ფართო პროპაგანდისტულ მუშაობას ატარებდნენ ამ მიმართებით. კომკავშირულ ორგანიზაციებში მოეწყო „ფლოტის კვირა“ და სხვა საინტერესო ღონისძიებები.

რევოლუციურ ბრძოლებში გამოწრთობილი კომკავშირი სისტემატურად სრულყოფდა მუშაობის ფორმებს, ამასთანავე დაუნდობელ ბრძოლას უცხადებდა უცხო ელემენტებს, ვინც მისი პოლიტიკური პროგრამის შეფერხებას ცდილობდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციების ნაყოფიერი მოქმედება „ახალგაზრდა მარქსისტთა“ საკმაოდ ძლიერი კონტრრევოლუციური ორგანიზაციისა და ახალგაზრდობის სხვა წვრილბურჟუაზიული დაჯგუფებების წინააღმდეგ.

ისარგებლეს რა იმით, რომ კომკავშირის მთელი ძალები მიმართული იყო დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენისაკენ, „ახალგაზრდა მარქსისტებმა“ ძირგამომთხრელი მუშაობა გააჩაღეს სოციალისტური საქართველოს წინააღმდეგ. 1922 წლის მაისში მათ გამოაქვეყნეს პროვოკაციული მოწოდება, თითქოს საქართველოს მუშა ახალგაზრდობა საშინლად მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა, რომ „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაცია, რომელიც ვითომც აერთიანებდა საქართველოს მთელ მუშა ახალგაზრდობას, წარმოუდგენელ რეპრესიას განიცდიდა. ისინი დასავლეთ ევროპის რეაქციულ ძალებს დახმარებას თხოვდნენ. „ძალიან შეეიწროებული და საშინელი ტერორის ქვეშ მყოფი საქართველოს ახალგაზრდობის „გადასარჩენად“ ხმა აიმაღლა დასავლეთის ყველაზე რეაქციულმა პრესამ.

საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა დასახელებული ცილისმწამებლური დოკუმენტის განხილვისას მიიღო გადაწყვეტილება „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციისათვის გადამწყვეტი ბრძოლა გამოეცხადებინა. როცა ახალგაზრდა მარქსისტებს ვერც მეორე ინტერნაციონალმა უშველა, მაშინ მასობრივად დაიწყო ორგანიზაციის დაშლა, ხოლო 1923 წლის 28 ოქტომბერს საქართველოს „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის სალიკვიდაციო ყრილობამ ამ საკითხს წერტილი დაუსვა.

მართალია, ორგანიზაციულად „ახალგაზრდა მარქსისტები“ დამარცხდნენ, მაგრამ მათი დიდი ნაწილი სხვადასხვა ჯგუფებში ერთიანდებოდნენ და მავნებლურ მუშაობას კარგა ხანს განაგრძობდნენ, ვიდრე მათ ტროცკისტების ბედი არ გაიზიარეს.

საქართველოს ახალგაზრდობის ყველა წვრილბურჟუაზიული ორგანიზაცია და დაჯგუფება არსებითად მენშევიზმის, მემარჯვენე და მემარცხენე ფედერალისტებისა და სხვათა აგენტურას წარმოადგენდა პროლეტარული ახალგაზრდობის შიგნით, ცდილობდნენ ახალგაზრდობაზე თავიანთი გავლენა მოეხდინათ. ამიტომ მათ წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლას კომკავშირისათვის პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა. მათი იდეური და ორგანიზაციული დამარცხების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა სოციალიზმის მშენებლობაში ახალგაზრდობის ფართოდ ჩაბმა და მოზარდი თაობის სწორი იდეური აღზრდა.

საქართველოს კომკავშირმა წარმატებით გაართვა თავი ტროცკისტებისა და სხვა ჯურის ოპორტუნისტების შემოტევას. იგი მუდამ პარტიასთან იყო, ნიღაბს ხდიდა და ანადგურებდა პარტიისა და ხალხის მტრებს, ახალგაზრდობას ზრდიდა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, უნერგავდა მას მტკიცე ნებისყოფასა და სოციალიზმის საქმისადმი თავდადებას. კლასობრივ მტრებთან ბრძოლაში რესპუბლიკის კომკავშირმა ბოლშევიკური პარტიისა და მისი ბელადის ვ. ი. ლენინის უკვდავი მოძღვრებისადმი უდიდესი სიყვარული და ერთგულება დაამტკიცა.

ახალგაზრდობაში კომკავშირის ავტორიტეტის ზრდაზე მეტყველებს 1923 წლის 20 ნოემბერს გაზეთ „სპარტაკში" გამოქვეყნებული სარედაქციო წერილი. „საქართველოს ახალგაზრდათა კომუნისტურ კავშირს, — ნათქვამია წერილში, — არსებობის 6 წლის თავზე საქართველოს მშრომელი ახალგაზრდობა შესძახებს: შენ ხარ ჩვენი წინამძღოლი, საიმედო გზის მანათობელი, ჩვენი ავანგარდი და ჩვენც შენთან ერთად ვხარობთ ამ დღეს, ჩვენც შენთან ერთად ვიყავით, ვართ და ვიქნებით ერთგული მატარებელი დაჩაგრული კლასის განთავისუფლების დროშის, ჩვენც შენთან ერთად თავს დავდებთ ყველა ქვეყნის დამონებულ ახალგაზრდათა გასანთავისუფლებლად, ჩვენც შენთან ერთად ვიბრძოლებთ მსოფლიო ოქტომბრისათვის".

1924 წლის 21 იანვარს მთელი ქვეყნის მშრომელები საყოველთაო გლოვამ და მწუხარებამ მოიცვა — გარდაიცვალა მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადი და მასწავლებელი, საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებელი ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი.

გლოვის დღეებში საქართველოს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა მოწოდებით მიმართა საქართველოს ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის ყველა წევრს, ახალგაზრდა მუშებსა და გლეხებს, რომლებშიც ნათქვამი იყო: „ლენინიზმის საფუძვლიანი შესწავლა, ლენინისებური რევოლუციური სიმტკიცის გამომუშავება, მარქსისტული თეორიის დაკავშირება რევოლუციურ პრაქტიკასთან ე. ი. ღრმა რწმენის ლენინისტებად გახდომა, ლენინიზმის გავრცელება მუშურ და გლეხურ ახალგაზრდობის ფართო მასებში, რათა მთელი მუშურ-გლეხური ახალგაზრდობა მტკიცედ დადგეს კომუნისტურ პარტიასთან ერთად ყველა ქვეყნის მშრომელთა განთავისუფლების გზაზე და გამობრძმედა საქართველოს მრავალ ათასეულ

ახალგაზრდა მუშების და გლეხებისა ღირსეული კომპარტიის ახალი რიგების შესაქმნელად, იმ პარტიისა, რომლისთვისაც მუდამ იღვწოდა ლენინი და რომელსაც უძღოდა მანათობელ ვარსკვლავად სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე, — აი რას გვაუალებს დიდი ბელადის განშორება".

საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში, პირველად კომკავშირულ ორგანიზაციებში ასობით მუშა და ღარიბ გლეხ ახალგაზრდას შეჰქონდა განცხადებები თხოვნით — მიეღოთ კომკავშირის რიგებში. მოკლე ხანში რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაცია 5 ათასი ახალი წევრით შეივსო, ხოლო 1.000-ზე მეტი კომკავშირელი მიღებულ იქნა პარტიის რიგებში. ეს იყო გამოძახილი ლენინურ გაწვევაზე პარტიაში და ლენინურ გაწვევაზე კომკავშირში.

1924 წლის 24 იანვარს რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის მე-6 პლენუმის გადაწყვეტილებით კომკავშირს ეწოდა „რუსეთის ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირი". პლენუმის დადგენილება საყოველთაო განხილვისათვის გადაეცა საბჭოთა კავშირის მთელ მშრომელ ახალგაზრდობას, რის შემდეგაც ამ საკითხზე საბოლოო დადგენილება უნდა მიეღო იმავე წლის ივლისში მოწვეულ რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის VI ყრილობას.

საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციები ლენინის სახელის მიღებისას თავიანთ კრებებსა და მიტინგებზე ფიცს დებდნენ, რომ მთელ ენერგიას მოახმარდნენ ლენინის დიად საქმეს, წმიდად დაიცავდნენ მის უძლეველ დროშას. ლენინის გარდაცვალებასთან დაკავშირებით უდიდესი ყურადღება მიექცა კომკავშირელებსა და ახალგაზრდობას შორის ლენინიზმის საფუძვლების შესწავლის გაძლიერებას. ამ მიმართებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსა და ამიერკავკასიის კომკავშირულ ორგანიზაციებში 23—30 აპრილს ჩატარებულ „ლენინიზმის კვირეულს".

„ლენინიზმის კვირეულის" განმავლობაში რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში მოეწყო მასობრივ-პოლიტიკური ღონისძიებები, ლექცია-საუბრები დიდი ბელადის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, პარტიისა და კომკავშირის ისტორიის საკითხებზე, მათ მომავალ პერსპექტივებზე. საწარმოო-დაწესებულებებში გაიხსნა გამოფენები და მოეწყო სტენდები ვ. ი. ლენინის ცხოვრების უმნიშვნელოვა-

ნეს მომენტებზე. ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე მასობრივი ტირაჟით გამოიცა ლენინის სიტყვა კომკავშირის მესამე ყრილობაზე, პარტიული და კომკავშირული პრესის ფურცლებზე დიდი ადგილი დაეთმო ბელადის ცხოვრების გაშუქებას.

საქართველოს კომკავშირის მე-7 ყრილობამ, რომელიც 1924 წლის 24 ივნისს გაიხსნა, მიიღო ერთსულოვანი გადაწყვეტილება, საქართველოს ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირისათვის „ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის“ დარქმევის შესახებ. ყრილობის პრეზიდიუმმა მეორე დღეს მიიღო ბავშვთა კომუნისტური ჯგუფების პარადი, რომელიც შედგა რამდენიმე ათასი პიონერის მონაწილეობით, საქართველოს კომკავშირის მორიგი ყრილობისა და ბავშვთა კომუნისტური ჯგუფებისათვის ახალი სახელწოდების — „ვ. ი. ლენინის სახელობის ბავშვთა კომუნისტური ორგანიზაციის“ მიკუთვნების აღსანიშნავად.

1924 წლის 12—18 ივლისს გაიმართა რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის VI ყრილობა. თავის პირველ სხდომაზე ყრილობამ 700 ათასი კომკავშირელის სახელით მიიღო დადგენილება კომკავშირისათვის ლენინის სახელის მინიჭების შესახებ.

„არა ლამაზი სიტყვებისათვის, არა იმის სურვილისათვის, რომ ვატაროთ ყველაზე საუკეთესო სახელი... არა, ჩვენ იგი მივიღეთ იმისათვის, რომ საბჭოთა კავშირში მოსახლე ყველა ხალხის მთელი მშრომელი ახალგაზრდობა, თავის მოწინავე რაზმთან — ახალგაზრდობის კომუნისტურ კავშირთან ერთად, განიმსჭვალოს ერთიანი სურვილით და მტკიცე გადაწყვეტილებით ისწავლოს ლენინურად ცხოვრება, მუშაობა და ბრძოლა, განახორციელოს ლენინის მიერ ჩვენთვის დატოვებული ანდერძი“, — ნათქვამია კომკავშირის მეექვსე ყრილობის მანიფესტში, ყველა კომკავშირელისადმი, მთელი მუშურ-გლეხური ახალგაზრდობისადმი.

ლენინიზმისადმი, ლენინის უკვდავი ანდერძისადმი ერთგულება ახალგაზრდობის წინაშე აყენებდა სოციალისტური ქვეყნის ზრდისა და აღმშენებლობის გრანდიოზულ ამოცანებს, ქალაქად და სოფლად მატერიალური და კულტურული დონის ამაღლების, ხალხის კეთილდღეობისათვის ბრძოლის უმნიშვნელოვანეს საკითხებს. როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი აღნიშნავს, „როცა ახალგაზრდათა კომუნისტურმა კავშირმა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სახე-

ლი დაირქვა, მან იკისრა დიდი პასუხისმგებლობა — ლენინის აზრები, რჩევები, ოცნებები გადაექცია თავისი ყოველდღიური საქმიანობის მუდმივ კრიტერიუმად, ჩაენერგა თვითეული ახალგაზრდისათვის ლენინიზმის საფუძვლიანი შესწავლის მისწრაფება".

საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციები. ასრულებდნენ რა დიდი ბელადის ანდერძს, საკავშირო და საქართველოს კომკავშირის ყრილობების გადაწყვეტილებებს, მუშა და გლეხ ახალგაზრდობას რაზმავდნენ ახალი გამარჯვებებისათვის. სოციალისტური მშენებლობის სხვადასხვა უბნებზე სახავდნენ კონკრეტულ ღონისძიებებს სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის.

პარტიული ორგანიზაციების ყოველდღიური მზრუნველობის შედეგად იზრდებოდა საქართველოს კომკავშირის როლი და ავტორიტეტი საზოგადოებრივ ცხოვრებაში. 1925 წლისათვის საქართველოში კომკავშირის წევრთა და კანდიდატთა რიცხვმა 50 ათასამდე მიაღწია. კომკავშირის რიგები უმთავრესად მუშა ახალგაზრდებით, სოფლის ღარიბი და საშუალო მოსახლეობიდან გამოსული ახალგაზრდობით ივსებოდა. ამ დროისათვის მუშა და გლეხი ახალგაზრდობის რიცხვი კომკავშირში 90 პროცენტს შეადგენდა.

კომკავშირისადმი მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის ნდობის ზრდა, კომკავშირის ავტორიტეტის ამაღლება, რაც კომკავშირის რიგების სწრაფ ზრდაში გამოიხატა, დღის წესრიგში აყენებდა პოლიტიკური სიფხიზლისა და კომკავშირელთა კომუნისტური აღზრდისადმი ყურადღების გამახვილებას.

ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1924 წლის ოქტომბრიდან კომკავშირში პოლიტიკური განათლების ერთიანი სისტემის შემოღებას, რაც ახალგაზრდობას საშუალებას აძლევდა ორგანიზებულად შეესწავლათ უმნიშვნელოვანესი საკითხები, პარტიისა და კომკავშირის გადაწყვეტილებები. ამ წელს კომკავშირულ პოლიტგანათლების დაბალ და საშუალო ტიპის პოლიტიკურ სკოლებში 10 ათასამდე კომკავშირელი გაერთიანდა. კომკავშირული აქტივი ცოდნის დონეს პარტიულ პოლიტსკოლებში იმაღლებდა, გარდა ამისა, კომკავშირული აქტივისათვის შექმნილი იყო პროპაგანდისტთა კოლექტივები.

კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი დიდ ყურადღებას უთმობდა პოლიტიკურ საკითხებზე მეთოდური ლიტერატურით ახალგაზრდობის უზრუნველყოფას. კომკავშირის წინადადებით იბეჭდე-

ბოდა წიგნები და ბროშურები, უმთავრესად პოლიტიკური ხასიათისა.

კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის პოლიტიკური სწავლების გაუმჯობესებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა კომკავშირული პრესა, რომელიც სისტემატურად აქვეყნებდა მეთოდურ მასალებს, აგრეთვე კომკავშირული ორგანიზაციების მიერ ამ მიმართებით ჩატარებულ ღონისძიებებს.

ახალგაზრდობის პოლიტიკური სწავლებისა და სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის განვითარებისათვის მოზარდი თაობის მობილიზაციაში უდიდესი როლი შეასრულა გაზეთმა „კომსომოლსკაია პრავდამ", რომელიც 1925 წლის მაისიდან იწყებს გამოსვლას.

რესპუბლიკის კომკავშირის ცხოვრებაში ასევე სასიხარულო მოვლენა იყო ახალგაზრდული გაზეთის დაარსება. 1925 წლის 8 დეკემბრიდან „სპარტაკის" ნაცვლად გამოსვლას იწყებს საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის ორგანო გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი", რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის საქმეში, იგი თავისი არსებობის 46 წლის მანძილზე დაუღალავად ემსახურებოდა და ემსახურება კეთილშობილურ მიზანს — ჩაუნერგოს მოზარდ თაობას მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებულობა, სოციალისტური სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარული, დარაზმოს ახალგაზრდები პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში განხორციელებისათვის.

გატარებულ ღონისძიებათა წყალობით საგრძნობლად გაუმჯობესდა როგორც კომკავშირელთა პოლიტიკური განათლება, ისევე საერთოდ ახალგაზრდობის აღზრდა. საქართველოს კომკავშირი გულმოდგინედ ზრუნავდა კომკავშირის წინაშე პარტიის მიერ დასახული ამოცანების შესასრულებლად. განსაკუთრებით ეს ითქმის სოფლის ახალგაზრდობაში კომკავშირული ორგანიზაციების მიერ გაწეულ ორგანიზატორულ და მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობაზე.

სოფლად 1412 კომკავშირულ უჯრედში 34 ათასზე მეტი კომკავშირელი იყო გაერთიანებული, რომლებიც ეხმარებოდნენ პარტიას, ღარიბ გლეხობას კულაკობისა და მევახშეების წინააღმდეგ ბრძოლაში. სწორედ ისინი იყვნენ სოფლად პარტიის პოლიტიკის გამტარებლები. ჩამორჩენილობასთან, შიმშილთან და სიღარიბეს-

თან აქტიური მებრძოლნი. კომკავშირელები დიდ დახმარებას უწევდნენ სოფლის გლეხობას საზოგადოებრივი სამუშაოების შესრულებაში, ქმნიდნენ სასოფლო-სამეურნეო წრეებს, რაც საშუალებას იძლეოდა ამაღლებულიყო სხვადასხვა კულტურების მოსავალი.

კომკავშირმა აქტიური მონაწილეობა მიიღო პირველი კოლმეურნეობების შექმნაში.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველ წლებში მოპოვებული სასიხარულო წარმატებები რესპუბლიკის მშრომელებისა და მისი მუყაითი ახალგაზრდობის თავდადებული შრომის შედეგი იყო. მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის განვითარებაში. უკვე 1924 წელს საერთო მოსავლიანობამ ომამდელ დონეს საგრძნობლად გადააჭარბა. სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი პირობა იყო მექანიზაციის და მელიორაციის გამოყენება. აღდგენით პერიოდში ახალგაზრდობის ინიციატივითა და შრომითი ენთუზიაზმით აღდგენილ იქნა და ახლად გაიჭრა რამდენიმე სარწყავი არხი. ამის შედეგად რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში აღორძინება დაეტყო მემინდვრეობას, მევენახეობას, მებაღეობას და მებოსტნეობას. დიდი ყურადღება დაეთმო ტექნიკური კულტურების აღდგენასა და მაღალმთიან რაიონებში მეცხოველეობის განვითარებას.

პარტიას, რომელიც ეყრდნობოდა სოციალიზმის ობიექტური ეკონომიური კანონების მოთხოვნებს, სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის აუცილებელ პირობად ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია მიაჩნდა, მითუმეტეს, რომ აღდგენითი პერიოდის დასასრულისათვის მრეწველობის ძირითადი და წამყვანი ძალა გახდა სოციალისტური სექტორი.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) IV ყრილობამ 1925 წლის ნოემბერ-დეკემბერში განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია საქართველოში ინდუსტრიის განვითარების საკითხს. ყრილობის მიერ მრეწველობის განვითარების შესახებ მიღებული რეზოლუცია წარმოადგენდა საქართველოში სოციალისტური ინდუსტრიის განვითარების ფართო პროგრამას.

ხალხის წინაშე იდგა სახალხო მეურნეობის გარდაქმნის, სოციალისტური ეკონომიკის საფუძვლების შექმნისა და განვითარების ამოცანა. ასეთ ვითარებაში წამოიჭრა საკითხი რა მიმართულებით უნდა გადაჭრილიყო სამეურნეო მშენებლობა საბჭოთა კავშირში,

საკმაო ძალა აღმოჩნდებოდა თუ არა სოციალისტური საზოგადოების ასაშენებლად, რით უნდა დაწყებულიყო ეს მშენებლობა. აღდგენითი პერიოდის დასასრულისათვის ყველა ეს პრობლემა წამოიჭრა როგორც ყოველდღიური სამეურნეო მშენებლობის საკითხი. პარტიამ ნათელი და გარკვეული პასუხი გასცა მათ. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ენერგიულად დაიცვა და განავითარა კაპიტალიზმის გარემოცვის პირობებში ერთ, ცალკე აღებულ ქვეყანაში სოციალისტური საზოგადოების აშენების შესაძლებლობის ლენინური თეორია. ამ გრანდიოზული ამოცანის შესრულება უნდა დაწყებულიყო სოციალისტური ინდუსტრიალიზაციით.

პარტიის XIV ყრილობამ განსაზღვრა ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკა და ქვეყნის ცხოვრებაში შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან ერთადერთ გამოსავალ პირობად სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია მიიჩნია. პარტიამ გამანადგურებელი პასუხი გასცა „ახალ ოპოზიციას“ — ტროცკისტ-ზინოვიეველებს, რომლებიც უნდობლობას უცხადებდნენ ყრილობის ამ გადაწყვეტილებას. პარტიის პოლიტიკის იდეურ მოწინააღმდეგეებში გაბოროტებას იწვევდა ყრილობის რეზოლუციის ის ადგილი, სადაც ნათქვამია: „ეკონომიური მშენებლობის დარგში ყრილობა გამოდის იქიდან, რომ ჩვენს ქვეყანას, პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყანას აქვს „ყველაფერი, რაც საჭიროა სრული სოციალისტური საზოგადოების ასაშენებლად“ (ლენინი). ყრილობას მიაჩნია, რომ საბჭოთა კავშირში სოციალისტური მშენებლობის გამარჯვებისათვის ბრძოლა ჩვენი პარტიის ძირითადი ამოცანაა“.

პარტიის მიერ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისაკენ კურსის აღებამ საპასუხისმგებლო ამოცანები დასახა ლენინური კომკავშირის, მთელი ჩვენი ახალგაზრდობის წინაშე. პარტიის XIV ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლუციაში „კომკავშირის მუშაობის შესახებ“ მოცემულია სოციალიზმის მშენებლობის მანძილზე კომკავშირის უმნიშვნელოვანესი ამოცანები, მათ შორის კომკავშირს მთავარი ყურადღება უნდა მიექცია ლენინიზმის შესწავლისათვის, გაეძლიერებინა თავისი იდეური და ორგანიზაციული გავლენა მშრომელი ახალგაზრდობის მასებზე, დაერაზმა ახალგაზრდობა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის, ყურადღება გაემახვილებინა ახალგაზრდობის ინტერნაციონალურ-რევოლუციურ აღზრდაზე.

პარტიის XIV ყრილობის გადაწყვეტილებებს მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ფართოდ გამოეხმაურა ქართველი ახალგაზრდობაც. 1926 წლის იანვარში კომკავშირული ორგანიზაციების კრებებზე განხილული და მოწონებული იქნა ყრილობის შედეგები. ამ საკითხს მიეძღვნა კომკავშირის თბილისის ორგანიზაციის საქალაქო აქტივის კრებაც, რომლის რეზოლუციაში ყრილობის გადაწყვეტილებები შეფასებული იყო, როგორც პარტიის პოლიტიკის დიდი გამარჯვება. გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ გამოქვეყნდა კრების მიმართვა რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციებისადმი, რომელიც შეიცავს მოწოდებას ყრილობის გადაწყვეტილებების განხორციელებაში აქტიური მონაწილეობისათვის.

პარტიის XIV ყრილობის დოკუმენტები და გადაწყვეტილებები ფართოდ იქნა შესწავლილი კომკავშირული პოლიტგანათლების ქსელში. ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმეში რესპუბლიკის კომკავშირის მონაწილეობის ძირითადი ღონისძიებების განსაზღვრას მიეძღვნა საქართველოს კომკავშირის VIII ყრილობა 1926 წლის 22—27 თებერვალს.

ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის განვითარებისათვის მაღალი ტემპების უზრუნველყოფის მიზნით პარტიამ მშრომელებს დაუსახა მომჭირნეობის, ეკონომიისა და ყოველგვარ ზედმეტ არასაწარმოო ხარჯებთან ბრძოლისა და წარმოების რაციონალიზაციაზე ზრუნვის ამოცანა.

ამ პერიოდში კომკავშირი იმის გარდა, რომ ენერგიას ამჟღავნებდა რეჟიმ-ეკონომიისა და წარმოებაში რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვის მოძრაობაში, სოციალისტური შეჯიბრების მასობრივად გაშლაში, პარტიის ერთგულ თანაშემწეს წარმოადგენდა სახელმწიფო აპარატში ბიუროკრატიზმთან ბრძოლის საქმეშიც.

ბიუროკრატიზმთან ბრძოლის ერთ-ერთ საინტერესო ფორმას წარმოადგენდა „მსუბუქი კავალერია“, რომლის რაზმების შექმნა კომკავშირულ ორგანიზაციებში 1928 წლიდან დაიწყო. ეს რაზმები ყოველდღიურ კონტროლს უწევდნენ სხვადასხვა ორგანიზაციების, საწარმოების, დაწესებულებების, ცალკეული პირების მუშაობას და დიდ როლს ასრულებდნენ სახელმწიფო აპარატის მუშაობის გაუმჯობესებაში.

მომჭირნეობის რეჟიმის განხორციელებამ, საყოველთაო შრო-

მითმა ენთუზიაზმმა შესაძლებელი გახადა კაპიტალური დაბანდებების განუწყვეტელი ზრდა ქვეყნის ინდუსტრიულ განვითარებაში. ქვეყნის ძლიერების ინტერესები მოითხოვდა განსაკუთრებული ყურადღება მიქცეოდა მდიდარი ენერგეტიკული რესურსების გამოყენებას.

დაუვიწყარია რესპუბლიკის კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის შრომითი გმირობა ზაჰესის პირველი რიგის მშენებლობაზე, რომელიც 1922 წელს დაიწყო. საქართველოს კომკავშირმა იგი დამკვრელურ მშენებლობად გამოაცხადა და მისმა მონაწილეობამ უზრუნველყო სამუშაოთა ვადამდე დამთავრება. ჰესის ამუშავებას სამართლიანად მიიჩნევდნენ სოციალისტური მშენებლობისა და საბჭოური ტექნიკური აზრის ბრწყინვალე წარმატებად. სწორედ ზაჰესში მიეცა დასაბამი რესპუბლიკის ჭაბუკებისა და ქალიშვილების დამკვრელური შრომის ტრადიციებს.

ზაჰესის ამუშავებიდან მეორე დღესვე საფუძველი ჩაეყარა რიონჰესის მშენებლობას, რომელსაც თავდაპირველად ქუთაისის კომკავშირული ორგანიზაცია, შემდეგ კი მთლიანად საქართველოს კომკავშირი უწევდა შეფობას. კომკავშირმა რიონჰესის მშენებლობაზე 2.500 ახალგაზრდა გაგზავნა. მშენებლობის ყველა უბანზე კომკავშირი იჩენდა ინიციატივას და რაზმავდა ახალგაზრდობას მშენებლობის ვადაზე ადრე დამთავრებისათვის. კომკავშირული ბრიგადები საუკეთესოთა შორის საუკეთესონი იყვნენ.

ახალგაზრდობა ასევე თავდადებულად შრომობდა ფაბრიკა-ქარხნებისა და სხვა მნიშვნელოვანი ობიექტების მშენებლობებზე, აცხადებდა საწარმოო კონკურსებს. დამკვრელურ შრომას და ამზადებდა პირობებს სოციალისტურ შეჯიბრებაზე გადასვლისათვის.

სოციალისტურ შეჯიბრებაში საქართველოს მშრომელი ახალგაზრდობის მასობრივად ჩაბმისთვის დიდი მუშაობა გასწია კომკავშირულმა პრესამ, რომელიც აქვეყნებდა საინტერესო წერილებს, მოწოდებებსა და ინფორმაციებს შეჯიბრებაში მოპოვებულ პირველ წარმატებებზე, ახალგაზრდული კოლექტივების ამოცანებსა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე.

სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორები იყვნენ თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის, 26 კომისრის სახელობის ქარხნის, ქუთაისის მაუდის ფაბრიკის, რიონჰესის მშენებლობის, ჭიათურის მაღაროების, სამტრედიისა და წულუკიძის ძაფსაღები

ფაბრიკებისა და სხვა მოწინავე საწარმოების კომკავშირელები და ახალგაზრდები.

საქართველოში სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელური შრომის ძალა განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა ფაბრიკა-ქარხნების მშენებლობებზე. 1926—1929 წლებში საფუძველი ჩაეყარა 42-ზე მეტ ფაბრიკასა და ქარხანას. კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის მუყაითი მონაწილეობით მოკლე ვადებში ჩადგნენ მწყობრში თბილისის ლითონკონსტრუქციათა ქარხანა, ქუთაისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა, თბილისის პირველი სამკერვალო ფაბრიკა, მარელისის ავეჯის ფაბრიკა, მცხეთის სახერხი ქარხანა, ჩაის ფაბრიკები ბობოყვათში, აცანაში, შრომაში, გალში და მრავალი სხვა.

1929 წლის ნოემბერში გაიმართა საქართველოს დამკვრელი ბრიგადების რესპუბლიკური თათბირი, რომელმაც განაზოგადა მიღწეული შედეგები და დასახა ღონისძიებები ახალი სამშენებლო ობიექტების მშენებლობის დაჩქარებისათვის. იმავე წლის დეკემბერში მოსკოვში შეიკრიბა დამკვრელთა პირველი საკავშირო ყრილობა, რომელმაც დელეგატთა ყურადღება გაამახვილა ხუთწლიანი გეგმების ვადამდე შესრულების ამოცანებზე.

უფრო ადრე საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო პარტიის XV ყრილობა, რომელიც 1927 წლის დეკემბერში ჩატარდა. ყრილობამ მიიღო წვრილ ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობათა მსხვილ კოლექტიურ მეურნეობებში გაერთიანების ლენინური გეგმა. დაიწყო ქვეყნის მთლიანი კოლექტივიზაცია. ყრილობამ ამასთანავე მიიღო დირექტივები სახალხო მეურნეობის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმის შედგენის შესახებ. „ყრილობა, — ნათქვამია დირექტივებში. — ყურადღებას მიაქცევს კომკავშირის უდიდეს როლს და მის წინაშე მდგომ ამოცანებს. კომკავშირი უნდა იყოს ახალ წამოწყებათა ინიციატორი და გამტარებელი ქალაქში და სოფლად მეურნეობის, შრომისა და ყოფაცხოვრების რაციონალიზაციის საქმეში. კომკავშირი უნდა იყოს მთავარი ბერკეტი პროლეტარული, ღარიბი და საშუალო გლეხი ახალგაზრდობის ფართო მასების ხელახლა აღზრდის, სოციალიზმის მშენებლობისა და ქვეყნის გარეთ და შიგნით არსებული ყველა მუქარისაგან მისი დაცვის სულისკვეთებით“.

პარტიის XV ყრილობის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გან-

ხორციელების ნიშნით ჩატარდა 1928 წლის თებერვალ-მარტში საქართველოს კომკავშირის მე-9 და იმავე წლის მაისში საკავშირო კომკავშირის მე-8 ყრილობები.

ლენინური კომკავშირის საბრძოლო დამსახურება ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის წლებში საბრძოლო წითელი დროშის ორდენით აღინიშნა.

საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციები სისტემატურად სრულყოფდნენ ახალგაზრდობაში ორგანიზატორული და იდეურ-პოლიტიკური მუშაობის ჩვევებს, აქტიურად მონაწილეობდნენ სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის მასობრივ კოლექტივიზაციაზე გადასვლის საქმეში. მათი ინიციატივით სოფლებში იქმნებოდა სანიმუშო კომკავშირული ნაკვეთები, საცდელი მინდვრები, მეფრინველეობის კოლექტივები და მეაბრეშუმეობის არტელები.

კომკავშირელები დიდ ყურადღებას უთმობდნენ შაბათობების მოწყობასა და საშეფო მუშაობის გაფართოებას, რითაც მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდათ სოფლად კოოპერაციული გაერთიანებების, გლეხთა კომიტეტებისა და სხვა ორგანიზაციების ჩასახვასა და განვითარებაში. კომკავშირი გვერდით ედგა პარტიულ ორგანიზაციებს კულაკებისა და ნეპმანური ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

1929 წელს საქართველოს კომკავშირმა მოაწყო „მოსავლისათვის ლაშქრობა", რაც სათესი ფართობისა და მოსავლის გადიდებასთან ერთად მიზნად ისახავდა ახალი კოლმეურნეობების ჩამოყალიბებას. ლაშქრობის ორგანიზებულად ჩატარებისათვის შეიქმნა სპეციალური კომიტეტები თბილისში, აჭარაში, აფხაზეთსა და სამხრეთ-ოსეთში; ქალაქებსა და სოფლებში გაიმართა აქტივის კრებები სოფლის მეურნეობის სპეციალისტების მონაწილეობით, მოეწყო კომკავშირულ აქტივისტთა მოკლევადიანი კურსები, ჩატარდა მასობრივი შაბათობები, თბილისის კომკავშირულ ორგანიზაციებში შეიქმნა მუშათა ბრიგადები, რომლებიც იგზავნებოდნენ სოფლებში სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების შესაკეთებლად.

მოსავლისათვის ლაშქრობის პერიოდში მაზრების სოფლებსა და თემებში კომკავშირული ორგანიზაციების ინიციატივით ჩამოყალიბდა სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა ჯგუფები გლეხებისათვის პრაქტიკული დახმარების გაწევის მიზნით. განსაკუთრებით

აღსანიშნავია კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის დიდი წვლილი სოფლის მეურნეობის კულტურების მავნებლებთან ბრძოლის საქმეში.

მოსავლისათვის ლაშქრობამ უდიდესი როლი შეასრულა რესპუბლიკაში და მის გარეთაც სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლაში. კომკავშირის ამიერკავკასიის ორგანიზაცია სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული იყო უზბეკეთის, ჩრდილოეთ კავკასიისა და ციმბირის ოლქების კომკავშირულ ორგანიზაციებთან.

ამ დროს რესპუბლიკის კომკავშირი იყო ქალაქად და სოფლად მრავალი წამოწყების ინიციატორი და ორგანიზატორი. იგი სათავეში ედგა ახალგაზრდობის მასობრივ შაბათობას სკოლების კეთილმოწყობისათვის, ჯართის შეგროვების ერთთვიურის ჩატარებასა და წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეს. 1928 წლის 1 აგვისტოდან მთელს რესპუბლიკაში მოეწყო წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის ერთთვიური. კომკავშირული ორგანიზაციების ინიციატივით სახალხო განათლების ორგანოების მიერ მომზადდა ათეულობით კომკავშირელი წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო წრეების ხელმძღვანელებად. კომკავშირის რაიონულმა კომიტეტებმა გამოყვეს რწმუნებულები ამ მუშაობის ჩასატარებლად. გარდა ამისა კომკავშირი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ბავშვთა კომუნისტური ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობას. კომკავშირის კომიტეტების მხრივ სისტემატური დახმარების შედეგად პიონერული ორგანიზაციები გადაიქცნენ ახალგაზრდობის ერთ-ერთ ყველაზე მასობრივ ორგანიზაციად. 1929 წელს მასში გაერთიანებული იყო 110 ათასზე მეტი ბავშვი.

ამ საინტერესო მუშაობასთან ერთად რესპუბლიკის კომკავშირი ყურადღებას არ აკლებდა პროლეტარულ მწერალთა ახალგაზრდა კადრების აღზრდის, ახალგაზრდობის მიერ რევოლუციური თეორიის დაუფლების და ლენინიზმის ღრმად შესწავლის საკითხებს; სახავდა პრაქტიკულ ღონისძიებებს სამხედრო-ფიზკულტურული მუშაობის შემდგომი გაშლისათვის. ქმნიდა სამხედრო საქმის შემსწავლელ წრეებს, აწყობდა სამხედრო კუთხეებსა და სტენდებს, მონაწილეობდა წითელი არმიის მანევრებსა და არმიისათვის წვევამდელთა მომზადებაში. ამ ხანებში კომკავშირული ორგანიზაციების მიერ შეგროვილი თანხებით აიგო ტანკი „საქართველოს კომკავშირელი“.

საქართველოს კომკავშირმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის მიერ 1926—1927 სასწავლო წელს განხორციელებულ უმაღლესი სასწავლებლების რეორგანიზაციაში, აგრეთვე საშუალო სკოლების ქსელის გაფართოებაში.

ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისათვის ბრძოლის წლებში პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით კომკავშირმა ბევრ ასეთ საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული ღონისძიების ჩატარებაში მიიღო აქტიური მონაწილეობა.

საქართველოს კომკავშირმა გმირობისა და მამაცობის შესანიშნავი მაგალითები აჩვენა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ლენინური გეგმის განხორციელებისა და სახალხო მეურნეობის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში. ამ საქმეში საქართველოს კომკავშირის მონაწილეობა კიდევ უფრო მრავალფეროვანი გახდა 1929 წლის მეორე ნახევრიდან, კერძოდ, საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის მიერ სამეურნეო მშენებლობაში ლენინური კომკავშირის მონაწილეობის შესახებ მიღებული დადგენილების შემდეგ.

პარტია საბჭოთა ახალგაზრდობის მებრძოლ ავანგარდს ავალებდა მოეწყო სოციალისტური შეჯიბრება სასოფლო რაიონებისა და ოლქების მასობრივი კოლექტივიზაციის ამოცანების სწრაფი განხორციელებისათვის, განსაკუთრებული ყურადღება მიექცია კოლმეურნეობის სამეურნეო-ორგანიზაციული განმტკიცებისათვის.

ამ დროისათვის ბევრ ადგილას მასობრივი საკოლმეურნეო მოძრაობა მთლიან კოლექტივიზაციაში გადაიზარდა, რაც სოციალიზმისაკენ გლეხთა მასების სწრაფვას ნიშნავდა. როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, საქართველოშიც მთლიანი კოლექტივიზაცია უმტკივნეულოდ არ მომხდარა. მას თან ახლდა კლასობრივი მტრების — კულაკების გააფთრებული წინააღმდეგობა. ისინი ყოველნაირად ცდილობდნენ არა მარტო შეეფერხებინათ, არამედ საერთოდ ჩაეშალათ საკოლმეურნეო მოძრაობა; სახალხო მეურნეობას აყენებდნენ მძიმე მატერიალურ ზარალს, წამლავდნენ საკოლმეურნეო მინდვრებს, ანადგურებდნენ პირუტყვს, ავრცელებდნენ პროვოკაციულ ხმებს საკოლმეურნეო მშენებლობაში პარტიის პოლიტიკის წინააღმდეგ. კოლმეურნეობაში თავიანთი ნება-სურვილით შესულ

პატიოსან მშრომელებს ემუქრებოდნენ და ხშირად აშკარა ტერორსაც მიმართავდნენ.

მაგრამ პარტიული ორგანიზაციების ენერგიული მუშაობის შედეგად შესაძლებელი გახდა კულაკობის როგორც კლასის შეზღუდვა, ხოლო შემდეგ მისი საბოლოოდ განადგურება. ამ ბრძოლაში პარტიასთან ერთად იყო საქართველოს კომკავშირიც.

1930 წლის საგაზაფხულო თესვის კამპანიის დროს სოფლად 250-ზე მეტი ბრიგადა გაიგზავნა, რომლებშიც 6400 კომკავშირელი იყო გაერთიანებული. კოლმეურნეობებში მუდმივ სამუშაოდ გაიგზავნა 350 კომკავშირელი. სოფლად მასობრივად შეიქმნა სოფლის მეურნეობის შემსწავლელი კურსები და წრეები. კომკავშირელები და ახალგაზრდები აქტიურად მონაწილეობდნენ პურის დამზადების კამპანიაში. ისინი ღარიბ და საშუალო გლეხ ახალგაზრდობაში ახსნა-განმარტებით მუშაობას ეწეოდნენ პურის დამზადებისა და სახელმწიფოსათვის ჩაბარების პოლიტიკური მნიშვნელობის შესახებ; სათავეში ედგნენ სოციალისტურ შეჯიბრებას, ქმნიდნენ პურის დამამზადებელ ბრიგადებს, რომლებშიც 2000-მდე კომკავშირელი იყო გაერთიანებული. კომკავშირული ორგანიზაციები ასევე აქტიურობდნენ მეცხოველეობის განვითარებისათვის.

მრეწველობის განვითარებასა და საკოლმეურნეო მშენებლობაში რესპუბლიკის კომკავშირის მონაწილეობის პირველი შედეგები შეაჯამა საქართველოს კომკავშირის მეათე ყრილობამ 1930 წლის დეკემბერში. ამ დროისათვის საქართველოს კომკავშირში 109 ათასი წევრი და კანდიდატი იყო.

ყრილობამ ზემოაღნიშნულ საკითხებთან ერთად მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო კულტურულ მშენებლობაში კომკავშირული ორგანიზაციების მონაწილეობას, მუშათა კლასის წრიდან ახალი კადრების მომზადების, წარმოებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და ამ საქმეში კომკავშირული ორგანიზაციების როლის ამაღლების საკითხებს. მაღალი შეფასება მიეცა ყრილობაზე „მსუბუქი კავალერიის არმიას“, რომელიც 2700 რაზმისაგან შედგებოდა და 20 ათას კავალერისტს აერთიანებდა.

ყრილობამ კომკავშირულ ორგანიზაციებს დაავალა გარდატეხა მოეხდინათ კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობაში, გაეძლიერებინათ ანტირელიგიური პროპაგანდა. დიდი ამოცანები დაისახა კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებისა

და შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის, სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის ფართოდ დანერგვისათვის და სხვა.

კომკავშირი მთელ თავის ძალებს ახმარდა პირველი ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლას. ახალგაზრდობას მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა ჩაის, ყურძნის, ხილის, ბამბის, აბრეშუმის, თამბაქოსა და ციტრუსების უხვი მოსავლის მოყვანაში. კომკავშირული ორგანიზაციები აწყობდნენ მასობრივ შაბათობებს, ქმნიდნენ დამკვრელურ ბრიგადებს, აყალიბებდნენ ახალ კოლმეურნეობებს, საპასუხისმგებლო უბნებზე აგზავნიდნენ მოწინავე კომკავშირელებს, სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილ დარგებში არსებული ნაკლოვანებების დასაძლევად აწყობდნენ ლაშქრობებსა და დამკვრელ დეკადებს. კომკავშირული დამკვრელური ბრიგადები იქმნებოდა სოფლად სხვადასხვა სამეურნეო კამპანიის ჩასატარებლად.

1932 წლის 5 აგვისტოს საქართველოს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება ჩრდილოეთ კავკასიის კომკავშირული ორგანიზაციის ინიციატივით მოსავლის საუკეთესოდ აღებასა და დამზადებაზე გამოცხადებულ საკავშირო შეჯიბრებაში მონაწილეობის შესახებ. საქართველოს კომკავშირმა შეჯიბრებაში აზერბაიჯანის კომკავშირი გამოიწვია. კომკავშირის რაიონულმა კომიტეტებმა კოლმეურნეობებს ვიამაგრეს რაიონის აქტიური მუშაკები მოსავლის აღებისა და დამზადების მთელ პერიოდში. კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში დამატებით შეიქმნა დამკვრელი კომკავშირული ბრიგადები, რომლებიც მამაცური შრომის მაგალითებს იძლეოდნენ.

საქართველოს კომკავშირმა ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტ და მეოთხე დამამთავრებელ წელს სასახელო მაჩვენებლები მოიპოვა მრეწველობაში, ტრანსპორტზე, მაღაროებში, მშენებლობებზე, რასაც ხელი შეუწყო შრომის სოციალისტური ფორმებისა და მეთოდების ფართოდ დანერგვამ.

მძიმე მრეწველობის განვითარების ტემპები, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისა და სოციალისტური მშენებლობის ამოცანები აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებასა და კულტურული რევოლუციის გადაწყვეტისათვის ბრძოლას მოითხოვდა.

სახალხო განათლების ორგანოებთან ერთად კომკავშირის საბრძოლო ამოცანად იქცა საყოველთაო-სავალდებულო პირველდაწყებითი სწავლების გატარება, წერა-კითხვის უცოდინარობის სა-

ლიკვიდაციო სკოლების მსმენელთათვის დახმარება და დაწყებითი და საშუალო სკოლების პედაგოგიური კადრებით უზრუნველყოფა.

1933 წელს საქართველოში 4.474 დაწყებითი სკოლა იყო, რომლებიც 423 ათასზე მეტ მოსწავლეს აერთიანებდა, ეს კი სასკოლო ასაკის ბავშვთა რაოდენობის 97 პროცენტს შეადგენდა. მაშასადამე, თითქმის მთლიანად განხორციელებული იყო დაწყებითი საყოველთაო-სავალდებულო სწავლება. ყოველწლიურად იზრდებოდა საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების ქსელი. თუ 1918 წლისათვის საქართველოში იყო მარტო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1931 წლისათვის უმაღლესი სასწავლებლების რიცხვმა 19-ს მიაღწია, სადაც 16 ათასზე მეტი სტუდენტი სწავლობდა, რესპუბლიკის 155 სპეციალურ ტექნიკუმში 28.834 მოსწავლე იყო.

კომკავშირი მუდამ შეუნელებელ ყურადღებას იჩენდა ბოლშევიზმის გმირულ ისტორიაზე და მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლის ტრადიციებზე ახალგაზრდობის აღზრდის საკითხებისადმი. ახალგაზრდობის პოლიტიკური განათლების ქსელის ძირითად ფორმას წარმოადგენდა კომკავშირში ახალმიღებულთა სკოლები, მომდინარე პოლიტიკის წრეები, საკოლმეურნეო სკოლები, საკავშირო ლენინური კომკავშირის ისტორიის შემსწავლელი წრეები. 1930—1931 სასწავლო წელს პოლიტიკური განათლების ყველა რგოლში გაერთიანებული იყო 73 ათასამდე კომკავშირელი, ხოლო მომდევნო წელს მათმა რიცხვმა 102 ათასს მიაღწია. 1932—1933 სასწავლო წლიდან საქართველოში მასობრივად იქმნება მარქსიზმ-ლენინიზმის შემსწავლელი მაღალი ტიპის წრეები და საქართველოს კომკავშირის ისტორიის შემსწავლელი წრეები.

რესპუბლიკის ახალგაზრდობის მაღალი შრომითი და პოლიტიკური აქტივობის ვითარებაში 1932 წლის ოქტომბერში საზეიმოდ აღინიშნა საქართველოს კომკავშირის შექმნის 15 წლისთავი.

ამ თარიღთან დაკავშირებით თბილისის შ. რუსთაველის სახელობის აკადემიურ თეატრში გამართულ საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის საზეიმო პლენუმზე საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ფილიპე მახარაძემ. მან გამოაქვეყნა საქართველოს აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგე-

ნილება 15 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

საქართველოს კომკავშირის 15 წლისთავის დღესასწაული პირველი ხუთწლედის გეგმების ვადამდე ადრე შესრულებისა და სახალხო მეურნეობის განვითარების მეორე ხუთწლიანი გეგმის ამოცანების განხორციელებისათვის რესპუბლიკის კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის ნამდვილ მობილიზაციად გადაიქცა. ბრძოლა ახალი ხუთწლედის წარმატებით შესრულებისათვის საქართველოს კომკავშირის, მთელი ქართველი ახალგაზრდობის ღირსების საქმე გახდა. სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგიდან ექსპლოატაციაში გაშვებული ფაბრიკა-ქარხნების მშენებლობის ისტორია უშუალოდ უკავშირდებოდა რესპუბლიკის ახალგაზრდობის თავდადებულ შრომას. საწარმოებში ფართოდ იქმნებოდა „მეორე ხუთწლედის" სახელობის დამკვრელურ-კომკავშირული ბრიგადები. კომკავშირელების გამრჯე მარჯვენით აშენდა თბილისის ფოლად-თუჯსასხმელი ქარხანა, ინგურის ქაღალდის კომბინატი, ზესტაფონის ფერომანგანუმის ქარხანა, ქუთაისის ლიტოპონის, აგარის შაქრის ქარხნები და მრავალი სხვა.

მეორე ხუთწლედის ახალმშენებლობებზე და სახალხო მეურნეობის სხვადასხვა უბნებზე ენერგიულ საქმიანობასთან ერთად რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციები ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ ახალგაზრდობის ტექნიკური სწავლების დარგში, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც საკავშირო კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილებები ტექნიკური მინიმუმის ორგანიზაციისა და საზოგადოებრივი ტექნიკური გამოცდების ჩატარების შესახებ.

ტექნიკური სწავლებისადმი თბილისელი ახალგაზრდობის დაინტერესებაზე მიუთითებს ის, რომ ტექნიკურ წრეებში ჩაბმულმა 3742 კომკავშირელმა და კავშირგარეშე ახალგაზრდამ ტექნიკური გამოცდები წარმატებით ჩააბარა. მონდომებით სწავლობდნენ ტექნიკურ სიახლეებს რესპუბლიკის ტრანსპორტის, ვაჭრობისა და კოოპერაციული დაწესებულებების ახალგაზრდა მუშაკები.

მოწინავე ტექნიკისა და ტექნოლოგიური პროცესების დაუფლებით კომკავშირმა დიდად შეუწყო ხელი მშრომელი მასების შემოქ-

მედებითი ინიციატივის გამოვლენას, მათ მონაწილეობას საყოველთაოდ გავრცელებულ სტახანოვურ მოძრაობაში.

1935 წლის 31 აგვისტოს ახალგაზრდა დონბასელმა მაღაროელმა ალექსი სტახანოვმა ერთ ცვლაში მოანგრია 102 ტონა ქვანახშირი და ამით 14-ჯერ გადააჭარბა ქვანახშირის ამოღების დღიურ ნორმას. კომკავშირელმა მნგრეველმა თავისი რეკორდი ახალგაზრდობის საერთაშორისო დღეს მიუძღვნა, ხოლო მას მიმბაძველები მთელ საბჭოთა კავშირში გამოუჩნდნენ.

საქართველოში ამ მოძრაობას პირველი გამოეხმაურა ჭიათურელი მაღაროელი ვასილ სამხარაძე, რომელმაც ერთ ცვლაში გეგმით გათვალისწინებული 9 ტონის ნაცვლად 51 ტონა მარგანეცი მოანგრია და დღიური გეგმა 561 პროცენტით შეასრულა. თავი ისახელეს აგრეთვე თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მჭედელმა დ. ჭიჭინაძემ, ტყიბულელმა მეშახტეებმა კ. კასრაძემ და პ. ჭელიძემ და წარმოების ასობით სხვა მოწინავემ.

მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში სტახანოვური მოძრაობის ინიციატორი იყო კომკავშირელი ქალი მ. ბენდელიანი, რომელიც მქსოველად მუშაობდა ქუთაისის აბრეშუმის კომბინატში. იგი გეგმით გათვალისწინებული 55 მეტრის ნაცვლად ექვს საქსოვ დაზგაზე ყოველდღიურად 61—64 მეტრ აბრეშუმის ტილოს ქსოვდა. მსუბუქ მრეწველობაში ასევე თავი ისახელეს სონია ხობუამ, ოლია გელენიძემ, ნატალია კანდელაკმა და სხვებმა.

სტახანოვური მოძრაობა სწრაფად გავრცელდა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგში დასაქმებულ ახალგაზრდებს შორის.

1935 წლის 14 ნოემბერს კი მოსკოვში, კრემლში ჩატარდა სტახანოველთა პირველი საკავშირო თათბირი. სტახანოვურ მოძრაობას მაღალი შეფასება მისცა იმავე წლის დეკემბერში მოწვეულმა საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა.

საქართველოს კომკავშირმა მეორე ხუთწლედის წლებში დიდი მუშაობა გასწია ჩაის კულტურის დანერგვისა და განვითარებისათვის. ჩაის კულტურა გავრცელდა მახარაძის, ლანჩხუთის, სამტრედიის, ცხაკაიას, წულუკიძის, წალენჯიხის, გეგეჭკორის, ზუგდიდის, წყალტუბოს და ტყიბულის რაიონებში, რომლის მოვლა-პატრონობაზე დაუცხრომლად ზრუნავდნენ კომკავშირელები და ახალგაზრდები.

ჩაის უხვი მოსავლისათვის საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ-მა კომიტეტმა ჩაის რაიონების კომკავშირულ ორგანიზაციებს შორის გამოაცხადა კონკურსი, რომელშიც 10 ათასამდე კომკავშირელი ჩაება.

დიდი მიღწევებით ხასიათდებოდა კომკავშირის საქმიანობა ძვირფასი სუბტროპიკული კულტურების ათვისების და განვითარებისათვის. ამ კულტურების მოსავლიანობის ამაღლებაში საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწიეს კომკავშირის აჭარის, აფხაზეთის, მახარაძისა და სხვა რაიონების ორგანიზაციებმა.

მანდარინის, ფორთოხლის, ლიმონისა და სხვათა უხვი მოსავლისათვის ლაშქრობას სათავეში აფხაზეთის კომკავშირული ორგანიზაციები ჩაუდგნენ, რომლებმაც სოციალისტურ შეჯიბრებაში აჭარელი თანატოლები გამოიწვიეს. შეჯიბრებამ ფართო გაქანება ჰპოვა სხვა სუბტროპიკული რაიონების კომკავშირელებსა და ახალგაზრდობაშიც.

მეორე ხუთწლედში კომკავშირმა აგრეთვე წარმატებებს მიაღწია მეაბრეშუმეობასა და მეთამბაქოეობაში. თამბაქოს მოსავლიანობის ამაღლებაში განსაკუთრებით თავი ისახელეს ლაგოდეხის და გუდაუთის კომკავშირულმა ორგანიზაციებმა. ხოლო თუთის ჯიშების გაუმჯობესებისა და საკვები ბაზის სწორი ორგანიზაციის შედეგად მეაბრეშუმეობა რესპუბლიკაში იქცა მნიშვნელოვან მეურნეობად. რესპუბლიკის კომკავშირმა აქტიური მონაწილეობა მიიღო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ დასახულ ღონისძიებებში მევენახეობისა და მებაღეობის მაღალი დონის მისაღწევად.

საქართველოს კომკავშირის წარმატებები მოიპოვებოდა მისი რიგების სისტემატური განმტკიცებით, კომკავშირელთა დისციპლინის ამაღლებით და რევოლუციური სიფხიზლის გაძლიერებით. კომკავშირული ორგანიზაციები ზრუნავდნენ არა მარტო შრომით საქმიანობაში ახალგაზრდობის მასობრივად ჩაბმაზე, არამედ დიდ ყურადღებას უთმობდნენ ქალიშვილებისა და ჭაბუკების იდეურ-პოლიტიკური ცოდნის ამაღლებასა და სამხედრო-ფიზიკურ მომზადებას. ამ მიმართებით მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო საქართველოს კომკავშირის მიერ მოწყობილი საზოგადოებრივი სამხედრო-ტექნიკური გამოცდები. კომკავშირი ხელს უწყობდა თავდაცვითი სპორტული სახეების განვითარებას. ახალგაზრდობა ფართოდ მიიზი-

და თბილისში შექმნილმა აეროკლუბმა, რომლის აღზრდილებმა შემდგომ გმირობისა და მამაცობის შესანიშნავი მაგალითები აჩვენეს დიდი სამამულო ომის ფრონტებზე.

წარმატებით ვითარდებოდა საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობა. ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა 4 წელიწადსა და სამ თვეში შეასრულეს მეორე ხუთწლიანი გეგმა, შეიქმნა ყველა პირობა სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრებისა და სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასასვლელად. ამ ხანებში კომკავშირმა პარტიის ხელმძღვანელობით დიდი მუშაობა გასწია კომკავშირული სიფხიზლის გაძლიერებისა და კომკავშირული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ამაღლებისათვის, გაიზარდა კომკავშირის როლი და ავტორიტეტი ახალგაზრდობის ფართო მასებში. მარტო 1937 წლის მაისიდან 1938 წლის 1 აპრილამდე საქართველოს კომკავშირის რიგებში 37 ათასამდე ახალგაზრდა შევიდა.

ახალგაზრდობაში მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაძლიერებას ისახავდა მიზნად 1939 წლის იანვარში კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით თბილისში მოწვეული ახალგაზრდა ინტელიგენციის შეკრება, რომელსაც 800-ზე მეტი პედაგოგი, ინჟინერი, ტექნიკოსი და მოსამსახურე დაესწრო. ასეთივე შეკრებები ჩატარდა ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, ცხინვალში, ფოთში და სხვა ქალაქებში.

ქვეყნის ცხოვრებაში დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო საკავშირო კპ (ბ) XVIII ყრილობის მოწვევა 1939 წლის მარტში, რომლის გადაწყვეტილებებმა ახალი საბრძოლო პროგრამით შეაიარაღა საბჭოთა კავშირის მშრომელები.

საქართველოს კომკავშირმა ნაყოფიერი მუშაობა გაშალა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების წარმატებით შესრულებისათვის, სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის მზადებისა და გამოფენაში მონაწილეობის უფლებისათვის, იგი ფართოდ გამოეხმაურა საკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებას — მესამე ხუთწლედის უმნიშვნელოვანეს სამშენებლო ობიექტებზე და სახალხო მეურნეობისა და თავდაცვითი მუშაობის გადამწყვეტ უბნებზე შეფობის გამოცხადებას.

თავის მხრივ რესპუბლიკის კომკავშირმა 1939 წლის სექტემბერში შეფობა აიღო კოლხიდმშენზე, როგორც საქართველოში ერთ-ერთ უდიდეს საკავშირო მნიშვნელობის მშენებლობაზე. კოლხეთის

ჭაობის ამოსაშრობად გაწეულ სამუშაოთა მასშტაბების წარმოსადგენად საკმარისია ითქვას, რომ იგი 200 კილომეტრზეა გადაჭიმული და შეადგენს 220 ათას ჰექტარს. კოლხიდის მდინარეები მის ახლოს მდებარე ვაკეების დონეზე 3—4 მეტრით უფრო მაღლა მიედინებიან, წყალდიდობის დროს ნაპირებიდან გადმოსული წყალი ქმნიდა გაუვალ ჭაობებს და ტბებს, რაც მალარიის კერებად იქცა. „რომ არა მალარია, ევროპაში მე არ მეგულება ისეთი ადგილი, რომელიც აქაურობას თავისი ეკონომიური სიძლიერით შეედრებოდაო", — წერდა იმ დროს ცნობილი საბჭოთა მწერალი კონსტანტინე პაუსტოვსკი.

საქართველოს კომკავშირმა თავისი სახელისა და ღირსების საქმედ აქცია მალარიის კერების მოსპობა და ამ კუთხის აყვავება. ეს იყო ახალგაზრდობის ძალის, შეუპოვრობისა და ხალხის კეთილდღეობისათვის თავდადების მკაფიო მაგალითი. ეს იყო რესპუბლიკის კომკავშირის ბრძოლისუნარიანობის გამოცდა და იგი კომკავშირელებმა და ახალგაზრდებმა წარმატებით ჩააბარეს.

1941 წლის დასაწყისისათვის შესრულებული იყო 12 მილიონი კუბური მეტრი მიწის სამუშაოები, გაყვანილი იყო 1.500 კილომეტრი. სიგრძის ამოსაშრობი არხები და 102 კილომეტრი გზა. გადამღობი ჯებირების სიგრძე 450 კილომეტრს აღემატებოდა. უკვე ამოშრობილი იყო 12 ათასი ჰექტარი ფართობი, რაც სუბტროპიკული კულტურების გასაშენებლად გამოიყენებოდა.

ზრუნავდა რა ახალი კადრების მომზადებისათვის, რესპუბლიკის კომკავშირმა აქტიური მონაწილეობა მიიღო საბჭოთა კავშირის სახელმწიფო შრომითი რეზერვების შესახებ სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 2 ოქტომბრის ბრძანებულების ცხოვრებაში გასატარებლად.

კომკავშირმა მოაწყო ახალგაზრდობის გაგზავნა სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებლებში, საფაბრიკო-საქარხნო სკოლებში. შრომითი რეზერვების სისტემის სასწავლებლებში სწავლა ორგანიზებულად დაიწყო. პროფესიულ-ტექნიკური განათლების მუშაკებისა და კომკავშირული ორგანიზაციების ერთობლივი მუშაობა თანდათან კიდევ უფრო განმტკიცდა და განვითარდა, რამაც ხელი შეუწყო სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებისათვის მაღალკვალიფიციური ახალგაზრდა კადრების მომზადებას.

საბჭოთა ხალხი თავისი საყვარელი სამშობლოს თვალუწვდე-

ნელ ტერიტორიაზე დაუღალავ შემოქმედებით შრომას ეწეოდა და ხარობდა საყოველთაო გარჯის დიდებული ნაყოფით. მაგრამ 1941 წლის 22 ივნისს ფაშისტური გერმანია ომის გამოუცხადებლად თავს დაესხა ჩვენს ქვეყანას. დაირღვა მშვიდობიანი ცხოვრება. დაიწყო დიდი სამამულო ომი...

ომის დაწყების პირველი დღეებიდანვე ათასობით საბჭოთა ადამიანი, მუშა და კოლმეურნე, კომკავშირელი და ახალგაზრდა მოხალისედ წავიდა ფრონტზე ვერაგი მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად. მოხალისეთა შორის მრავალი ქართველი ახალგაზრდა იყო. გაწვევით კი 1941—1945 წლებში ჩვენი რესპუბლიკიდან საბჭოთა არმიის რიგები 165 ათასზე მეტმა კომკავშირელმა შეავსო.

ამ მძიმე განსაცდელის ჟამს მთელი სიძლიერით გამოვლინდა კომკავშირის აღზრდილების საუკეთესო თვისებები. უდიდესი პატრიოტიზმი, კომუნიზმის საქმისადმი ერთგულება, მთელი ძალების დაძაბვა გამარჯვების მისაღწევად,— აი რა ახასიათებდა მათ, ვინც მშვიდობიან შრომას ეთხოვებოდა და ქვეყნის დამცველთა რიგებში დგებოდა. მთელი ჩვენი ქვეყნის მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, საერთოდ, ცხოვრება საომარ ყაიდაზე მოეწყო.

„გთხოვთ ჩაგვრიცხოთ სახელოვანი წითელი არმიის რიგებში, რათა დავიცვათ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მოწაპოვარი, გთხოვთ უარს ნუ გვეტყვით ჩვენს თხოვნაზე“,—კომკავშირელები და ახალგაზრდები ასეთი განცხადებებით მიმართავდნენ კომკავშირის რაიკომებს, ქალაქკომებსა და სამხედრო კომისარიატებს.

ბრძოლის ველიდან საბჭოთა კავშირის გმირი ვახტანგ ჩიქოვანი დედას წერდა: „ათასი სიცოცხლეც რომ მქონდეს, ყველას სამშობლოს შევწირავდიო“. განა შეიძლება სიამაყით არ წაიკითხოთ ეს სიტყვები! სწორედ ასეთი პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდილი ათასობით და ათიათასობით ახალგაზრდა იყო მუსრს რომ ავლებდა სოციალისტური სამშობლოს ვერაგ მტერს.

1941 წლის ივნისის ბოლოს საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში შეიქმნა გამანადგურებელი ბატალიონები, რომელთა შემადგენლობაში 25 ათასზე მეტი კაცი მომზადდა. გამანადგურებელმა ბატალიონებმა დიდი როლი შეასრულეს მხედრული დისციპლინის განმტკიცებაში, დივერსანტებისა და მტრის პარაშუტისტების წინააღმდეგ ბრძოლაში. დიდი სამუშაოები ჩატარდა თავდაცვითი ნაგე-

ბობების და აეროდრომების მშენებლობისათვის. ქალაქებსა და რაიონებში, მსხვილ საწარმოო-დაწესებულებებში მასობრივად შეიქმნა მტრის ტანკების წინააღმდეგ მებრძოლი კომკავშირული რაზმები, რომლებშიც 20 ათასზე მეტი კაცი ითვლებოდა. აჭარაში შექმნილი კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადები აქტიურად მონაწილეობდნენ სახელმწიფო საზღვრების დამცველთა საქმიანობაში.

ფრონტის დასახმარებლად ამიერკავკასიის რესპუბლიკების ძალთა მობილიზაციაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1942 წლის აგვისტო-სექტემბერში თბილისში გამართულ ამიერკავკასიის ხალხთა წარმომადგენლებისა და ამიერკავკასიის ახალგაზრდობის ანტიფაშისტურ მიტინგებს, რომელთა მონაწილეებმა ამიერკავკასიის მრავალეროვანი მოსახლეობის სახელით ფიცი დადეს, რომ კიდევ უფრო მაღლა ასწევდნენ ხალხთა ინტერნაციონალური მეგობრობის დროშას, ყოველდღიურად გააძლიერებდნენ ფრონტისადმი დახმარებას, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე დაიცავდნენ საბჭოთა მიწის ყოველ მტკაველს და იბრძოლებდნენ გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა სრულ განადგურებამდე.

რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით და მონაწილეობით 3 წელიწადში საქართველოში მომზადდა 10 ათასზე მეტი სამთო მსროლელი ახალგაზრდა. კომკავშირმა ასევე დიდი მუშაობა გასწია საჰაერო თავდაცვის კადრების მოსამზადებლად. მარტო 1941—1943 წლებში თავდაცვა-ავიაქიმის ხაზით პირველდაწყებითი სამხედრო მომზადება გაიარა 75 ათასზე მეტმა კომკავშირელმა და ახალგაზრდამ. საქართველოს კომკავშირი თავდადებული შრომის მაგალითებს იძლეოდა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, მრეწველობაში, ტრანსპორტზე და სოფლის მეურნეობაში, ახალგაზრდობას იგი უნერგავდა სიმამაცესა და მტკიცე ნებისყოფას, სიფხიზლესა და თავდადებას, სისტემატურად სრულყოფდა ორგანიზატორული და იდეურ-პოლიტიკური მუშაობის ფორმებს, იგი დაუღალავად იბრძოდა ომში წასული ახალგაზრდების ნაცვლად წარმოების ახალი კადრებით შევსებისათვის.

ომის დაწყების პირველივე ხანს თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის კომკავშირელებმა და ახალგაზრდებმა მოწოდებით მიმართეს რესპუბლიკის ყველა კომკავშირელსა და კავშირგარეშე ახალგაზრდას დაუფლებოდნენ სპეციალობებს და წარმოება უზრუნველეყოთ მუშახელით.

სამამულო ომის წლებში სტახანოვური მოძრაობა და დამკვრელობა ფართოდ გავრცელდა მრეწველობაში, ტრანსპორტზე, მაღაროებში: ფაბრიკა-ქარხნებში შეიქმნა კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადები, რომელთაგან ბევრმა თავდადებული შრომით ფრონტული ბრიგადის საპატიო წოდება მოიპოვა. დიდი მუშაობა გაწეულა მასალებისა და ელექტროენერგიის მომჭირნეობის, შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და პროდუქციის გადაჭარბებით გამოშვებისათვის; ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება დევიზით: „მთელი ძალები მტრის გასანადგურებლად“.

სასახელო შრომითი მაჩვენებლები მოიპოვეს სოფლის კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, რომლებიც არმიასა და სამშობლოს აძლევდნენ სულ უფრო მეტ პურს, სურსათს. ომის პერიოდში საქართველოს საკოლმეურნეო მინდვრებსა და პლანტაციებში, ზვრებში, ბაღ-ბოსტნებში ყოველწლიურად ენერგიის დაუზოგავად შრომობდა 75—80 ათასი კომკავშირელი და ახალგაზრდა, უმთავრესად ქალიშვილები. ჯერ კიდევ ომის დაწყების პირველ თვეებში ათასობით კომკავშირელმა ქალიშვილმა შეისწავლა ტრაქტორის მართვა და გაბედულად შეცვალა ფრონტზე წასული მამები, ძმები და ამხანაგები. მამაცური შრომით თავი ისახელეს გორის, აბაშის, ზუგდიდის, გალის, წითელწყაროს, თელავის, საგარეჯოსა და სხვა რაიონების ტრაქტორისტმა ქალიშვილებმა.

საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევი ძმობა და მეგობრობა მთელი სიცხადით გამოვლინდა მტრისაგან განთავისუფლებული რაიონებისთვის დახმარების გაწევით, რაშიც აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოს მრეწველობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საწარმოები, სამშენებლო ორგანიზაციები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებები.

ნიკოპოლის განთავისუფლებისთანავე განახლდა სოციალისტური შეჯიბრება ნიკოპოლისა და ჭიათურის მაღაროელთა შორის. 1943 წლის დეკემბერში აჭარის კომკავშირელებმა და ახალგაზრდებმა დონეცკელ მაღაროელებს გაუგზავნეს 3 ვაგონი საახალწლო საჩუქრები — ციტრუსები, ჩაი, ხილი, სასკოლო სახელმძღვანელოები და სხვა.

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ახალგაზრდები მონაწილეობდნენ ზაპოროჟიეს ფეროშენადნობთა ქარხნის აღდგენაში.

თბილისის ს. კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის კომკავშირელები შეფობდნენ მ. ფრუნზეს სახელობის მაიკოპის ქარხანას. თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხანა — ხარკოვის ორთქლმავალშემკეთებელი ქარხნის კოლექტივს და ა. შ.

ენაკიევოს მეტალურგიული ქარხნის აღდგენით სამუშაოებში თავი ისახელა თბილისის ახალგაზრდულმა რაზმმა, რომლის ყველა 54 კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებდა გეგმებს, 14 მათგანს საფრონტო ბრიგადის წოდება მიენიჭა. თბილისის ახალგაზრდულმა რაზმმა პირველი ადგილი დაიკავა დონბასის ახალგაზრდულ ბრიგადებს შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში, რისთვისაც მიიღო საკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის, შრომითი რეზერვების მთავარი სამმართველოსა და საბჭოთა კავშირის შავი მეტალურგიის სახალხო კომისარიატის გარდამავალი წითელი დროშა.

როცა ომის დროს გენიჩესკის რაიონი მტერმა დაიპყრო, მახარაძის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეებმა ფიცი დასდეს, რომ უკრაინელი და-ძმების მაგიერადაც იმუშავებდნენ. გენიჩესკის რაიონის განთავისუფლებისთანავე სოფელ შრომაში ხალხმრავალი მიტინგი გაიმართა, რომელზეც ერთსულოვნად გადაწყდა დახმარებოდნენ გენიჩესკელებს დანგრეული მეურნეობის აღდგენაში. შრომელებმა თავიანთ მეგობრებს სასოფლო-სამეურნეო ინვენტარით, პირუტყვით, სურსათით, საოჯახო ნივთებითა და წიგნებით დატვირთული ეშელონები გაუგზავნეს.

განთავისუფლებულ რაიონებს დიდ დახმარებას უწევდნენ რესპუბლიკის სხვა რაიონებისა და ქალაქების მშრომელები მრეწველობისა თუ სოფლის მეურნეობის მანქანა-იარაღებით, სურსათ-საროვაგით, კულტურულ-საგანმანათლებლო ინვენტარით და ა. შ.

საქართველოს კომკავშირი ყველაფერს აკეთებდა მტერზე გამარჯვებისათვის, ერთ-ერთ საუკეთესო ფორმად მიჩნეულ იქნა კომკავშირული კვირაობის მოწყობა, რომელიც ემსახურებოდა თავდაცვის ფონდის გაძლიერებას. ყველა კვირაობაზე რესპუბლიკის კომკავშირელებმა და ახალგაზრდებმა რამდენიმე ათეული მილიონი მანეთი გამოიმუშავეს, შეაგროვეს ასიათასობით ტონა შავი და ფერადი ლითონის ჯართი, რომლითაც აიგო საქართველოს კომკავში-

რის სახელობის სატანკო კოლონა, საბრძოლო სატორპედო კატარღები და ავიაესკადრილია.

რესპუბლიკის კომკავშირულ ორგანიზაციებში ფართოდ გავრცელდა ცხინვალისა და სოხუმის კომკავშირელებისა და ახალგაზრდების ინიციატივა კომკავშირის სახელობის სატანკო კოლონის აგების შესახებ, რისთვისაც მილიონები შეგროვდა.

1944 წლის 3 ნოემბერს კი საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის სახელზე მოსულ დეპეშაში თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ,ი. ბ. სტალინი წერდა: „გთხოვთ გადასცეთ ჩემი მხურვალე სალამი და წითელი არმიის მადლობა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კომკავშირელებსა და ახალგაზრდობას, რომლებმაც შეაგროვეს 11.058.290 მანეთი საბრძოლო თვითმფრინავების ესკადრილია „საქართველოს კომკავშირის“ ასაგებად“. +

საქართველოს ქალიშვილებისა და ჭაბუკების მიერ შეგროვილი თანხით აგებული ავიაესკადრილია 1944 წლის დეკემბერში გადაეცა საბჭოთა არმიის მეომრებს.

„ვიღებთ რა საბრძოლო თვითმფრინავების ესკადრილიას, — ნათქვამი იყო მაიორ ანდრეევის ავიანაწილის პატაკში,—პირადი შემადგენლობა გარწმუნებთ, რომ პირნათლად გაამართლებს საქართველოს კომკავშირისა და ახალგაზრდობის ნდობას და დაარტყამს ფაშისტ მხეცს თავის ტერიტორიაზე მის საბოლოო მოსპობამდე“.

ომის წლებში თავი გამოიჩინეს საქართველოს პიონერულმა ორგანიზაციებმა, რომელთა ძალებით აიგო სატანკო კოლონა „საქართველოს ნორჩი პიონერი“, საბჭოთა მებრძოლებისათვის დიდი რაოდენობით შეგროვდა თბილი ტანსაცმელი და სხვადასხვა საჩუქრები.

ზურგში დარჩენილი თანატოლებისა და უმცროსი მეგობრების თავგანწირული შრომის პასუხად არნახული გმირობის მაგალითებს აჩვენებდნენ სოციალისტური სამშობლოს მედგარი დამცველები ფრონტებზე. საქართველოს კომკავშირის წარგზავნილები მამაცურად ბრძოლებდნენ ყველგან, სადაც კი იბრძოდნენ.

ჩვიდმეტი წლის ერონის ინაურმა პირველი საბრძოლო ნათლობა 1942 წლის გაზაფხულზე მიიღო, როცა გერმანელი ფაშისტებისაგან უკრაინის მიწა-წყლის განთავისუფლებისათვის იბრძოდა. 1944 წლის ივნისში სანგარში გამართულ ერთ-ერთ კომკავშირულ კრებაზე

იგი თანამებრძოლებს მიმართავდა: „დღეს ჩვენ. ამხანაგებო, სერიოზულ ბრძოლაში მივდივართ და სწორედ ახლა მე მინდა გავიმეორო სიტყვები ჭაღარა დედისა, რომლებიც მან ფრონტზე გამოცილებისას მითხრა: „ერონის, ჩემო საყვარელო! შემომხედე თვალებში და მოისმინე რას გეუბნება შენი ჭაღარა დედა. ჩვენმა მოდგმამ არ იცის მხდალები. თუ გინდა ამაგი დამიფასო, კარგი ჯარისკაცი იყავი"... და აი დღეს მივდივართ ჩვენ დიდ ბრძოლაში, ჩემო საყვარელო მეგობრებო, ერთსა გთხოვთ მხოლოდ — თუ რამე მოხდეს, მისწერეთ ჩემს ძვირფას დედას, უბრალოდ, ისე როგორც შემემთხვევა, მეტს არაფერსა გთხოვთ". სწორედ ამ ბრძოლაში ქართველმა ჭაბუკმა ვ. მატროსოვის გმირობა გაიმეორა და თანამებრძოლებს საშუალება მისცა წინ გაჭრილიყვნენ. დიდი სამამულო ომის გმირის ერონის ინაურის სახელს ახალგაზრდობა მუდამ სიამაყით წარმოთქვამს, რადგან იგი გმირულად ებრძოდა სამშობლოს მტერს, ბოლო როცა საჭირო გახდა, საკუთარი სიცოცხლეც კი შესწირა მას.

სამამულო ომის პირველი დღიდანვე მტერს გმირულად ებრძოდა უფროსი ლეიტენანტი ვლადიმერ ხარაზია, რომლის ბატარეამ მტრის ათეულობით საცეცხლე წერტი და მრავალი ფაშისტი მოსპო, მოიგერია გერმანელთა სატანკო შემოტევა და უდიდესი ზარალიც მიაყენა. ბრძოლაში მამაცის სიკვდილით დაცემულ კომკავშირელ ვ. ხარაზიას საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

ლეგენდარული გმირობა ჩაიდინა თბილისის საორთქლმავლო დეპოს მუშის ოჯახში აღზრდილმა მიხეილ ჯარმელაშვილმა, რომელმაც ერთ დღეს თერთმეტი საჰაერო ბრძოლა გადაიხადა და ჩამოაგდო მტრის რამდენიმე თვითმფრინავი. დიდ სამამულო ომში თავიანთი ძმების გვერდით მამაცურად იბრძოდნენ კომკავშირელი ქალიშვილებიც. მტერზე გამარჯვებაში თავისი წვლილი შეიტანეს მფრინავებმა რუსუდან ჟორდანიამ, მერი ავიძბამ, ფადიმე გოგიტიძემ, თამარ მელაშვილმა და მრავალმა სხვამ.

რესპუბლიკის კომკავშირის აღზრდილები იბრძოდნენ ყველგან. ბევრმა მათგანმა საბრძოლო გამოცდა კავკასიის მისადგომებზე ჩააბარა. კავკასიის დაცვა მუდამ დარჩება ამიერკავკასიის ხალხების, მათ შორის ქართველი ხალხის უჭკნობი საბრძოლო დიდების სიმბოლოდ.

კავკასიის დაცვაში დიდი როლი შეასრულა მე-18 არმიამ, რომელსაც გენერალ-პოლკოვნიკი კონსტანტინე ლესელიძე სარდლობ-

და. ამ არმიამ ქლუხორის, სანჭაროსა და კავკასიის სხვა უღელტეხილებზე მტერი გადამწყვეტ ბრძოლებში სასტიკად დაამარცხა.

საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გაერთიანებულ საზეიმო სხდომაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა კონსტანტინე ლესელიძისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების გამოქვეყნებისას სთქვა: „ფრონტზე ძალიან მალე მეღავნდება ადამიანის ბუნება, იქ მაშინვე იგებ, ვინ რას წარმოადგენს. კონსტანტინე ლესელიძე დამამახსოვრდა როგორც ქართველი ხალხის საუკეთესო ეროვნული თვისებების განსახიერება. ეს იყო სიცოცხლით სავსე, გონებამახვილი და გულმგზნებარე... კონსტანტინე ნიკოლოზის ძე ლესელიძე, რა თქმა უნდა, გამონაკლისი როდი იყო. ქართველი ხალხის ათიათასობით მამაცმა შვილმა თავისი სახელი შემოსა დიდების შარავანდედით. 137 მათგანს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება, ორას ორმოცი ათასზე მეტი დაჯილდოვდა ორდენებითა და მედლებით“.

საქართველოს კომკავშირის აღზრდილებმა თავი ისახელეს პარტიზანულ მოძრაობაში. თაობიდან თაობას გადაეცემა ქართველი პარტიზანების გმირობა უკრაინის, ბელორუსიის, ყირიმის მიწა-წყალზე. ბევრი მათგანი მონაწილეობდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ჰიტლერელი ოკუპანტების წინააღმდეგ მოქმედ პარტიზანულ რაზმებში, იტალიის, საფრანგეთის პარტიზანულ მოძრაობაში.

ამ ცოტა ხნის წინათ გმირი ქართველი კომკავშირელების სახელოვან თაობას კიდევ ერთი გვარი შეემატა — ფორე მოსულიშვილი. ჩრდილოეთ იტალიის ნოვარის პროვინციის ბევრ ქალაქსა და სოფელში, სადაც პარტიზანულ რაზმში იბრძოდა ფ. მოსულიშვილი, ლეგენდად დადის მისი მამაცობა. მეინის მცხოვრებნი წმიდად ინახავენ დაღუპული გმირის ხსოვნას, მისი საფლავი მუდამ ყვავილებითაა შემკული.

1970 წლის 28 თებერვალს იტალიის პრეზიდენტმა ჯუზეპე სარაგატმა ხელი მოაწერა დეკრეტს იტალიის ეროვნული წინააღმდეგობის მონაწილის, საბჭოთა მეომრის, ქვეემომაჩხაანელი ფორე ნიკოლოზის ძე მოსულიშვილის დაღუპვიდან 25 წლის შემდეგ ქვეყ-

ნის უმაღლესი ჯილდოთი—„ოქროს მედლით მხედრული მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ. ოქროს მედალი იტალიის რესპუბლიკის უმაღლესი და ყველაზე საპატიო ჯილდოა, რომელიც მხოლოდ, მამაცთა შორის უმამაცესის ხვედრია. მისი მფლობელი იტალიის ეროვნულ გმირად ითვლება. საბჭოთა კავშირის გმირის თეოდორე პოლეტაევის შემდეგ ჩვენი თანამემამულე მეორე საბჭოთა მოქალაქე და საერთოდ მეორე უცხოელია, რომელმაც იტალიის ეროვნული გმირის ეს საპატიო წოდება დაიმსახურა.

შეიძლებოდა კიდევ სხვა მრავალი მაგალითის მოტანა, მაგრამ რომელ ერთ გმირობაზე შეჩერდები, სამშობლოს რომელ ერთ პატრიოტს დაასახელებ, ყველა ისინი გმირობისა და თავდადების განსახიერება იყვნენ.

საბჭოთა ხალხმა ასეთი ერთსულოვანი საბრძოლო და შრომითი გმირობით მტერზე საბოლოოდ გაიმარჯვა, რითაც კვლავ დამკვიდრდა მშვიდობიანი შრომა.

* * *

დიდ სამამულო ომში გამარჯვების შემდეგ პარტიამ საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი ძალები სოციალისტური სახალხო მეურნეობის უმოკლეს დროში აღდგენისა და შემდგომი განვითარებისაკენ წარმართა. ეს ამოცანა დაისახა სახალხო მეურნეობის განვითარების მეოთხე ხუთწლიანი გეგმით, რომელიც დამტკიცდა 1946 წლის მარტში.

მეოთხე ხუთწლიანი გეგმის განხორციელებისათვის ბრძოლაში აქტიურად ჩაებნენ საქართველოს კომკავშირელები და ახალგაზრდები. საკმარისია ითქვას, რომ 1947 წელს მუშა-მოსამსახურეთა საერთო რიცხვში 25 წლამდე ასაკის ახალგაზრდები 26.5 პროცენტს შეადგენდნენ.

კომკავშირული ორგანიზაციები შეუნელებელ ყურადღებას იჩენდნენ ახალგაზრდა კადრების მომზადების, მათი ტექნიკური სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საკითხებისადმი. ტექნიკურ წრეებში, სტახანოვურ რგოლებსა და კურსებზე ათასობით კომკავშირელმა და ახალგაზრდამ აიმაღლა საწარმოო კვალიფიკაცია.

კომკავშირი სათავეში ჩაუდგა შრომის დისციპლინის განმტკიცების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და წარმოების კულ-

ტურის ამაღლების საქმეს. რესპუბლიკის საწარმოებში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება და შედეგებმაც არ დააყოვნა.

თბილისის ს. კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის ახალგაზრდა მუშამ გ. ზარქუამ მეოთხე ხუთწლედის განმავლობაში 17,5 წლის გეგმა შეასრულა, ხოლო ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ახალგაზრდა მდნობელმა ვ. გელაშვილმა —10 წლის დავალება, ამავე დროს დაზოგა 40 ტონა ნედლეული და 100 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია. ასე თავდადებით იბრძოდა ახალგაზრდობა პარტიის დავალებათა გასანაღდებლად.

სახალხო მეურნეობაში მომუშავე კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის წახალისების მიზნით 1945 წლის იანვარში საკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებით კომკავშირის რესპუბლიკურ და სამხარეო კომიტეტებთან შემოღებულ იქნა საპატიო წიგნები, რომლებშიც შრომაში, სწავლაში და საზოგადოებრივ საქმიანობაში მოწინავე კომკავშირული ორგანიზაციები, აგრეთვე ცალკეული კომკავშირელების სახელები შეიტანებოდა.

საქართველოს კომკავშირის საპატიო წიგნის პირველ გვერდზე ვკითხულობთ: „საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მიიღო კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის წინადადება საპატიო წიგნში საწარმოო გეგმების გადაჭარბებით შესრულების, შრომის ნაყოფიერების ამაღლების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და მასალების ეკონომიისათვის შეტანილ იქნას თბილისის ს. კიროვის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის ახალგაზრდული ბრიგადის ბრიგადირი რ. ჭელიძე“.

ახალგაზრდობის შრომითი გმირობის მატიანეში მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ლიტერატურის, ხელოვნებისა და სპორტის ბევრი გამოჩენილი წარმომადგენლის გვარია შეტანილი, რომლებმაც თავის დროზე თვალსაჩინო მიღწევებით ასახელეს საქართველოს კომკავშირი და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საერთო წარმატებებში.

მაღალი შრომითი მაჩვენებლებისათვის კომკავშირის საპატიო წიგნში ომის შემდგომ წლებში შეტანილია თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მექანიკური საამქროს ზეინკალთა ახალგაზრდული ბრიგადის ბრიგადირი ვ. ბროძელი, ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის მქსოველი ა. ნემსაძე, მცხეთის რაიონის სო-

ფელ წილკნის კოლმეურნეობის ახალგაზრდული რგოლის ხელმძღვანელი შ. ლაშაური, მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების კოლმეურნეობის ციტრუსების ნაყოფის ბრიგადის ბრიგადირი გ. გუჯაბიძე, კასპის რაიონის სოფელ ეზატის წყაროს კოლმეურნეობის კოლმეურნე კომკავშირელი ე. ოტიაშვილი, გორის რაიონის სოფელ ხვითის კოლმეურნეობის კოლმეურნე თ. შეგრელიშვილი და სხვა ბევრი.

ხუთწლიანი გეგმის ოთხ წელიწადში შესრულებისათვის ენერგიულად შრომობდნენ კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადები, რომელთა რიცხვი 1948 წლისათვის 764 იყო.

სოციალისტური შეჯიბრება ახალი ძალით გაიშალა საკავშირო კომკავშირის 30 წლისთავის აღსანიშნავად. შეჯიბრებაში კარგი მაჩვენებლები მოიპოვეს თბილისის მექანიკური ჩამომსხმელი ქარხნის, ქუთაისის მაუდის ფაბრიკის, ტყიბულისა და ტყვარჩელის შახტების, სამტრედიის საორთქლმავლო დეპოს კომკავშირელებმა და ახალგაზრდებმა.

სოფლის კომკავშირული ორგანიზაციები იბრძოდნენ ჩაის, ციტრუსების, ტუნგოს, ვენახის, სხვადასხვა ტექნიკური კულტურების ნათესი ფართობების გადიდებისა და უხვი მოსავლისათვის. ამ დროისათვის სასოფლო-სამეურნეო დარგების განვითარებაში მონაწილეობდა 80 ათასი კომკავშირელი. განსაკუთრებით ისახელეს თავი მეჩაიეობის რაიონების ახალგაზრდებმა. ბათუმის რაიონში მოკრეფილი 1.327 ტონა ჩაის მწვანე ფოთლიდან ახალგაზრდების ანგარიშზე მოდიოდა 785 ტონა. მახარაძის რაიონის კომკავშირელებმა მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 1.189 ტონა, მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს რესპუბლიკის სხვა რაიონების კომკავშირელებმა და ახალგაზრდებმაც.

ჩაის კრეფის ტემპის დაჩქარებაში თავიანთი წვლილი შეეტანა მოსწავლე ახალგაზრდობას, მოსწავლეები ქმნიდნენ ბრიგადებსა და რგოლებს, უვლიდნენ ფართობებს და ათასობით კილოგრამ მაღალხარისხოვან ჩაის ფოთოლს აბარებდნენ მიმღებ პუნქტებს. მაგრამ წარმატება, რომელიც ქობულეთის რაიონის ბობოყვათის საშუალო სკოლის მე-8 კლასელმა ნათელა ჩელებაძემ მოიპოვა, სრულიად განსაკუთრებული იყო. მოსწავლე გოგონას მიღწევებმა აალაპარაკა მთელი ჩვენი ქვეყანა. იგი თავს დასტრიალებდა ჩაის თითოეულ ბუჩქს და მარტო საზაფხულო არდადეგებზე დიდი რაო-

დენობით ნედლეულს იღებდა. ნათელა ჩელებაძე ერთადერთი მოსწავლე იყო მთელ საბჭოთა კავშირში, რომელსაც 1949 წელს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა.

მეოთხე ხუთწლედის დავალებათა ვადამდე ადრე შესრულებაში ბევრმა კომკავშირელმა და ახალგაზრდამ ისახელა თავი. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ნაყოფიერად მუშაობდა 2.500-მდე ახალგაზრდული რგოლი და ბრიგადა.

1949 წლის უხვი მოსავლის მიღებისა და სოციალისტურ შეჯიბრებაში მიღწეული მაღალი მაჩვენებლებისათვის 86 კომკავშირელს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა. ასობით ახალგაზრდა დაჯილდოვდა საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით. 1950 წელს 181 კომკავშირელი და ახალგაზრდა სოციალისტური შრომის გმირი გახდა.

საქართველოს კომკავშირმა აქტიური მონაწილეობა მიიღო ინდუსტრიულ ქალაქ რუსთავის მშენებლობაში. მისი პირველი მკვიდრნი რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქისა და რაიონის ახალგაზრდები იყვნენ, რომლებმაც მტკიცედ გადაწყვიტეს რუსთავი საქართველოს მეტალურგიის კერად ექციათ. კვალიფიციური მუშების მოსამზადებლად ასობით ახალგაზრდა გაიგზავნა ენაკიევოს, დნეპროძერჟინსკის, სტალინგრადის, ტაგანროგის, მაკეევკისა და სხვა მეტალურგიულ ქარხნებში, სადაც შეისწავლეს ფოლადის მდნობელის, მგლინავის, ელექტრომოტორისტისა და სხვა სპეციალობები.

ახალგაზრდობის გამრჯე მარჯვენით ყოველწლიურად იზრდებოდა და მშვენდებოდა ქ. რუსთავი. შენდებოდა მეტალურგიული ქარხნის უზარმაზარი საამქროები; რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციები სისტემატურად სრულყოფდნენ საშეფო მუშაობის ფორმებს. რუსთავის ახალგაზრდა მუშებს უგზავნიდნენ სხვადასხვა სახის ლიტერატურას, რითაც შეიქმნა საქალაქო ბიბლიოთეკა და ოცზე მეტი წითელი კუთხე საერთო საცხოვრებლებთან. მოსწავლე ახალგაზრდობას გაეგზავნათ აგრეთვე სახელმძღვანელოები, სპორტული იარაღები და მუსიკალური ინსტრუმენტები. მეტალურგიული ქარხნის ტერიტორიის გასამწვანებლად აფხაზეთის კომკავშირულმა ორგანიზაციებმა გამოგზავნეს 10 ათასი ძირი ნერგი.

მეტალურგიული ქარხნის მშენებლობასთან ერთად დაიწყო რუსთავის კომკავშირული ორგანიზაციის მართლაცდა გმირული შრომის მატიანეც. როცა 1950 წლის 27 აპრილს მწყობრში ჩადგა

მარტენის პირველი ღუმელი — ქართული ფოლადის დაბადების დღე რესპუბლიკის მთელი მშრომელი ახალგაზრდობის დიდ ზეიმად გადაიქცა.

არა მარტო მეტალურგიული ქარხანა, არამედ რუსთავის სხვა მნიშვნელოვანი საწარმოებიც რესპუბლიკის კომკავშირელებისა და ახალგაზრდების აქტიური მონაწილეობით აშენდა. კომკავშირული შეფობით აიგო, კერძოდ, აზოტოვანი სასუქების, ქიმიური ბოჭკოს ქარხნები, ბრძმედები და მარტენის ღუმელები, სხვადასხვა ქარხნების ვრცელი საამქროები, კულტურის სასახლე, საცხოვრებელი სახლები, პარკები, სპორტული მოედნები.

კოლექტიური შრომის ამ შესანიშნავ ტრადიციებს ღირსეულად განაგრძობს და ანვითარებს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი რუსთავის კომკავშირული ორგანიზაცია, რომელიც სათავეში უდგას ახალგაზრდობის სასახელო საქმეებს.

რესპუბლიკის კომკავშირის დამკვრელური შრომა რუსთავში ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო იმ დიდმნიშვნელოვანი მიღწევებისა, რომელიც კომკავშირულმა ორგანიზაციებმა მოიპოვეს სოფლის მეურნეობის სხვადასხვა კულტურების მოსავლიანობის გადიდების, მეცხოველეობის განვითარებისა და სოფლად კულტურული დონის ამაღლების საქმეში.

სამრეწველო საწარმოების, სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების კომკავშირული ორგანიზაციები სოფლის ახალგაზრდობისათვის აგროვებდნენ სასოფლო-სამეურნეო პლაკატებს, ადგილებზე გზავნიდნენ აგიტმხატვრულ ბრიგადებს, მართავდნენ კულტურულ-მასობრივ და სპორტულ ღონისძიებებს, აწყობდნენ სოფლის ახალგაზრდობის შეხვედრებს ლიტერატურის, ხელოვნების, მეცნიერების გამოჩენილ მოღვაწეებთან.

საქართველოს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა მწერალთა კავშირის გამგეობასთან ერთად რამდენჯერმე ჩაატარა ახალგაზრდა მწერლების რესპუბლიკური კონფერენცია, ამავე დროს ახალგაზრდა მწერლები სისტემატურად იგზავნებოდნენ შემოქმედებით მივლინებებში ახალშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, რასაც მოჰყვა ახალგაზრდობის ცხოვრებისა და შრომის ამსახველი ნაწარმოებების გამოქვეყნება.

ახალგაზრდობაში იდეოლოგიური და ორგანიზატორული მუშაობის გაუმჯობესებამ ხელი შეუწყო სახალხო მეურნეობის განვი-

თარების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესრულებაში მოზარდი თაობის აქტივობას. მძიმე და მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში ფართოდ გავრცელდა ახალგაზრდობის მასობრივი მოძრაობა წარმოების მაღალი კულტურისათვის. რესპუბლიკის ახალგაზრდობამ მხარი დაუჭირა თბილისელ კომკავშირელებსა და ახალგაზრდებს საქართველოს ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობაზე სამუშაოდ მუშახელის მასობრივად გაგზავნის შესახებ. ამ პატრიოტულ თაოსნობას 4 ათასი ახალგაზრდა გამოეხმაურა.

როგორც ყოველთვის, საქართველოს კომკავშირი ფართოდ გამოეხმაურა პარტიის მოწოდებას ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების შესახებ. საქართველოდან ყამირზე პირველი რაზმი 1954 წელს გაემგზავრა. ეს იყო კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის ძნელი გამოცდა ყაზახეთისა და ურალის შორეულ რაიონებში ახალი ცხოვრების დამკვიდრებისათვის ბრძოლაში. საქართველოს კომკავშირის წარგზავნილები მუდამ მოწინავეთა რიგებში იყვნენ. მარტო 1956—1958 წლებში ყირიმის რაიონების ახალმოსახლეებს მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ აღებაში დაეხმარა საქართველოს კომკავშირის 15 ათასზე მეტი წარგზავნილი, რომლებმაც ღირსეულად შეასრულეს მათ წინაშე დასმული ამოცანები და ამით თავიანთი წვლილი შეიტანეს სახელმწიფოსათვის პურის მიყიდვაში.

რესპუბლიკის კომკავშირმა თავი ისახელა უდიდესი მასშტაბების მშენებლობებზე. ამ დროიდან მოყოლებული ყამირული მოსავლის აღებასა და სხვადასხვა დანიშნულების მშენებლობებზე საზაფხულო არდადეგების პერიოდში რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები ყოველთვის მუშაობდნენ.

საქართველოს კომკავშირმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რაიონების მრეწველობის სწრაფი ტემპით განვითარების საქმეში. საქართველოდან გაგზავნილი 3 ათასი ახალგაზრდა მუყაითად შრომობდა დონბასის შახტებში, ვოლგოგრადისა და კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურების, ახალი ქარხნებისა და რკინიგზების მშენებლობებზე.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცი წლისთავის აღსანიშნავად რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციები ახალგაზრდობას რაზმავდნენ ტექნიკური პროგრესისათვის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და წარმოების მაღალი კულტურისათვის საბრძოლველად. განსაკუთრებით გააქტიურდა ახალ-

გაზრდობის მოძრაობა მასალების, სათბობისა და ელექტროენერგიის ეკონომიისათვის, დიდი ყურადღება მიექცა ახალგაზრდობის მიერ მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებისა და ახალგაზრდა რაციონალიზატორებისა და გამომგონებლების მოძრაობის საქმეს.

სასახელო შრომითი მაჩვენებლები მოიპოვეს სოფლის ახალგაზრდა მშრომელებმა. ახალგაზრდობა დაირაზმა ჩაის მოსავლიანობის გადიდების, მევენახეობის, მეხილეობისა და მესიმინდეობის განვითარებისათვის. აღმავლობის გზას დაადგა საზოგადოებრივი მეცხოველეობა, რასაც 7 ათასამდე ახალგაზრდა ემსახურებოდა.

სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის ახალგაზრდულ ბრიგადებს შორის გაშლილ რესპუბლიკურ შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდნენ ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის გ. კორძაძის ახალგაზრდული ბრიგადა, ზუგდიდის რაიონის სოფელ ახალსოფლის კოლმეურნეობის მ. ქადარიას ახალგაზრდული რგოლი, ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათის კოლმეურნეობის ო. გოგიტიძის მეჩაიეთა ახალგაზრდული რგოლი, ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის საშუალო სკოლის კომკავშირული ორგანიზაციის დამხმარე ბრიგადა, რომელსაც გ. გუნავა ხელმძღვანელობდა, ლანჩხუთის რაიონის სოფელ ქვემო აკეთის რვაწლიანი სკოლის კომკავშირული ორგანიზაციის ნაზი გეგელიას სამოსწავლო ჯგუფი და სხვები.

სიმინდის უხვი მოსავლისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში საუკეთესო შედეგებს მიაღწიეს ყვარლის, ჩხოროწყუს, დუშეთის, ცხინვალის, ახმეტის, ლაგოდეხის, წალენჯიხისა და ლენტეხის კომკავშირულმა ორგანიზაციებმა. დიდი წარმატებები მოიპოვეს ზუგდიდელმა კონსტანტინე სანდუხაძემ, ერედველმა ეთერ ვახტანგიშვილმა, ხობელმა სერგო ნონეიშვილმა, ლენინგორელმა გერსან ხუბულოვმა, ლაგოდეხელმა ვენერა კობახიძემ, მესტიელმა ანეტა მარგიანმა, სოხუმელმა ირაკლი ბაღათურიამ, რომელთა ახალგაზრდული რგოლების წარმატებები შეტანილ იქნა საქართველოს კომკავშირის საპატიო წიგნში.

1958 წელს ჩვენს ქვეყანაში ფართოდ აღინიშნა საკავშირო ლენინური კომკავშირის 40 წლისთავი. სახელოვან თარიღთან დაკავშირებით რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციების 4 ათასზე მეტი წარმომადგენელი ენერგიულად შრომობდა 86 სამშენებლო ობიექტზე, რომელთაგან 18 გამოცხადებული იყო კომკავშირულ მშენებლობად, მათ შორის ჰიდროელექტროსადგურები. ტყვარჩელი-

სა და ტყიბულის ახალი შახტები, რუსთავის სინთეტური ბოჭკოების ქარხანა, ყარადაღ—თბილისის გაზსადენი, საცხოვრებელი სახლები, სპორტული მოედნები და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები. საქართველოს კომკავშირმა კომკავშირის ორმოცი წლისთავის სახელობის საკავშირო „კომკავშირულ ყულაბაში“ შაბათობებით, ლითონის ჯართის შეგროვებითა და კულტურულ-მასობრივი ღონისძიებების ჩატარებით ორასი მილიონი მანეთი შეიტანა.

მშენებლობათა ტემპების დაჩქარებით რესპუბლიკის კომკავშირის ღრმა დაინტერესებაზე მიუთითებს ის, რომ 1960 წლის იანვარში ჩატარებულმა საქართველოს კომკავშირის XXIII ყრილობამ ჭიათურის ახალი მაღაროები კომკავშირულ მშენებლობად გამოაცხადა. ახალი მაღაროებისა და გამამდიდრებელი ფაბრიკების მშენებელთა დასახმარებლად რესპუბლიკის ქალაქებიდან და რაიონებიდან 1.500 ახალგაზრდა ჩავიდა, რომელთა მონაწილეობით მწყობრში ჩადგა დარკვეთის, მღვიმე ხრამის, ზეღა რგანის საბადოები და დარკვეთის გამამდიდრებელი ფაბრიკა.

მშენებლობის დაჩქარებისა და სამუშაოდ ახალგაზრდობის მობილიზაციის საქმეში დიდი როლი შეასრულა მშენებლობაზე გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ გამსვლელი რედაქციის არსებობამ, რომელიც სისტემატურად აქვეყნებდა წერილებს, რეპორტაჟებსა და ინფორმაციებს ახალგაზრდა მშენებლების შრომის, სწავლისა და დასვენების საკითხებზე, მშენებლობისადმი კომკავშირის კომიტეტების, შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების დახმარებაზე და სხვა.

საქართველოს კომკავშირი ამასთანავე შეფობას უწევდა ლაჯანურისა და ხრამის მშენებლობებს, რუსთავის ქიმიური მრეწველობის ობიექტებს, სადაც ძირითადად კომკავშირელები და ახალგაზრდები შრომობდნენ. ისინი აქტიურად ჩაებნენ კომუნისტური შრომის ბრიგადებისა და დამკვრელების სახელისათვის ბრძოლაში. სულ რესპუბლიკის მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში 1961 წლისათვის კომუნისტური შრომის სახელისათვის იბრძოდა 1.900 კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა, საამქრო და უბანი, 16 ათასამდე ახალგაზრდა ჩაბმული იყო კომუნისტური შრომის დამკვრელის წოდებისათვის ლაშქრობაში. 547-მა კოლექტივმა და 3.600-მდე ახალგაზრდამ მოიპოვა კომუნისტური შრომის კოლექტივისა და დამკვრელის საპატიო წოდება. სოფლის მეურნეობის 1.492 მოწი-

ნავე ახალგაზრდას კომუნისტური შრომის დამკვრელის წოდება მიენიჭა.

ახალგაზრდობის დიდი შრომითი და პოლიტიკური აქტივობა გამოიწვია საბჭოთა საქართველოს 40 წლისთავისათვის მზადებამ.

საიუბილეო მზადების პერიოდსა და მომდევნო წლებში კიდევ უფრო გაიზარდა კომკავშირის როლი და ავტორიტეტი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში, რაც კომკავშირზე პარტიულმა მზრუნველობამ და ხელმძღვანელობამ განაპირობა. იმ ხანად კომკავშირი ფართოდ ჩაება წარმოების რიტმულობისათვის ბრძოლაში, მთელი ძალით ამოქმედდა „კომკავშირული პროექტორი", რამაც საგრძნობლად შეუწყო ხელი მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებას, საწარმოო პროცესების დაჩქარებასა და სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესში ახალგაზრდობის როლის ამაღლებას. თბილისის კომკავშირული ორგანიზაციების დახმარებით მწყობრში ჩადგა ტრანსპორტის ახალი სახე — თბილისის მეტროპოლიტენი, რესპუბლიკის კომკავშირმა კი დამკვრელურ-კომკავშირულ მშენებლობად გამოაცხადა ენგურჰესი — უნიკალური თაღოვანი კაშხალის ასაგებად დაიძრა საქართველოს ახალგაზრდობის 5 ათასიანი ლაშქარი.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ამაღლებაში თავიანთი სიტყვა თქვეს სოფლის ახალგაზრდა სპეციალისტებმა. ბევრი მათგანი სათავეში ჩაუდგა ბრიგადებს, ფერმებს, რგოლებს და ენერგიული შრომის შედეგად ჩამორჩენილი მეურნეობები მოწინავეთა რიგებში წამოიწია.

შესანიშნავი წარმატებები მოიპოვეს ახალგაზრდა მევენახეებმა, მებაღეებმა, მეცხოველეებმა, მეჩაიეებმა. ჩაის კრეფა ახალგაზრდობის საპატიო პროფესიად იქცა. თავდადებული შრომით თავი ისახელეს კლავდია ნაცვალაძემ, ნაირა გოგატაძემ, დალი წივწივაძემ, ბერი ყურშუბაძემ. ვინარი სხულუხიამ და მრავალმა სხვამ.

სამშობლოს ძლიერებისათვის დაუღალავი ზრუნვისა და თაობათა მემკვიდრეობითობის შესანიშნავ ბაგალითს წარმოადგენს ვინარი სხულუხიას შრომითი გზა. იგი ჯერ კიდევ მოსწავლე იყო, როცა საზაფხულო არდადეგებზე ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის კოლმეურნეობის ჩაის პლანტაციაში თავის შესაძლებლობებს ამოწმებდა. შრომობდა იმ კოლმეურნეობაში, რომელშიც ომში წასვლამდე თავმჯდომარედ მამამისი. საბჭოთა კავშირის გმირი გრიგოლ სხულუ-

ხია მუშაობდა. ახლა კოლმეურნეობა გრიგოლის სახელს ატარებს, მისი ქალიშვილი კი ამ კოლმეურნეობის მოწინავე მეჩაიე გახდა. ჩაის კრეფის სარეკორდო მაჩვენებლებისათვის ვინარი სხულუხიძს 1966 წელს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა. მის გმირობაზე ალაპარაკდა რესპუბლიკური და საკავშირო პრესა. ქალიშვილი რამდენჯერმე საქართველოს კომკავშირის ყრილობის დელეგატადაც აირჩიეს, მისი სახელი შეაქვთ საკავშირო ლენინური კომკავშირის საპატიო წიგნში, ირჩევენ საკავშირო კომკავშირის მე-15 ყრილობის დელეგატად, ყრილობაზე კი — ცენტრალური კომიტეტის წევრად, შემდგომ — ბიუროს წევრობის კანდიდატად; ვინარი ორი წელიწადი სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ უმაღლეს პარტიულ სკოლაში თეორიული ცოდნის დონეს იმაღლებდა, ამჟამად კი საკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკია.

ასეთი მაგალითები ერთეული როდია. ჩვენი ახალგაზრდობა თავისი კონკრეტული საქმეებით ყველგან ამტკიცებდა და ამტკიცებს მაღალ კომუნისტურ შეგნებულობას, ძლიერ ნებისყოფასა და დაკისრებული მოვალეობისადმი მაღალ პასუხისმგებლობას.

დიდსა თუ პატარა საქმეში მოზარდი თაობის ავანგარდული როლის ამაღლება მნიშვნელოვანი პირობაა პარტიის მიერ კომკავშირის წინაშე დასმული ამოცანების შესრულებისათვის.

კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის შრომითი და საზოგადოებრივი აქტივობა გამოიწვია ჩვენი ხალხის ცხოვრებაში ისეთმა დიდმნიშვნელოვანმა მოვლენებმა, როგორიც იყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის, საკავშირო ლენინური კომკავშირის ნახევარსაუკუნოვანი იუბილესა და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადება და მათი საზეიმოდ ჩატარება.

მრავალფეროვანი იყო ამ თარიღების ღირსეულად შეხვედრის საქმეში რესპუბლიკის კომკავშირის მონაწილეობის ფორმები, მაგრამ ყველაზე უფრო მკაფიო იყო საქართველოს კომკავშირის 27-ე ყრილობის მიერ გამოცხადებული „ლენინური ორწლედი". სწორედ „ლენინურმა ორწლედმა" ზუსტად გამოკვეთა ქალიშვილებისა და ჭაბუკების მოვალეობა ლენინიზმის ღრმად და საფუძვლიანად დაუფლების, შრომის სოციალისტური დისციპლინის განმტკიცების, სოფლად კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სა-

ყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობისა და სოფლისადმი ქალაქის შეფობის გაძლიერების ძირითად ამოცანებში. სასიამოვნოა იმის აღნიშვნა, რომ დიდი ბელადის იუბილესათვის მზადების პერიოდში რესპუბლიკის კომკავშირულ ორგანიზაციებში მიმდინარე „ლენინური ორწლედი“ ორგანულად შეერწყა საკავშირო ლენინურ ჩათვლებს, რომელიც მთელ ჩვენს ქვეყანაში ფართოდ გავრცელდა.

უთუოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩათვლების მიმდინარეობისას წარმოების ახალგაზრდა მოწინავეების — სოციალისტური შრომის გმირების, ლენინის ორდენოსნების პატრიოტულ მოწოდებას ჩათვლის მონაწილე კომკავშირელებისადმი — „გადავაქციოთ ყოველი წინასაიუბილეო დღე ლენინური დამკვრელური შრომის დღედ“.

კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ფართო პროპაგანდა გაუწიეს ამ თაოსნობას და რესპუბლიკის ფაბრიკა-ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, დამკვრელურ კომკავშირულ მშენებლობებზე, სამეცნიერო ლაბორატორიებში, საკონსტრუქტორო ბიუროებში 700 ათასზე მეტი ჭაბუკი და ქალიშვილი დადგა ლენინურ შრომით ვახტზე, აიღო რა პირადი ვალდებულება, რითაც მრავალ სასახელო საქმესა და სასარგებლო წამოწყებას ჩაეყარა საფუძველი.

ახალგაზრდობა აქტიურად ჩაება სოციალისტურ შეჯიბრებაში ხუთწლიანი გეგმის ვადამდე ადრე შესრულებისათვის, სოფლის კომკავშირული ორგანიზაციები სათავეში ჩაუდგნენ ახალგაზრდა მხვნელ-მთესველებისა და მეცხოველეების პატრიოტულ მოძრაობას წარმოების მაღალი კულტურისათვის, მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ აღებისათვის. 386 ათასზე მეტმა კომკავშირელმა თავის „ჩათვლის წიგნაკში“ ჩაიწერა როგორი იქნებოდა მათი საიუბილეო საჩუქარი და რა მონაწილეობას მიიღებდა საზოგადოებრივ საქმიანობაში.

საკავშირო კომუნისტურ შაბათობაზე რესპუბლიკის 750 ათასი ქალიშვილი და ჭაბუკი გამოვიდა, შაბათობამ ნათელჰყო მორალური სახე ახალგაზრდა თაობისა, რომელიც ღირსეულად აგრძელებს მამა-პაპათა გმირულ ტრადიციებს და გულმოდგინედ ირჯება სამშობლოს სადიდებლად.

კომკავშირულმა ორგანიზაციებმა კიდევ უფრო სრულყოფილი გახადეს ახალგაზრდობაში აღმზრდელობითი მუშაობის ფორმები და

მეთოდები. შეიქმნა ლენინური კითხვის ახალგაზრდული ლექტორიუმები, სადაც ლექციებითა და პოლიტიკური მოხსენებებით გამოდიოდნენ პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული და სამეურნეო მუშაკები, ლიტერატურის, ხელოვნებისა და მეცნიერების გამოჩენილი მოღვაწეები. ფართოდ დაინერგა ლენინური გაკვეთილების ჩატარების პრაქტიკა, რომელიც ლენინიზმის შესწავლის ერთ-ერთ საუკეთესო ფორმად გადაიქცა.

გეგმაზომიერმა და საინტერესო ღონისძიებებმა ხელი შეუწყო ახალგაზრდობის შემოქმედებითი ინიციატივის განვითარებას, მათ მიზანსწრაფულ შრომას მრეწველობისა და სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებში. ლენინის საქმისადმი თავდადება რესპუბლიკის კომკავშირელებმა და ახალგაზრდებმა შრომასა და სწავლაში მოპოვებული წარმატებებით დაამტკიცეს.

* * *

საქართველოს კომკავშირის სახელოვანი გზა, მისი გამარჯვებები სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის სხვადასხვა უბანზე, ალაფრთოვანებს და ახალი საგმირო საქმეებისაკენ მოუწოდებს რესპუბლიკის კომკავშირელებსა და ახალგაზრდებს. ამიტომ მთავარი საზრუნავი ამჟამად ისაა, რომ კომკავშირელთა ყველა თაობის ნიჭითა და უნარით მოპოვებული დიდებული ტრადიციები კიდევ უფრო განმტკიცდეს და განვითარდეს.

ჩვენი საზოგადოების განვითარების ყველა ეტაპზე ახალგაზრდობა ენერგიულად იბრძოდა პარტიისა და მთავრობის ისტორიული გადაწყვეტილებების განხორციელებისათვის. კომკავშირში აღზრდილები კომუნიზმის მშენებლობის ლენინურ პრინციპებს მუდამ იდეური სიმტკიცითა და მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებულობით ადასტურებდნენ. ასე არის ახლაც.

სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციების მთელი ძალები მიმართულია ახალგაზრდობის იდეური ფორმირებისაკენ, საბჭოთა ხალხის რევოლუციურ, საბრძოლო და შრომით ტრადიციებზე მათი აღზრდისაკენ. ამ საქმეში რესპუბლიკის კომკავშირი ყოველდღიურად გრძნობს პარტიულ მზრუნველობასა და დახმარებას.

ის ფაქტი, რომ ჩვენი საზოგადოების განვითარების მთელ მან-

ძილზე ახალგაზრდობასთან მუშაობის საკითხები მუდამ უდიდეს პარტიულ და სახელმწიფოებრივ საქმედ იყო მიჩნეული, მიუთითებს მოზარდი თაობის ავანგარდულ როლზე კომუნისტურ მშენებლობაში.

როგორც სკკპ 24-ე ყრილობაზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, „ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში დიდი ადგილი ეკუთვნის ლენინურ კომკავშირს, რომლის რიგებშიც გაერთიანებულია 28 მილიონზე მეტი ქალიშვილი და ჭაბუკი. ძნელი წარმოსადგენია სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ისეთი უბანი, სადაც არ იყენებდნენ კომკავშირელთა ენერგიას, შემოქმედებასა და შემართებას. დამკვრელურ-კომკავშირული მშენებლობანი, ახალგაზრდა მუშათა ოსტატობის ჯგუფური კონკურსები, სტუდენტთა საშშენებლო რაზმები, ახალგაზრდული საწარმოო ბრიგადები, შრომისა და დასვენების საზაფხულო ბანაკები — ყოველივე ეს კომკავშირის, საბჭოთა ახალგაზრდობის წინამძღოლის კონკრეტული და ძალიან საჭირო საქმეებია". ეს მაღალი შეფასება ბევრს ივალებს რესპუბლიკის კომკავშირულ ორგანიზაციებს მეცხრე ხუთწლიანი გეგმის ვადამდე და გადაჭარბებით შესრულებისა და საერთოდ, ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის საქმეში.

ასრულებენ რა პარტიის 24-ე ყრილობისა და საკავშირო კომკავშირის მე-16 ყრილობის გადაწყვეტილებებს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებს „სრულიად საკავშირო ალკკ 50 წლისთავისა და ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის ამოცანების შესახებ" და „კომკავშირისადმი ხელმძღვანელობის საქმეში კრასნოიარსკის სამხარეო პარტიული ორგანიზაციების მუშაობის შესახებ", რომლებშიც მთელი სისრულითაა მოცემული ლენინური კომკავშირის სამოქმედო პროგრამა, რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციები იბრძვიან ახალგაზრდობაში ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ფორმების სრულყოფისათვის. ახალგაზრდობას რაზმავენ, რათა მეცხრე ხუთწლედის პირველი წლის თვითეული დღე დამკვრელური შრომისა და ბეჯითი სწავლის დღედ გადააქციონ.

მეორე საკავშირო ლენინურმა ჩათვლამ, რომელიც სკკპ XXIV ყრილობას მიეძღვნა და ჩატარდა დევიზით „ჩვენ ლენინისა და პარტიის საქმის ერთგულნი ვართ", დიდად შეუწყო ხელი კომკავშირელებისა და ახალგაზრდების შრომითი და საზოგადოებრივი აქტივობის ამაღლებას; იგი იქცა პარტიისა და მშობელი ხალხის საქ-

მისადმი ჩვენი ახალგაზრდობის ერთგულების მკაფიო გამოხატულებად.

ლენინური ჩათვლა დამთავრდა საკავშირო კომკავშირული კრებით, რომელიც ყველა კომკავშირულ ორგანიზაციაში მიმდინარე წლის 3 მაისიდან 19 მაისამდე ჩატარდა.

პარტიის 24-ე ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების განხილვისას მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობების, ტრანსპორტის, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, მომსახურეობის სფეროს ახალგაზრდებმა ივალდებულეს ფართოდ გაეშალათ სოციალისტური შეჯიბრება შრომის ნაყოფიერების ამაღლებისა და ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის.

ქუთაისის, ფოთის, ჭიათურის საქალაქო კომკავშირულ ორგანიზაციებში გავრცელდა წარმოების ახალგაზრდა მოწინავეთა მასობრივი მოძრაობა ხუთწლედის პირადი საწარმოო გეგმების შესრულებისათვის. დედაქალაქის კომკავშირელებმა აიღეს გადიდებული ვალდებულებები 1971 წლის გეგმების ვადამდე განაღდებისათვის. რუსთავის საწარმოებში ახალგაზრდობამ მოაწყო მასობრივი ლაშქრობა-შეჯიბრება დევიზით: „თვითეულისაგან — მაღალი შრომის ნაყოფიერება“. ახალგაზრდა მუშებმა და სპეციალისტებმა შეიმუშავეს ხუთწლედის პირველ წელს შრომის ნაყოფიერების ამაღლების პირადი კომპლექსური გეგმები.

ახალგაზრდობის ამ პატრიოტულ მოძრაობას სათავეში ჩაუდგნენ და ახალი ინიციატივით გამოვიდნენ რუსთავის ქიმიური ქარხნის მგრეხელი, სოციალისტური შრომის გმირი, საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის წევრი ელენე კოწიწაშვილი, თბილისის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის ზეინკალი ჯემალ ჩიტაშვილი და თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის მრთველი მზია არათანაშვილი, რომლებმაც სამუშაო დროის არარაციონალური დანაკარგებისა და შრომითი დანახარჯების შემცირების შედეგად გადაწყვიტეს ხუთწლედის დავალება 4 წელიწადში შეასრულონ.

მათ ინიციატივას იმთავითვე ბევრი მიმდევარი გამოუჩნდა რესპუბლიკის ფაბრიკა-ქარხნებში, საწარმოო-დაწესებულებებსა და მშენებლობებზე. ახალგაზრდობამ ახალი პატრიოტული თაოსნობა თავის ღვიძლ საქმედ აქცია და მთელი ძალები დარაზმა მომავალი გამარჯვებისათვის. ასეთი თავდადებული შრომის შედეგია ის, რომ

საქართველოს კომკავშირის ნახევარსაუკუნოვანი იუბილეს წინ ასობით კომკავშირელი და ახალგაზრდა ხუთწლედის მეორე წლის ანგარიშში უშვებს მაღალხარისხოვან პროდუქციას. ყოველივე ეს მოპოვებულია მაღალკვალიფიციური შრომით, ფარული რეზერვების ამოქმედებითა და საწარმოო კვალიფიკაციის ამაღლებით.

კმაყოფილებით უნდა აღინიშნოს, რომ სიუპაბუკის ამ დიდი ზეიმის აღსანიშნავად რესპუბლიკის კომკავშირულ ორგანიზაციებში ფართოდ გავრცელდა მოძრაობა დევიზით: „ხუთწლედს—ახალგაზრდობის დამკვრელური შრომა, ოსტატობა და ძიება".

ამ მიმართებით მოწონებას იმსახურებს ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის კომკავშირული ორგანიზაციის გამოცდილება. საწარმოში მომუშავე 1.700-ზე მეტ კომკავშირელს შემუშავებული აქვს კვალიფიკაციისა და ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნის დონის ამაღლების პერსპექტიული გეგმები. გაითვალისწინა რა ახალგაზრდობის მოთხოვნილება, ქარხნის კომკავშირის კომიტეტმა საკავშირო ლენინური კომკავშირის 50 წლისთავისათვის მზადების პერიოდში შექმნა ახალგაზრდობის ტექნიკური შემოქმედების უნივერსიტეტი, რომელმაც გააერთიანა ახალგაზრდა სპეციალისტთა, რაციონალიზატორთა და კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადების საქმიანობა. უნივერსიტეტში გაერთიანებული 120-ზე მეტი ახალგაზრდა სპეციალისტის უშუალო მონაწილეობით დანერგილმა ტექნიკურმა სიახლეებმა საწარმოს 100 ათასზე მეტი მანეთის ეკონომია მისცა.

ახალგაზრდული საწარმოა თბილისის ტელეგრაფული აპარატების ქარხანა, მაგრამ აქ ვინც ერთხელ მაინც ყოფილა, მას დიდხანს ემახსოვრება ქარხანაში დაცული შრომის მაღალი კულტურა; თვითეულ სამუშაო უბანს ახალგაზრდობის გამრჯე ხელი ატყვია. წარმოების მაღალი კულტურისათვის ბრძოლის ავანგარდში საწარმოს მთელი კომკავშირული აქტივია, რომელიც ახალბედა მუშებს უნერგავს კოლექტივის წინაშე პასუხისმგებლობისა და არჩეული პროფესიისადმი სიყვარულის გრძნობას. აქ გულისხმიერად ეკიდებიან ახალგაზრდათა კვალიფიკაციის ამაღლებასაც.

ქარხნის კომკავშირელები და ახალგაზრდები უკვე მესამე წელია მასპინძლობენ პროფესიაში საუკეთესო სახელისათვის რესპუბლიკური შეჯიბრების მონაწილეებს, რომელსაც ყოველწლიურად ატარებს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი და რომელმაც ახალგაზრდობის მოწონება დაიმსახურა.

პროფესიაში საუკეთესოს სახელისათვის კონკურსებმა და შეჯიბრებებმა პოპულარობა მოიპოვა იმიტომაც, რომ იგი ხელს უწყობს პროფესიულ დაოსტატებასა და ახალი ზღუდეების დაძლევას. ამასთანავე ახალგაზრდობას აყვარებს მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის სასახელო შრომით ტრადიციებს. ვ. ი. ლენინის საიუბილეო წელს რესპუბლიკის რაიონებსა და ქალაქებში ჩატარებულ ასეთ კონკურსებში მონაწილეობა მიიღო ათასობით ახალგაზრდამ, ხოლო საბჭოთა საქართველოს ნახევარსაუკუნოვანი იუბილესადმი მიძღვნილ ფინალურ შეჯიბრებაში მაღალი ოსტატობა, მტკიცე ნებისყოფა და პროფესიის ღრმა ცოდნა გამოამჟღავნა 100-მდე ახალგაზრდამ.

სამეცნიერო-ტექნიკური ცოდნის ათვისებისათვის ლაშქრობა კარგად მიმდინარეობს თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალმშენებელი ქარხნის კომკავშირულ ორგანიზაციაში, სადაც ახალგაზრდა მუშებისათვის შეიქმნა ეკონომიური მეცნიერების შემსწავლელი სპეციალური ჯგუფები. ახალგაზრდა სპეციალისტთა საბჭოს საინფორმაციო ჯგუფი ფართო პროპაგანდას უწევს სამამულო მეცნიერებისა და ტექნიკის სიახლეებს, უშვებს პრესბიულეტენებს ეკონომიკის სხვადასხვა საკითხებზე. მსმენელები კომკავშირის კომიტეტისა და ახალგაზრდა სპეციალისტთა საბჭოს მიერ შედგენილი თემატიკის მიხედვით ამუშავებენ თვითეული საწარმოო უბნისა და ბრიგადის სამეურნეო ანგარიშიანობის პრობლემებს.

ასეთი მუშაობა მოწონებასა და მხარდაჭერას იმსახურებს, რადგან იგი ხელს უწყობს კოლექტივის საერთო წარმატებებისათვის ბრძოლაში ახალგაზრდობის დარაზმვას.

საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში ახალგაზრდობის ჩაბმა და სასახელო შრომით ტრადიციებზე მოზარდი თაობის აღზრდა მუდამ იყო კომკავშირული ორგანიზაციების მთავარი ამოცანა. რესპუბლიკის კომკავშირის საიუბილეო წელს ამ საკითხს კიდევ უფრო მეტი ყურადღება მიექცა.

პირველად კომკავშირულ ორგანიზაციებს ჩვენი მუშათა კლასის და კოლმეურნე გლეხობის გმირულ ტრადიციებზე ახალგაზრდობის აღზრდისათვის დანერგილი აქვთ ბევრი საინტერესო რიტუალი, რომლებიც ხელს უწყობენ შრომისადმი სიყვარულის გაღვივებას. შრომითი დინასტიების დღესასწაული, შრომის წიგნაკისა და სახელობითი ინსტრუმენტების საზეიმო გადაცემა, მოსავლის დღესასწაულები, სხვადასხვა სახის კონკურსები და სანახაობრივად და შინა-

არსით საინტერესო ღონისძიებები ახალგაზრდობაზე კეთილ გავლენას ახდენენ.

უკანასკნელ წლებში კიდევ ერთ სასარგებლო ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი. ესაა ჩვენი მუშათა კლასის ღირსეული წარმომადგენლების შრომითი საქმიანობის იუბილეების აღნიშვნა.

გასულ წელს რესპუბლიკაში ფართოდ აღინიშნა ქართველი მუშათა კლასის სასახელო წარმომადგენლის, თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის მჭედლის, სოციალისტური შრომის გმირის კონსტანტინე ილურიძის შრომითი მოღვაწეობის 40 წლისთავი.

კ. ილურიძის მშობლიურ საწარმოს დიდი რევოლუციური წარსული აქვს. ქარხნის ახალგაზრდობა მზრუნველად უვლის იმ ჩარხს, რომელზეც მუშაობდა მიხეილ კალინინი. კომკავშირის კომიტეტი ჩარხზე მუშაობის უფლებას რთავს სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ ახალგაზრდებს. სწორედ ამ ჩარხთან კომკავშირის რიგებში ახალმიღებული ქარხნის ვეტერანების წინაშე დებენ ფიცს, რომ მუდამ განუხრელად დაიცავენ კოლექტივის ღირსებას.

რესპუბლიკის კომკავშირის ნახევარსაუკუნოვან იუბილეზე განსაკუთრებული მადლიერებით ვიხსენებთ ჩვენს სახელოვან ადამიანებს, პირველი ხუთწლედების გმირებს: კონსტანტინე ილურიძეს, თამარ ყუფუნიას, პროკოფი სვანიძეს, ვასილ სამხარაძეს, ამირან ფანცულაიას და მრავალ სხვას, რომლებსაც დიდი ამაგი მიუძღვით კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის აღზრდაში. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მათი ცხოვრება იმის კარგი მაგალითია თუ როგორ უნდა უყვარდეს ჩვენს ახალგაზრდობას შრომა, როგორ უნდა იღვწოდეს იგი სოციალისტური სამშობლოს სადიდებლად. მოზარდ თაობას მუდამ იზიდავდა მათი საგმირო საქმეები.

საქართველოს კომკავშირმა ამ შრომითი ტრადიციებისადმი ერთგულება ერთხელ კიდევ ნათლად დაადასტურა 1970 წლის ნოემბერში და მიმდინარე წლის აპრილში საკავშირო კომუნისტურ შაბათობებზე, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო ქალაქისა და სოფლის ათიათასობით ახალგაზრდამ. ვერ ჩამოვთვლით ყველა სასარგებლო ღონისძიებას, რომლებიც რესპუბლიკის კომკავშირელების მარჯვენით გაკეთდა როგორც შაბათობებზე, ისე საუბილეო თარიღებისათვის მზადების მთელ პერიოდში.

დავასახელებთ მხოლოდ ერთ მათგანს. რომელიც სკკპ XXIV

ყრილობას, რესპუბლიკის საიუბილეო თარიღებსა და საქართველოს კომკავშირის შექმნის 50 წლისთავს მიეძღვნა. ეს აა დამკვრელურ-კომკავშირულ მშენებლობათა ახალგაზრდობის რესპუბლიკური შრომითი ესტაფეტა, რომელიც 30-იანი წლების ქართველი ახალგაზრდობის შრომითი მამაცობის ადგილზე — ზაჰესში დაიწყო და რესპუბლიკის ყველა დამკვრელურ-კომკავშირულ მშენებლობას მისწვდა.

„ახლა როცა მთელი ჩვენი ხალხი უდიდესი მიღწევებით ეგებება სკკპ XXIV ყრილობას, საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 50 წლისთავს,—ნათქვამია ესტაფეტის მიტინგის მონაწილეთა მიმართვაში რესპუბლიკის ყველა კომკავშირელისა და ახალგაზრდისადმი, — ჩვენ, რესპუბლიკის დამკვრელურ-კომკავშირულ მშენებლობათა ახალგაზრდობის შრომითი ესტაფეტის მონაწილენი შევიკრიბეთ ზაჰესში, პროლეტარიატის დიდი ბელადის — ვ. ი. ლენინის ძეგლთან, შევიკრიბეთ სწორედ იქ, სადაც დასაბამი მიეცა საქართველოს კომკავშირის, მთელი ქართველი ახალგაზრდობის დიდებულ შრომით ტრადიციებს. მოგმართავთ თქვენ, ჩვენს თანატოლებს, ყველა კომკავშირელსა და ახალგაზრდას, ვამრავლოთ სასახელო ტრადიციები. კომკავშირული საგზურებით კვლავაც ვეწვიოთ ახალმშენებლობებს, დამკვრელურად გადავაქციოთ ყოველი წინასაყრილობო და წინასაიუბილეო დღე, ღირსეულად მოვიხადოთ ჩვენი მოქალაქეობრივი ვალი პარტიისა და მშობელი ხალხის წინაშე“.

მართლაც, ესტაფეტამ დიდი აქტივობის ნიშნით ჩაიარა და მისი მიმდინარეობის დროს მრავალ საინტერესო საქმეს ჩაეყარა საფუძველი. რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში მოეწყო საზეიმო შეკრებები და მასიური შაბათობები; შაბათობებზე ახალგაზრდობის მიერ გამომუშავებული ათასობით მანეთი გადაირიცხა მეცხრე ხუთწლედის ფონდში, გამწვანდა ასობით ჰექტარი ფართობი, დაირგო 50 ათასი ძირი ხე.

ესტაფეტამ კიდევ ერთხელ ნათელყო ქართველი ახალგაზრდობის შრომითი შემართება და დიდი ლენინის ანდერძისადმი უსაზღვრო ერთგულება.

პარტიის 24-ე ყრილობაზე მიღებულ სსრკ სახალხო მეურნეობის განვითარების 1971—1975 წლების ხუთწლიანი გეგმის დირექტივებში ნათქვამია, რომ ხუთწლედის განმავლობაში: „ავამოქმე-

დოთ ენგურის ჰიდროელექტროსადგურის სიმძლავრეები და ვარციხის ჰიდროელექტროსადგურის კასკადის პირველი ელექტროსადგური, დავიწყოთ ჰიდროტექნიკური კომპლექსის მშენებლობა. დავამთავროთ მადნეულის სპილენძგამამდიდრებელი კომბინატის მშენებლობა. ავაშენოთ ფაიფურ-ქაშანურის ქარხანა, გავადიდოთ ბსუბუქი და კვების საწარმოთა სიმძლავრეები".

ჩვენმა ახალგაზრდობამ კარგად იცის, რომ ხუთწლიანი გეგმის დირექტივები მთელი საბჭოთა ხალხის სამოქმედო პროგრამაა და მისი განხორციელებისათვის შრომა თვითეული კომკავშირელისა და ახალგაზრდის ღირსების საქმეა. აკი ამიტომაც აღნიშნული ამოცანების შესრულებისათვის რესპუბლიკის კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება ცალკეულ კომკავშირელებსა და ახალგაზრდულ კოლექტივებს შორის, რომელმაც განსაკუთრებით ფართო გაქანება ჰპოვა საქართველოს კომკავშირის ნახევარსაუკუნოვანი იუბილეს ღირსეულად აღნიშვნასთან დაკავშირებით.

ამ მხრივ დიდი წარმატებები აქვთ მოპოვებული ენგურჰესის მშენებლებს. სასიხარულოა იმის აღნიშვნა, რომ მიმდინარე წლის 29 მარტს, სკკპ XXIV ყრილობის გახსნის წინა დღეს, ვარდნილი ჰესის ერთ-ერთმა აგრეგატმა პირველი სამრეწველო ენერგია გამოიმუშავა. ეს თვალსაჩინო წარმატება ენგურჰესელებთან ერთად იზეიმა რესპუბლიკის კომკავშირმა, რომელიც 1965 წლიდან შეფობას უწევს გიგანტურ მშენებლობას.

კარგი შედეგები გამოიღო მშენებლობაზე პროფესიების მიხედვით გაშლილმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ საუკეთესო კომკავშირული ჯგუფის, საუბნო და პირველადი კომკავშირული ორგანიზაციის სახელის მოპოვებისათვის.

შეჯიბრებამ ხელი შეუწყო ახალგაზრდა მშენებლების შრომის ნაყოფიერების ზრდას, ფარული რეზერვების გამოვლენასა და სრულ ამოქმედებას, რისთვისაც 280-მდე კომკავშირელს კომუნისტური შრომის დამკვრელის წოდება მიენიჭა.

სოციალისტურ შეჯიბრებაში იწრთობიან ენგურჰესელი ახალგაზრდები, რომლებიც ღირსეულად აგრძელებენ უფროსი თაობების სასახელო ტრადიციებს.

საქართველოს კომკავშირის 28-ე ყრილობაზე თავის გამოსვლაში ამხანაგმა ვასილ პავლეს ძე მჟავანაძემ აღნიშნა, რომ „კომკავ-

შირმა ეს ტრადიციები განსაკუთრებით ახლა უნდა გაიხსენოს, როცა მთელ უბნებზე იგრძნობა, რომ საჭიროა მთელი ძალების მობილიზება, საბრძოლო კომკავშირული მგზნებარება, ნაბდვილი ახალგაზრდული ენთუზიაზმი". რესპუბლიკის კომკავშირის ნახევარსაუკუნოვან იუბილეზე სიამაყით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ საქართველოს კომკავშირელები და ახალგაზრდები აღმავლობით ასრულებენ ამ მოწოდებას.

მშენებლობაზე ამჟამად 39 კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადაა, რომლებიც თავდადებული შრომის შესანიშნავ მაგალითებს იძლევიან. მათი შრომის, სწავლისა და დასვენების საკითხებზე სისტემატურად ზრუნავს არა მარტო ენგურჰესის კომკავშირის კომიტეტი, არამედ მას ყურადღებას არ აკლებენ რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციებიც.

მარტო 1970 წელს კომკავშირის კომიტეტების მიერ კომკავშირული საგზურით მშენებლობაზე 597 ახალგაზრდა გაიგზავნა. საქალაქო და რაიონული კომიტეტები მათთვის ატარებენ ლექცია-მოხსენებებს, დასვენების საღამოებს, შეხვედრებს ლიტერატურის, ხელოვნებისა და მეცნიერების გამოჩენილ წარმომადგენლებთან, მართავენ საშეფო კონცერტებს, სპორტულ შეჯიბრებებსა და სხვა კულტურულ-მასობრივ ღონისძიებებს.

მშენებლობის ახალგაზრდებს ყველა პირობა აქვთ შექმნილი პროფესიული ოსტატობისა თუ ზოგადსაგანმანათლებლო-კულტურული დონის ამაღლებისათვის.

იმ მრავალ მოწინავე მშენებელს შორის, რომელიც სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა, უნდა დავასახელოთ შუქრი აბაკელიას ბრიგადა. თვითონ ბრიგადირი სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოხდის შემდეგ მშენებლობაზე კომკავშირული საგზურით მოვიდა. იგი მალე კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ბრიგადირად აირჩიეს, რომელსაც მაღალი საწარმოო მაჩვენებლებისათვის კომუნისტური შრომის ბრიგადის საპატიო წოდება მიენიჭა. ამჟამად შუქრი აბაკელიას სახელი ფართოდაა ცნობილი რესპუბლიკის ახალგაზრდობისათვის. ენგურჰესის კოლექტივმა მას დიდი ნდობა გამოუცხადა და საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩია.

საამაყო წარმატებებს მიაღწია ომარ ღლონტის კომუნისტური შრომის ახალგაზრდულმა ბრიგადამ, რომელმაც დიდი კვეთის გვი-

რაბის ჩქაროსნული გაყვანის ოთხი საკავშირო რეკორდი დაამყარა და რესპუბლიკის კომკავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად გაშლილ შეჯიბრებაში ვაჟკაცური შრომის მაგალითს აჩვენებს ენგურჰესის ახალგაზრდობას. ასეთი მაგალითების მოყვანა ბევრი შეიძლება მშენებლობის კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადების შრომითი საქმიანობიდან.

ენგურჰესელები ბევრი კარგი საქმის თაოსნები არიან. ისინი აქტიურად ჩაებნენ მეცხრე ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. ზაურ ზარნაძის ბრიგადის წევრებმა იკისრეს ხუთწლედის დავალება ოთხ წელიწადში შეასრულონ. 30—40 პროცენტით გაზარდონ შრომის ნაყოფიერება და შეისწავლონ და დანერგონ მოწინავე მეთოდები.

რესპუბლიკის კომკავშირის 50 წლისთავის აღსანიშნავად ბევრი კარგი საქმე გაკეთდა „თბილგვირაბმშენის" კომკავშირულ ორგანიზაციაში. აქ მუშაობის ძირითად მიმართულებად იქცა ახალგაზრდა მშენებლების ტექნიკური და პროფესიული ცოდნის დონის ამაღლება, ახალგაზრდობის აქტიური ჩაბმა ტექნიკური პროგრესისათვის გაშლილ მოძრაობაში და რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა საქმიანობაში. კომკავშირის კომიტეტის მონაწილეობით 1970—1971 წლებში მომზადდა 326 სპეციალისტი, კვალიფიკაცია აიმაღლა 347-მა ახალგაზრდამ. მეორე და მესამე პროფესია აითვისა 153-მა ჭაბუკმა და ქალიშვილმა.

კომკავშირის კომიტეტთან შექმნილი ახალგაზრდა სპეციალისტთა საბჭო სისტემატურად ატარებს სემინარებს, ლექციებს ტექნიკურ საკითხებზე. კარგ ტრადიციად იქცა შრომის მოწინავე მეთოდების შესწავლის მიზნით ახალგაზრდობის გაგზავნა ენგურჰესის, ლენინგრადის, მოსკოვისა და კიევის მეტრომშენების ორგანიზაციებში.

ახალგაზრდობის ძალებით დანერგილმა რაციონალიზატორულმა წინადადებებმა საწარმოს კოლექტივებს 297 ათასი მანეთის მოგება მისცა. კომკავშირის კომიტეტთან არსებული ტექნიკური პროგრესის ხელშემწყობი კომისიის წევრთა მონაწილეობით ბევრი ტექნიკური სიახლე დაინერგა, რამაც დააჩქარა მშენებლობის ტემპები და დაზოგა დიდძალი მატერიალური სახსრები.

„თბილგვირაბმშენის" კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის მიღწევები თავდადებული შრომისა და შემოქმედებითი ძიების გარეშ

იმანაც განაპირობა, რომ აქ ფართო გავრცელება ჰპოვა ე. წ. „დამრიგებლობამ“, როდესაც წარმოების ნოვატორები სათაუეში უდგანან საიმედო ცვლის მომზადების საქმეს და ახალბედა მუშებს დაუზარებლად გადასცემენ თავიანთ მდიდარ გამოცდილებას. ბევრ ახალგაზრდას შეაყვარეს მშენებლის სპეციალობა სოციალისტური შრომის გმირმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა გრუზო ობოლაძემ, ლენინის ორდენოსანმა მემონტაჟემ ტიტე კილაძემ და სხვებმა. ასეთი მუშაობა ყოველმხრივ მხარდასაჭერია, რადგან იგი ხელს უწყობს სასახელო შრომითი ტრადიციების განვითარებას და საწარმოო კოლექტივებში თაობათა მემკვიდრეობითობის განმტკიცებას.

საქართველოს კომკავშირის შრომის მატიანეში მიმდინარე წელს სასახელო ფურცელი ჩასწერეს რესპუბლიკის სოფლის ახალგაზრდებმა, რომლებმაც ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის გამოცხადებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში მაღალი მაჩვენებლები ჰოიპოვეს.

კომკავშირის მონაწილეობა სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში მუდამ კონკრეტულ საქმეებში გამოიხატებოდა. საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მიმდინარე წლის ივნისში მოიწონა რესპუბლიკის სოფლის კომკავშირული ორგანიზაციების ღონისძიებათა გეგმა — სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში განხორციელებისათვის. იგი ითვალისწინებს კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას, სოფლის მეურნეობის წარმოების ეფექტურობის გაზრდას, საწარმოო პროცესების მექანიზაციასა და ელექტრიფიკაციას, მეცხოველეობის პროდუქტიულობისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგის რენტაბელობის ამაღლების საქმეში სოფლის ახალგაზრდა მშრომელების ჩაბმას.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ რესპუბლიკის კომკავშირის ნახევარსაუკუნოვანი იუბილეს აღსანიშნავად ბევრი სასარგებლო საქმე გაკეთდა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, მეცხოველეობის ფერმებსა და ბრიგადებში. ახალგაზრდობა ყველგან დამკვრელურად შრომობს, იჩენს ინიციატივასა და დაკისრებული მოვალეობისადმი მაღალ პასუხისმგებლობას.

საშეურნეო წელი სასიხარულო გამარჯვებებით აღნიშნეს ჩვენმა მეჩაიეებმა, მებაღეებმა, მევენახეებმა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგების წარმომადგენლებმა.

ჩაის კრეფის უხვი მოსავლისათვის გაშლილ შეჯიბრებაში ბევრი ახალგაზრდული ბრიგადა და რგოლი დაწინაურდა. ზუგდიდის რაიონის ხუცერის ჩაის საბჭოთა მეურნეობის კომკავშირულ-ახალგაზრდულმა ბრიგადამ არც მიმდინარე წელს უღალატა ტრადიციას და რაიონში პირველმა 7 ივლისისათვის ნახევარი ტონის გადამეტებით შეასრულა ჩაის კრეფის წლიური გეგმა. ახალგაზრდა მეჩაიეებმა სულიკო გოგოხიამ, თინა გიორგაძემ, ნარგიზა ჭორგოშიამ, თამაზ ბარამიამ და სხვებმა გადაწყვიტეს სეზონის ბოლომდე მოეკრიფათ ორმოცი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რაც კიდეც შეასრულეს.

ლენინის ორდენოსანი ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ახალგაზრდებმა 8 აგვისტოსათვის შეასრულეს საქართველოს კომკავშირის 50 წლისთავის აღსანიშნავად აღებული საიუბილეო ვალდებულებები. ახალგაზრდული ძალებით დამზადებულ იქნა 1604 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ნაცვლად 1600 ტონისა. თავი გამოიჩინეს კომკავშირულმა რგოლებმა, რომლებსაც ახალგაზრდა მექანიზატორები ი. ქარჩავა, რ. ჭანტურია და ნ. ჭკადუა ხელმძღვანელობენ.

მეცხრე ხუთწლედის პირველი წლის გეგმის ვადამდე შესრულებაში განსაკუთრებით ისახელეს თავი აჭარის, აფხაზეთის, ცხაკაიას, ზუგდიდის, წალენჯიხის, აბაშის, მახარაძის, ლანჩხუთის, ხობისა და სხვა რაიონების ახალგაზრდებმა, რომლებმაც მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს ასობით ტონა მაღალხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ასეთმა თავდადებულმა შრომამ განაპირობა, რომ მიმდინარე წლის სექტემბრის დასაწყისისათვის რესპუბლიკის ახალგაზრდა მეჩაიეებმა მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 185 ათასი ტონა მაღალხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ეს კი იმის საწინდარია, რომ წარმატებით შესრულდება რესპუბლიკის მშრომელების მიერ ნაკისრი ვალდებულება — 1973 წელს მოკრიფონ და სახელმწიფოს ჩააბარონ 300 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი, ნაცვლად პარტიის XXIV ყრილობის დირექტივებით გათვალისწინებული 285 ათასი ტონისა

როდესაც რესპუბლიკის კომკავშირის 50 წლისთავის აღსანიშნავ შეჯიბრებაში ჩაბმულ ახალგაზრდა მეჩაიეებზე ვლაპარაკობთ, ქებით უნდა მოვიხსენიოთ სოციალისტური შრომის გმირის, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ქეთევან გოგიტიძის მიღწევები, რომელმაც მასზე გაპიროვნებულ ნაკვეთზე ჩაის საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა 16 ათას კილოგრამამდე აიყვანა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 5 ათასი კილოგრამისა. მერვე ხუთ-

წლედში მან მოკრიფა და სახელმწიფოს ჩააბარა 37 ტონა მაღალხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ახალ ხუთწლედში გადაწყვეტილი აქვს მოკრიფოს 40 ტონა. კომკავშირის საიუბილეო წელს, სექტემბრის დასაწყისისათვის ქ. გოგიტიძემ მოკრიფა და სახელმწიფოს ჩააბარა 6750 კილოგრამი მაღალხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. სამეურნეო წლის ბოლომდე მას გადაწყვეტილი აქვს მიმღებ პუნქტს ჩააბაროს 8.5 ტონა ჩაის ფოთოლი.

მიმდინარე წლის ივლისში ჩაის კრეფის წლიური გეგმა უკვე შეასრულა მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების მეორე ბრიგადის კომკავშირულ-ახალგაზრდულმა რგოლმა, რომელსაც უმაღლესი საბჭოს დეპუტატი სვეტლანა ნიკოლაიშვილი ხელმძღვანელობს.

მეჩაიეებს არც ახალგაზრდა მევენახეები და მეხილეები ჩამორჩენენ. ჩვენმა ახალგაზრდობამ მამა-პაპათაგან მემკვიდრეობით შეისისხლხორცა ვაზის სიყვარული, ისწავლა მისი მოვლა-პატრონობა. გასულ ხუთწლედში ახალგაზრდობის ძალებით შეიქმნა მძლავრი საადედე მეურნეობები, გაიზარდა ვენახის ფართობები და გაფართოვდა ღვინის წარმოება.

ამ საქმეში თავი ისახელეს თელავისა და გურჯაანის რაიონების კომკავშირელებმა და ახალგაზრდებმა. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შექმნილმა კომკავშირულ-ახალგაზრდულმა ბრიგადებმა ყურძნის სარეკორდო მაჩვენებლები მიიღეს.

ყურძნის მაღალი მოსავლის მიღებაში განსაკუთრებით დაწინაურდნენ ზესტაფონის რაიონის კომკავშირული ორგანიზაციები. აღსანიშნავია სოფელ კვალითის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის შრომითი მიღწევები, რომელსაც ხელმძღვანელობს საკავშირო კომკავშირის XVI ყრილობის დელეგატი დავრი ხუსკივაძე. იგი წლეში განმავლობაში კომკავშირულ ორგანიზაციას ედგა სათავეში. ხოლო უკვე სამი წელიწადია, რაც იგი კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩიეს. კოლმეურნეობამ გასულ წელს დიდი გადაჭარბებით შეასრულა სასოფლო სამეურნეო პროდუქტების დამზადებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის ხუთწლიანი გეგმები. ახლაც მოწინავეთა რიგებში არიან აქაური ახალგაზრდები.

თუმცა ყურძნის აღება-ჩაბარება ჯერ კიდევ გრძელდება. მაგრამ სამშობლომ ჩვენი მკლავმოუღლელი ახალგაზრდობისაგან უკვე მიიღო 95 ათასი ტონა ყურძენი. რესპუბლიკის კომკავშირის 50 წლისთავის აღსანიშნავად კომკავშირელებმა და ახალგაზრდებმა პირნათ-

ლად შეასრულეს ნაკისრი ვალდებულებები და იუბილეს დავალების გადაჭარბებით შესრულება უპატაკეს. ყურძნის დამზადების საქმეში მაღალი მაჩვენებლები მოიპოვეს ყვარლის, ვანის, სიღნაღის, ახმეტის, მაიაკოვსკის, საგარეჯოსა და სხვა რაიონების ახალგაზრდა მეევნახეებმა.

გადაჭარბებით შეასრულეს ნაკისრი ვალდებულებები რესპუბლიკის ახალგაზრდა მებაღეებმაც. დამზადდა და სახელმწიფოს ჩაბარდა ათასობით ტონა მაღალხარისხოვანი ხილი. ამ საქმეში კარგი შრომითი მაჩვენებლები მოიპოვეს გორის, ქარელის, ცაგერის, ახალციხის, მცხეთის, ასპინძის, სამხრეთ-ოსეთის ახალგაზრდა მეხილეებმა, რომლებმაც ხილის მაღალი მოსავალი მიიღეს.

კოლექტივის წარმატებები უნარიან ხელმძღვანელზე ბევრად რომ არის დამოკიდებული. ამის მაგალითად ქარელის რაიონის ქარელის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე გურამ ბრეგვაძე გამოდგება. 1963 წელს, როცა მთელ ჩვენს რესპუბლიკაში ფართოდ გავრცელდა ქარელის ახალგაზრდობის ინიციატივა ხეხილის ბაღებში მეჩხერიანობის, მავნებლებისა და დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების შესახებ, რის შედეგადაც ათასობით ჰექტარ ფართობზე მოისპო მეჩხერიანობა, იგი კოლმეურნეობის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი იყო.

გურამ ბრეგვაძის უნარიანი ხელმძღვანელობით კოლმეურნეობამ მერვე ხუთწლედის გეგმა 4 წელიწადში შეასრულა ისეთ ძირითად დარგებში, როგორიცაა ხილის, ყურძნის, ბაქრის ჭარხლის, სარეპროდუქციო თესლისა და ბოსტნეულის წარმოება. სულ დამზადდა და სახელმწიფოს ჩაბარდა 3 მილიონ 200 ათასი მანეთის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული ორ მილიონ 480 ათასი მანეთისა.

ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის კოლმეურნეობის ახალგაზრდა თავმჯდომარე დაჯილდოვდა ოქტომბრის რევოლუციის ორდენით. მთლიანად კოლმეურნეობაში კი მთავრობის ჯილდოები მიიღო 35 მოწინავემ. წლების მანძილზე კოლმეურნეობა სახალხო მეურნეობის მიღწევათა საკავშირო გამოფენის მონაწილეა, გურამ ბრეგვაძე ღირსეულად აგრძელებს მამის სასახელო ტრადიციებს, რომელიც ომის წლებში ამავე კოლმეურნეობის თავმჯდომარედ მუშაობდა. მაშინ კოლმეურნეობის ძირითად დარგად მარცვლეული კულტურები და მეცხოველეობა ითვლებოდა. არ გააჩნ-

დათ არავითარი ტექნიკა. ამჟამად კოლმეურნეობა აღჭურვილია ძძლავრი ავტოსატრანსპორტო მეურნეობით, კოლმეურნეობის კომკავშირელები და ახალგაზრდები ემსახურებიან 17 ტრაქტორს, 17 ავტომანქანას, ხეხილის ბაღების სხვადასხვა სახის საწამლავ მანქანებს და მისაბმელ იარაღებს.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ტექნიკური ბაზის განმტკიცება დღევანდელობის პირველი რიგის ამოცანაა და მას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ კომკავშირელები და ახალგაზრდები. საქმე გვაქვს ახალი მანქანებისა და მოწყობილობის გამოყენებასთან, ქიმიის დანერგვასთან, მელიორაციის განვითარებასა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ელექტრიფიკაციის განხორციელებასთან.

კომკავშირული ორგანიზაციების ყურადღების არეშია სოფლად ახალგაზრდობის მასობრივი მოძრაობა ტექნიკური პროფესიების დაუფლებისათვის. ამის შედეგია, რომ სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მექანიზატორებიდან ყოველი მეორე კომკავშირელია.

რესპუბლიკის კომკავშირის ნახევარსაუკუნოვანი იუბილესათვის მზადების პერიოდში კომკავშირულ ორგანიზაციებში შექმნილ 400-მდე წრესა და კურსებზე 4700-ზე მეტი ახალგაზრდა გულისყურით სწავლობდა სოფლის ტექნიკურ სპეციალობებს.

სულ უფრო პოპულარული ხდება კონკურსები ყველა ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროფესიების მიხედვით, რომლებიც როგორც პრაქტიკამ დაადასტურა, არა მარტო ოსტატობის სრულყოფის შესანიშნავი სკოლაა, არამედ მასობრივი სასოფლო-სამეურნეო სპეციალობების პროპაგანდის საინტერესო ფორმაც.

რესპუბლიკის ბევრ რაიონულ კომკავშირულ ორგანიზაციაში მაღალ დონეზე ჩატარდა ახალგაზრდა ტრაქტორისტ-მხვნელთა, მანქანური წველის ოსტატთა და სხვა კონკურსები და დათვალიერებები. სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ საკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მიერ გამოცხადებულ კონკურსში მეცხოველეობის ახალგაზრდულ ფერმებში წარმოების კულტურისა და შრომის პირობების მდგომარეობაზე გამარჯვებული გამოვიდნენ წიოელწყაროს რაიონის სოფელ ზემო მაჩხაანის, ბოგდანოვკის რაიონის სოფელ ეშტიის კოლმეურნეობებისა და გარდაბნის რაიონის თბილისის ბეფრინველეობის ფაბრიკის პირველადი კომკავშირული ორგანიზაციები.

კარგ შედეგებს მიაღწიეს მეცხოველეობის დარგის ახალგაზრდა მუშაკებმა. „მეცხოველეობა კომკავშირის დამკვრელური საქმეა“. — ამ დევიზით გამოცხადებულ ლაშქრობაში ფართოდ ჩაებნენ კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადები და რგოლები.

მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობის საქმეში საგრძნობი წვლილი შეიტანეს წითელწყაროს რაიონის ახალგაზრდა მეცხოველეებმა. რაიონის კომკავშირული ორგანიზაციების თაოსნობით საშუალო სკოლების კურსდამთავრებულებით დაკომპლექტდა 27 საკვებმომპოვებელი ბრიგადა და რგოლი, რომელთა ძალებით დამზადდა 25 ათას ტონაზე მეტი უხეში საკვები და სილოსი. ამან ხელი შეუწყო ხორცისა და რძის წარმოების გადიდებას. წარმატებები განაპირობა პრაქტიკაში პროგრესული მეთოდების დანერგვამ და მოწინავეთა გამოცდილების, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების ფართო პროპაგანდამაც.

ბევრი რამ გაკეთდა მეცხოველეობის ფერმების მექანიზაციისა და შრომის მეცნიერული ორგანიზაციის მხრივ. საკმარისია დავასახელოთ მეცხოველეობის ფერმების მექანიზაციის კომკავშირული ორწლედი, რომელიც გარდაბნის რაიონის კომკავშირელთა ინიციატივით რესპუბლიკის ბევრ კომკავშირულ ორგანიზაციაში გავრცელდა. თვით გარდაბნის რაიონში ყველა ახალგაზრდული ფერმა აყვანილია კომპლექსურ ტექნიკურ მომსახურებაზე.

რესპუბლიკის ახალგაზრდობაში მხარდაჭერა ჰპოვა თეთრიწყაროს რაიონის ახალგაზრდობის თაოსნობამ — მეცხოველეობისათვის ყოველწლიურად დაამზადონ ორი წლის საკვები მარაგი და იბრძოლონ საკუთარი საკვები ბაზით ფერმების უზრუნველყოფისათვის

ამ თაოსნობის გავრცელების შედეგად კომკავშირულმა ორგანიზაციებმა დამატებით შექმნეს 360-ზე მეტი კომკავშირულ-ახალგაზრდული საკვებმომპოვებელი კომპლექსური ბრიგადა და რგოლი, რომელთაც დიდი შრომა გასწიეს მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შესაქმნელად.

აწყურის მერძეველობა-მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის ახალგაზრდა საკვებმომპოვებელთა ბრიგადის მუყაითობის ნაყოფია 2.500 ტონა სიმინდის მწვანე მასის სილოსი და 1.000 ტონა საკვები ჭარხალი, დამზადებული პირუტყვისათვის.

კარგი ინიციატივა გამოიჩინეს ადიგენის რაიონის სოფელ არლის საშუალო სკოლის ახალგაზრდა პედაგოგებმა, რომლებმაც ზა-

ფხულის არდადეგების პერიოდში შექმნეს პედაგოგთა საწარმოო საკ-
ვეშმომპოვებელი ბრიგადები.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების ზრდას ისახავს მიზნად ახალგაზრდობის დამკვრელური შრომა თეთრი წყაროს რაიონის სოფელ კოდის, გორის რაიონის სოფელ ბეჯერისხევის, გარდაბნის რაიონის სოფელ გამარჯვებისა და სხვა მეფრინველეობის ფაბრიკების მშენებლობებზე, რომელთა მწყობრში ჩაყენებით რესპუბლიკის მოსახლეობა წელიწადში დამატებით მიიღებს 4 ათას ტონა ფრინველის ხორცს და 50 მილიონ კვერცხს.

სასახელო წარმატებებს აღწევენ ახალგაზრდა მეციტრუსეები, მეაბრეშუმეები, მეთამბაქოები და სოფლის მეურნეობის სხვა დარგებში მომუშავე ჭაბუკები და ქალიშვილები.

რესპუბლიკის საიუბილეო თარიღებისა და საქართველოს კომკავშირის ნახევარსაუკუნოვანი იუბილესათვის მზადების პერიოდში კიდევ უფრო ამაღლდა სტუდენტი ახალგაზრდობის როლი და აქტივობა სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში. უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების კომკავშირის კომიტეტები ფართოდ იყენებენ საკავშირო ლენინური ჩათვლის გამოცდილებას, ხელს უწყობენ მომავალი სპეციალისტების პროფესიული დონის გაუმჯობესებას და ზრუნავენ საფაკულტეტო თუ საკურსო კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობაში ახალი ფორმებისა და მეთოდების დანერგვისათვის.

კარგი შედეგები გამოიღო მუშაობის ისეთმა პრაქტიკულმა ფორმამ, როგორიცაა კონკურსები და დათვალიერებები საუკეთესო აკადემიური ჯგუფისათვის, სტუდენტთა აქტიური მონაწილეობა სხვადასხვა სამეცნიერო ღონისძიებებში.

ჩვენ მრავალი სახელოვანი სტუდენტი გვყავს, რომლებმაც თავი ისახელეს სწავლაში, სპორტში, სტუდენტურ თვითშემოქმედებაში და საზოგადოებრივ საქმიანობაში. ეს კანონიერ სიამაყეს იწვევს, რადგან დღევანდელი სტუდენტი ხვალინდელი ახალგაზრდა სპეციალისტია, რომელმაც აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს კომუნისტურ მშენებლობაში. ამიტომ საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი, კომკავშირული ორგანიზაციები ყოველმხრივ ხელს უწყობენ პრაქტიკულ საქმიანობაში სტუდენტთა მონაწილეობას.

სტუდენტ ახალგაზრდებში კოლექტივიზმისა და მაღალი მოქალაქეობრივი ნიშნების ნამდვილ დათვალიერებად იქცა ზაფხულის

არდადეგებზე მათი მონაწილეობა ჩვენი ქვეყნის მნიშვნელოვანი ობიექტების მშენებლობასა და მოსახლეობისათვის მასობრივ-პოლიტიკური და კულტურული ღონისძიებების ჩატარებაში.

თუ თვალს გადავავლებთ საქართველოს სტუდენტთა სასახელო საქმეთა მატიანეს, ცხადი გახდება, რომ იგი მუდამ იჩენდა ჩვენი საზოგადოების საჭირბოროტო საკითხებისადმი დიდ დაინტერესებას და აქტიურად მონაწილეობდა მათ გადაწყვეტაში. ასე იყო ყაზირი და ნასვენი მიწების ათვისებისათვის გამოცხადებულ ახალგაზრდული ლაშქრობის პირველ წლებში, როცა იქ ქართველ სტუდენტთა მრავალრიცხოვანი რაზმები გაემგზავრნენ. მას შემდეგ ჩვენმა სტუდენტობამ ბევრჯერ დატოვა თავისი კეთილი კვალი ნაყამირალზე, მისი მარჯვენით აშენდა სკოლები, კლუბები, კინოთეატრები, საავადმყოფოები, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ობიექტები და საცხოვრებელი სახლები.

საკმარისია ითქვას, რომ ლენინის საიუბილეო წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა ბიშკულისა და სოვეტსკაიას რაიონებში მილიონ 600 ათასი მანეთის ღირებულების სამოყვარულო-სამონტაჟო სამუშაოები შეასრულეს.

ყაზახეთში წლების მანძილზე ენერგიული შრომით თავი ისახელეს საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის, სოხუმის, თელავის, ცხინვალის, ქუთაისისა და გორის პედაგოგიური ინსტიტუტების სტუდენტებმა.

ადგილობრივ მოსახლეობას დიდხანს ემახსოვრება ქართველ სტუდენტთა მიერ ჩატარებული ლექცია-საუბრები, თემატური და კითხვა-პასუხის საღამოები, კონცერტები, სპორტული შეჯიბრებები და სხვა საინტერესო ღონისძიებები.

მათი თავდადებული შრომის აღიარება იყო, რომ სტუდენტთა სამშენებლო რაზმების საქმიანობაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის მდივნის მოადგილე რამაზ აბაშიძე მიმდინარე წლის ზაფხულში საპატიო ნიშნის ორდენით დააჯილდოვა. მედლებით კი — ამავე ინსტიტუტის სტუდენტი აკაკი მემანიშვილი, ხოლო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან ასპირანტი ნუგზარ პაიჭაძე და სტუდენტი დიეგო სხირტლაძე.

ქართველ მეყამირეთა გმირობაზე მიუთითებს ის სხვადასხვა ჯილდოები, სამახსოვრო საჩუქრები და გარდამავალი წითელი დროშებიც. რომლებიც ზაურ გულუასა და ალბერტ ჯანიაშვილის სტუდენტურმა ბრიგადებმა მოიპოვეს შრომისა და ჩატარებული საშეფო ღონისძიებების საუკეთესო მაჩვენებლებისათვის.

საქართველოს სტუდენტობამ ბევრი კარგი საქმე გააკეთა აგრეთვე რესპუბლიკის დამკვრელურ-კომკავშირულ მშენებლობებზე, კულტურულ-საგანმანათლებლო და საყოფაცხოვრებო ობიექტებზე. სტუდენტებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს „ლენინური ორწლეულისა" და საკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მიერ გამოცხადებული ორწლედის — „კომკავშირი სოფლის სკოლას" განხორციელებაში, კეთილმოაწყვეს სკოლები, კულტურის სახლები, ისტორიული ძეგლები და სხვა.

სტუდენტი ახალგაზრდობის უშუალო მონაწილეობით უკანასკნელი ორი წლის მანძილზე აშენდა 20 სკოლა. სამხატვრო აკადემიის სტუდენტებმა გააფორმეს მახარაძის რაიონის სოფელ დვაბზუს, ზემო ნატანებისა და დუშეთის რაიონის სოფლის სკოლები.

ვრცელი იყო სტუდენტთა სამშენებლო რაზმების წლევანდელი ნამოქმედო ასპარეზი. და თუ რესპუბლიკის რაიონებს შეემატა ახალი სკოლები, ბაგა-ბაღები, საცხოვრებელი სახლები, კულტურულ-საგანმანათლებლო, საყოფაცხოვრებო დაწესებულებები და შეკეთდა სოფლის გზები, ამაში ჩვენი სტუდენტობის დიდი წვლილიც არის.

საქართველოს კომკავშირის საიუბილეო წელს პოლიტექნიკური ინსტიტუტის 500 სტუდენტი მოძმე ყაზახეთში ეწეოდა მრავალსახრიკ სასარგებლო საქმიანობას. რესპუბლიკის კომკავშირის 200 წარგზავნილი თავდადებით შრომობდა ქ. ტოლიატის სააკტომობილო ქარხნის მშენებლობაზე და დაღესტანში. 3 ათასზე მეტი სტუდენტი კი ირჯებოდა ენგურჰესზე, ბორჯომში, ქარელში, თიანეთში, სამტრედიაში, ლაგოდეხში და სხვა ქალაქებსა და რაიონებში, სადაც აშენებდნენ პროფტექნიკური განათლების ახალ სასწავლებლებს, სკოლებს, ბიბლიოთეკებს, აწყობდნენ მასობრივ შაბათობებს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების სტუდენტმა ახალგაზრდობამ „შრომით სემესტრში" ყველაფერი გააკეთა, რომ განემტკიცებინა სტუდენტთა სამშენებლო რაზმების მიერ წინა წლებში დანერგილი სასახელო ტრადიციები.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ა. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტები შეფობდნენ ენგურჰესის მშენებლობის მარჯვენა ნაპირის დასახლების გუდავისა და ბარღების სკოლებს, და ნაყოფიერადაც.

რესპუბლიკის პიონერ-მოსწავლეები ბეჯითი სწავლით პასუხობენ მათზე უფროსი მეგობრების ზრუნვას. ამჟამად საქართველოს სასკოლო კომკავშირი თავის რიგებში 196 ათასზე მეტ წევრს აერთიანებს. ეს დიდი ძალაა, რომელმაც ღირსეულად უნდა გააგრძელოს უფროს თაობათა შესანიშნავი ტრადიციები.

მყარი და საფუძვლიანი ცოდნის შეძენა, ბრძოლა მაღალი აკადემიური მაჩვენებლებისათვის სასკოლო კომკავშირული ორგანიზაციების მთავარი ამოცანაა. სასკოლო კომკავშირის სისტემატური ზრუნვის საგანია საყოველთაო-სავალდებულო 8 წლიანი სწავლების განხორციელება და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლა, სწავლების პროცესის გაუმჯობესება და იდეურ-პოლიტიკური აღზრდის დონის ამაღლება.

ამ ამოცანის გადაჭრის გზები ფართოდაა მოცემული სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“.

მოსწავლე ახალგაზრდობის ჰარმონიული განვითარება, რომელშიც ორგანულადაა შერწყმული სულიერი სიმდიდრე, მორალური სიწმინდე და ფიზიკური სრულყოფა, წარმოადგენს ჩვენი ცხოვრების ეკონომიური და კულტურული დონის გამომხატველ ფაქტორს. ამიტომაც სასკოლო კომკავშირული ორგანიზაციები აქტიურად მონაწილეობენ როგორც სწავლების გაუმჯობესების, ისევე პრაქტიკულ საქმიანობაში მოსწავლეთა მიზიდვისათვის.

ახალგაზრდობის პროფესიულ ორიენტაციას ემსახურება რესპუბლიკის სკოლებთან შექმნილი შრომისა და დასვენების ბანაკები და მოსწავლეთა ბრიგადები, შეხვედრები ხუთწლედების გმირებთან და წარმოების ნოვატორებთან, „ღია კარების დღეები“, დისპუტები, თემატური საღამოები, სკოლებში მოწყობილი კუთხეები და სტენდები, რომლებიც უფროსი თაობების სასახელო შრომით ტრადიციებზე მოგვითხრობენ.

მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადებმა ხელი შეუწყვეს ბავშვებს შორის მეგობრობისა და კოლექტივიზმის გრძნობის აღზრდას. ამ მიმართებით კარგად მუშაობს ზუგდიდის რაიონის სოფელ ახალსოფ-

ლის საშუალო სკოლის კომკავშირული ორგანიზაცია. სოფლის მეურნეობაში მაღალი მაჩვენებლებისათვის სკოლა ჯერ კიდევ სამამულო ომის წლებში დაჯილდოვდა საქართველოს სოფლის მეურნეობის სახალხო კომისარიატის გარდამავალი დროშით. მის კედლებში აღიზარდა 27 სოციალისტური შრომის გმირი. ამ შრომით ესტაფეტას სასახელოდ აგრძელებს სკოლაში შექმნილი მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადა. მისი ერთ-ერთი წევრი ნუგზარ ქადარია აღიზარდა ოჯახში, რომელშიც 4 სოციალისტური შრომის გმირია. გასულ წელს ბრიგადის წევრებმა 13 ჰექტარზე მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 100 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, რისთვისაც მოსკოვში გამართულ მოსწავლეთა საკავშირო შეკრებაზე სკოლა „ბელარუსის" მარკის ტრაქტორით დაჯილდოვდა.

კარგ წარმატებებს მიაღწია მახარაძის რაიონის სოფელ გურიანთის საშუალო სკოლის მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადამაც. რომელმაც კოლმეურნეობას დიდად შეუწყო ხელი ჩაის კრეფის ტემპების დაჩქარებაში.

ზესტაფონის რაიონის სოფელ ზედასაზანოს საშუალო სკოლის მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადის წევრთა ინიციატივით შეიქმნა ბუნების დაცვის შტაბი, რომელმაც მიზნად დაისახა თევზისა და ფრინველის გამრავლება და მატერიალური კულტურის ძეგლთა მოვლა-პატრონობა. თვითეულმა მოსწავლემ ვალდებულება აიღო დაერგო და გაეხარებინა 4—5 ძირი ხე და ბუჩქი. რისთვისაც მოაწყვეს ვაშლის, მსხლის, ატმის, დაფნისა და სხვა მცენარეთა სანერგე, სწორედ მოსწავლეთა კეთილი ხელი ატყვია ზედასაზანოში ამჟამად 20 ჰექტრზე გაშენებულ ტყეს.

მოსწავლე ახალგაზრდობის საზოგადოებრივი და შრომითი აქტივობა უფრო აამაღლა ორწლედმა „კომკავშირი — სოფლის სკოლას", კონკრეტულად განისაზღვრა კომკავშირის ამოცანა სოფლის სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებასა და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის დონის ამაღლებაში.

დუშეთის კომკავშირულმა ორგანიზაციებმა შეფობა აიღეს საშუალო, რვაწლიანი და დაწყებითი სკოლების მშენებლობებზე. არაგვის პირის მეევნახეობა-მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის კომკავშირელებისა და ახალგაზრდების აქტიური მონაწილეობით აშენდა ბულაჩაურის რვაწლიანი სკოლა, მოეწყო სპორტული მოედნები, სკოლის სამოსწავლო ნაკვეთში გაშენდა ახალი ნარგავები.

ლაგოდეხის რაიონის სოფლის სკოლების მოსწავლეების, კოლ-მეურნეობებისა და წარმოება-დაწესებულებების ახალგაზრდობის ძალებით მიმდინარე წელს დიდი სამუშაოები შესრულდა სპორტული კომპლექსის მშენებლობაზე, შეკეთდა მარტივი ტიპის სპორტული მოედნები, კეთილმოეწყო სოფლის გზები და სხვა.

მაიაკოვსკის რაიონის კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ორწლეულის მანძილზე დარგეს 5 ათასი ძირი მცენარე, სკოლებში შეიქმნა უფროსკლასელთა სარემონტო ბრიგადები, ხელმარჯვე ოსტატთა რაზმები, რომლებშიც 200-ზე მეტი ახალგაზრდა გაერთიანდა.

სულ რესპუბლიკაში ამჟამად 190-ზე მეტი სარემონტო-საშენებლო რაზმია, რომელთა საქმიანობა მჭიდროდ დაუკავშირდა მე-9 ხუთწლიანი გეგმის შესრულებაში ახალგაზრდობის როლის ამაღლებას.

1971 წელი საქართველოს კომკავშირმა დაწყებით სკოლებზე შეფობის წლად გამოაცხადა. მართალია ორწლედი „კომკავშირი — სოფლის სკოლას“ დამთავრდა, მაგრამ სოფლის სკოლებზე კომკავშირული ორგანიზაციების შეფობა კვლავ გრძელდება და მომავალში უფრო მეტ განვითარებას საჭიროებს.

უფროსების მხარდამხარ თავდადებით შრომობს საქართველოს პიონერთა ორგანიზაციის 450 ათასიანი არმია. პიონერებს შექმნილი აქვთ ნორჩ მევენახეთა, მეჩაიეთა, მესიმინდეთა რგოლები. ისინი აქტიურად მონაწილეობენ ჯართისა და მაკულატურის შეგროვებაში. რესპუბლიკის კომკავშირის ნახევარსაუკუნოვანი იუბილეს აღსანიშნავად პიონერებმა შეაგროვეს 600 ტონა მაკულატურა და ათასობით ტონა შავი და ფერადი ლითონი.

ქუთაისის პიონერთა მიერ შეგროვილი ჯართით აიგო მცირეგაბარიტიანი ტრაქტორები, რომლებიც ამჟამად მუშაობენ წყალტუბოს, თერჯოლის, ორჯონიკიძის რაიონების საკოლმეურნეო მინდვრებზე.

1971 წლის 22 მაისი დაუვიწყარი იქნება რესპუბლიკის პიონერებისათვის. რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროში საზეიმო ხაზზე დადგნენ რუსთაველი და რესპუბლიკის რაიონებიდან და ქალაქებიდან ჩამოსული პიონერები, რომელთაც მიიღეს გადაწყვეტილება მათ მიერ შეგროვილი ჯართის ენგურჰესის მეოთხე აგრეგატის მშენებლობაზე გამოყენების შესახებ.

კომკავშირული ორგანიზაციები ახალგაზრდობაში ორგანიზა-

ტორულ და მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას უშუალოდ უკავშირებენ მოზარდი თაობის იდეური რწმენის განმტკიცების, კულტურული დონის ამაღლებისა და ფიზიკური სრულყოფის დიდმნიშვნელოვან ამოცანებს.

მეორე საკავშირო ლენინურმა ჩათვლამ მკაფიოდ განსაზღვრა რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციების იდეურ-პოლიტიკური მუშაობის პროფილი სკკპ XXIV ყრილობის, რესპუბლიკის საიუბილეო თარიღებისა და საქართველოს კომკავშირის 50 წლისთავისაოვის მზადებისა და ჩატარების პერიოდში. ჩვენმა ახალგაზრდობამ ლენინური ჩათვლის სახით წარმატებით ჩააბარა პოლიტიკური და მოქალაქეობრივი სიმწიფის გამოცდა.

ახალგაზრდობას იტაცებს ჩვენი ეპოქის ყველაზე დიდი სულიერი ფასეულობა — მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრება. მხოლოდ იდეური რწმენით შეიარაღებულ ახალგაზრდობას შეუძლია წარმატებით გადაწყვიტოს ის დიდი ამოცანები, რომლებსაც მის წინაშე თანამედროვეობა აყენებს.

ამიტომ რესპუბლიკის კომკავშირი აღმზრდელობით მუშაობაში ფართოდ იყენებს ისეთ ნაცად ფორმებსა და შესაძლებლობებს. როგორიცაა კომკავშირული პოლიტიკური განათლების სისტემა, ლექციური პროპაგანდა, ახალგაზრდული პრესა, რადიო, ტელევიზია, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები და ინფორმაციის სხვა საშუალებები, ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდაში კომკავშირს მუდამ მხარში ედგნენ პარტიისა და კომკავშირის ვეტერანები, დიდი სამამულო ომის მონაწილეები, ხუთწლედების გმირები და წარმოების ნოვატორები, ლიტერატურის, ხელოვნებისა და მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენლები, ქალაქისა და სოფლის ახალგაზრდა ინტელიგენცია.

ახლა როცა ბურჟუაზიული იდეოლოგები მთელი მონდომებით ცდილობენ მოზარდი თაობა ჩამოაშორონ თანამედროვეობის აქტუალურ პრობლემებს. შეასუსტონ მისი კლასობრივი თვითშეგნება, რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციები კიდევ უფრო სრულყოფენ მუშაობის მეთოდებს და ყოველნაირად იბრძვიან ახალგაზრდობაში იდეურ-პოლიტიკური მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. ამ საქმეში ერთ-ერთ მძლავრ საშუალებად კომკავშირული პოლიტიკური განათლების წრეები და სემინარები ითვლება.

თანამედროვეობის აქტუალური პრობლემებისადმი ახალგა-

ზრდობის დიდ ინტერესზე მიუთითებს ის, რომ 1970—1971 სასწავლო წელს კომკავშირული პოლიტსწავლების ყველა ფორმაში გაერთიანებული იყო 218 ათასზე მეტი კომკავშირელი და ახალგაზრდა, მათ შორის 35 ათასზე მეტი მსმენელი ვ. ი. ლენინის ბიოგრაფიის შემსწავლელ წრეებში მეცადინეობდა. კომკავშირის ისტორიას სწავლობდა 54 ათასი ახალგაზრდა, პარტიულ პოლიტგანათლებაში პოლიტიკური ცოდნის დონეს იმაღლებდა 47 ათასი კომკავშირელი და ახალგაზრდა. პარტიის XXIV ყრილობის დოკუმენტები შესწავლილ იქნა ყველა პოლიტწრესა და სემინარში, გარდა ამისა, რესპუბლიკის კომკავშირულ ორგანიზაციებში ამ მიზნით დამატებით შეიქმნა 400-ზე მეტი წრე.

პარტიული ორგანიზაციები ახალგაზრდობის პოლიტიკური განათლებისადმი მუდამ დიდ ყურადღებასა და მზრუნველობას იჩენდნენ. რესპუბლიკის კომკავშირის საიუბილეო წელს კომკავშირული პოლიტგანათლების წრეებისა და სემინარების ხელმძღვანელთა 67 პროცენტი პარტიის წევრი და კანდიდატია. ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს წლების მანძილზე დაუღალავად ემსახურებიან გამოცდილი მეცნიერ-მუშაკები, პედაგოგები, ინჟინრები, აგრონომები, კომკავშირული მოძრაობის ვეტერანები, დიდი სამამულო ომის მონაწილეები, რომლებსაც უნარი შესწევთ ახალი საგმირო საქმეებისათვის დარაზმონ ჩვენი ახალგაზრდობა.

კომკავშირულ ორგანიზაციებს მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობაში აქტიურად ეხმარებიან ჩვენი საუკეთესო პროპაგანდისტები: თბილისის 88-ე საშუალო სკოლის დირექტორი ივანე გიორგაძე, ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის ინჟინერი ლევან გამყრელიძე, ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალის უფროსი მეცნიერ-მუშაკი თამარ ცხვედიანი, ჩხოროწყუს სოფლის მეურნეობის სამმართველოს ინჟინერ-მექანიზატორი ანზორ ჩიქოვანი, ქობულეთის რაიონის ქვედა ულიანოვკის სკოლის მასწავლებელი ნაზი ფალავანდიშვილი, ამიერკავკასიის ჰიდრომეტეოროლოგიური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე შალვა ბურაბანიძე და მრავალი სხვა.

კომკავშირული პოლიტგანათლების ქსელში 1971—1972 სასწავლო წლისათვის მზადება რესპუბლიკის კომკავშირის ნახევარსაუკუნოვანი იუბილეს საზეიმოდ აღნიშვნის ნიშნით წარიმართა. სწორედ ახალი სასწავლო წლისათვის მზადებასა და სხვა საინტერესო საკითხებს

მიეძღვნა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მიერ მიმდინარე წლის აგვისტოს ბოლოს მოწვეული კომკავშირის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნებისა და ახალგაზრდობის პოლიტიკური განათლების მეთოდური საბჭოების თავმჯდომარეთა რესპუბლიკური სემინარი.

რესპუბლიკის კომკავშირის მთელი იდეოლოგიური მუშაობის არსენალი იქითკენაა მიმართული, რომ სკკპ XXIV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების, მეცხრე ხუთწლიანი გეგმის დირექტივების, პარტიისა და კომკავშირის უმნიშვნელოვანესი დადგენილებების შესწავლა მჭიდროდ დაუკავშირდეს თვითეული საწარმოს, კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობისა თუ სამშენებლო ობიექტის წინაშე მდგომ კონკრეტულ ამოცანებს. ამას ემსახურება ახალი საკავშირო ლენინური ჩათვლა „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებები — ცხოვრებაში", რომელიც 3 ეტაპად ტარდება.

საქართველოს კომკავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის მზადების პერიოდში კიდევ უფრო გაამრავალფეროვნეს მუშაობა ახალგაზრდულმა პრესამ, ტელევიზიამ და რადიომ.

ახალგაზრდობის მოწონებას იმსახურებენ ჟურნალები „ცისკარი", „პიონერი", „დილა".

ახალგაზრდული ჟურნალ-გაზეთების ავტორიტეტს ცხადყოფს ის, რომ ყოველწლიურად იზრდება მათი ტირაჟი. რესპუბლიკის კომკავშირის ნახევარსაუკუნოვანი იუბილეს წელს გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" საერთო ტირაჟი 186 ათასს შეადგენს, „მოლოდიოჟ გრუზიისა" — 48 ათასს, „ნორჩი ლენინელისა" — 383 ათასს, „ცისკრისა" — 30 ათასს, „პიონერისა" — 125 ათასს, „დილასი" — 150 ათასს.

როდესაც მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე ვლაპარაკობთ, გვერდს ვერ ავუვლით ლექციური პროპაგანდის, ახალგაზრდობის წინაშე გამოსვლების მნიშვნელობას. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ინფორმაციის ვერავითარი საშუალება ვერ შეცვლის ცოცხალ სიტყვას. ლექტორის უშუალო ურთიერთობა მსმენელებთან შესაძლებელს ხდის ღრმად და საფუძვლიანად გაშუქდეს ესა თუ ის თემა.

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის, საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავის მზადებისას პრაქტიკაში ფართოდ დაინერგა ხელმძღვანელი

პარტიული. საბჭოთა. პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკების გამოსვლები ლენინურ თემატიკასა და საზოგადოებრივი ცხოვრების აქტუალურ პრობლემებზე. რესპუბლიკის კომკავშირულ ორგანიზაციებში პერიოდულად გამოდიოდნენ კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები, ცენტრალური კომიტეტის. წევრები, წევრობის კანდიდატები და სარევიზიო კომისიის წევრები. ახალგაზრდულ აუდიტორიებში ხელმძღვანელი პარტიული და კომკავშირული მუშაკების გამოსვლების პრაქტიკა გაგრძელდა რესპუბლიკის კომკავშირის 50 წლისთავისათვის მზადების პერიოდშიც.

სასახელო ტრადიციებზე ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში სასარგებლო ღონისძიებებს ატარებენ კომკავშირის კომიტეტებთან შექმნილი კომკავშირული მოძრაობის ვეტერანთა საბჭოები. ეს ის თაობაა, რომელიც საფუძველს უყრიდა საქართველოს კომკავშირს, ქმნიდა ახალ უჯრედებს და იბრძოდა პარტიის პოლიტიკის ცხოვრებაში გატარებისათვის. ისინი ახლაც ენერგიულად განაგრძობენ კეთილშობილურ საქმეს, 20-იანი წლების კომკავშირის რევოლუციურ ბრძოლებსა და სოციალიზმის მშენებლობაში მათ მონაწილეობაზე საუბრებით გამოდიან ახალგაზრდობის წინაშე. კომკავშირელებს ეხმარებიან ფოტოალბომების შედგენაში, კომკავშირული ორგანიზაციების ისტორიის ამსახველი გამოფენების მოწყობაში, მონაწილეობენ თაობათა შეხვედრებში, თემატურ საღამოებსა და სხვა მასობრივ-პოლიტიკურ ღონისძიებებში, რომლებსაც კომკავშირული ორგანიზაციები რესპუბლიკის კომკავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად ატარებენ ფაბრიკა-ქარხნებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში.

ამ მუშაობას ხელმძღვანელობენ საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული კომკავშირული მოძრაობის ვეტერანთა საბჭოს წევრები, რომლებიც სისტემატურად ხვდებიან ახალგაზრდობას, ესწრებიან რაიონული და საქალაქო კომკავშირული ორგანიზაციების მიერ მოწყობილ ღონისძიებებს, აგროვებენ მასალებს რესპუბლიკის კომკავშირის ისტორიიდან, მონაწილეობენ კომკავშირული პოლიტგანათლების წრეებისა და სემინარების მუშაობაში და სხვა, რაც ხელს უწყობს ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის შემდგომ გაუმჯობესებას.

შინაარსიანად წარმართავს მუშაობას კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ლექტორთა ჯგუფი, რომელსაც აქტიურად ეხმარებიან თადარიგის გენერლები ნიკოლოზ თავართქილაძე, გიორგი ყურაშვილი, მიხეილ მიქელაძე, თადარიგის პოლკოვნიკი გრიგოლ კანჩაველაძე, მარუხის ბრძოლების მონაწილე ვასილ რუხაძე და სხვები.

ისინი გულმოდგინედ და გატაცებით ასრულებენ ყოველგვარ დავალებებს. უკანასკნელ წლებში რესპუბლიკის თითქმის ყველა ქალაქსა და რაიონში, მაღალმთიან სოფლებში იმოგზაურეს ცენტრალური კომიტეტის ლექტორთა ბრიგადებმა, რომლებმაც ადგილებზე საინტერესო ღონისძიებები მოაწყვეს.

კომკავშირელებსა და ახალგაზრდობაში ფართო აღიარება ჰპოვა საბრძოლო დიდების მუზეუმების, ოთახებისა და კუთხეების შექმნამ, სიმამაცის გაკვეთილებმა, ჭაბუკებისა და ქალიშვილების გამოცდამ ფიზიკურ და სამხედრო-ტექნიკურ მომზადებაში.

საბრძოლო დიდების ასობით მუზეუმი და ოთახი გაიხსნა რესპუბლიკის საკოლმეურნეო და სასოფლო კომკავშირულ ორგანიზაციებში, რომლებსაც დიდი სამამულო ომის მონაწილეები ეხმარებოდნენ. ხოლო თადარიგის ოფიცერმა ირაკლი ყანდარელმა ითავა გორში საზოგადოებრივ საწყისებზე საბრძოლო დიდების შესანიშნავი მუზეუმის მოწყობა, რომელიც ათასობით კომკავშირელმა და ახალგაზრდამ დაათვალიერა.

საბჭოთა ხალხის გმირულ ტრადიციებზე, პარტიის საქმის ერთგულების სულისკვეთებით ქალიშვილებისა და ჭაბუკების აღზრდის ნამდვილ მასობრივ სკოლად იქცა კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის ლაშქრობა რევოლუციურ, საბრძოლო და შრომითი დიდების ადგილებში. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ასეთი სახის ლაშქრობა რესპუბლიკაში და მის ფარგლებს გარეთ 600-ჯერ მოეწყო მათში მონაწილეობდა 43 ათასი ახალგაზრდა.

ლაშქრობის წარმატებას ხელი შეუწყო საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მიერ ტურიზმის რესპუბლიკურ საბჭოსთან ერთად შედგენილმა მარშრუტებმა, რომლებიც მოიცავენ რესპუბლიკის მუშათა კლასისა და გლეხობის რევოლუციური ბრძოლების ადგილებს, პირველი კომკავშირული უჯრედების ცენტრებსა და ა. შ.

ლაშქრობების, ექსპედიციებისა და შეხვედრების დროს შეკრებილი მასალებით ბევრ პირველად კომკავშირულ ორგანიზაციაში შე-

იქმნა საბრძოლო და შრომითი დიდების მუზეუმი, ოთახი და კუთხე.

საქართველოს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა ლაშქრობის ახალი ეტაპი მიუძღვნა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კავშირის შექმნის 50 წლისთავს, რომელსაც მთელი ჩვენი ხალხი 1972 წლის დეკემბეოში საზეიმოდ აღნიშნავს.

გასულ წელს ფიზიკურ და სამხედრო-ტექნიკურ მომზადებაში ჩატარებულმა დათვალიერება-გამოცდამ ცხადჰყო, რომ მოინახა ისეთი ახალი ფორმა, რომელიც საშუალებას იძლევა გავაუმჯობესოთ და უფრო ეფექტური გავხადოთ პირველადი კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობა ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდისა და ფიზკულტურისა და სპორტის მასობრიობისათვის

სპორტულ სექციებსა და სამხედრო-ტექნიკურ წრეებში ახალგაზრდობის მასობრივი ჩაბმით კარგ შედეგებს მიაღწიეს ბათუმის საზღვაო-სანაოსნო სასწავლებლის, თბილისის პოლიტექნიკური და მანქანათმშენებლობის ტექნიკუმებისა და სხვა. კომკავშირულმა ორგანიზაციებმა.

დათვალიერების ჩატარებას სრული პასუხისმგებლობით მოეკიდა თბილისის დიმიტროვის სახელობის ქარხნის კომკავშირული ორგანიზაცია. კომკავშირელებმა და ახალგაზრდებმა საკუთარი ძალებით ააგეს სპორტული კომპლექსი, შეაკეთეს ქარხნის საერთო საცხოვრებლის სპორტული მოედნები, სპორტის 12 სახეობაში ჩაატარეს სპარტაკიადა. მრავალმა ახალგაზრდამ მონაწილეობა მიიღო წვევამდელთა საქალაქო სპარტაკიადაში. მომზადდა 32 საზოგადოებრივი მწვრთნელი და სპორტის სხვადასხვა სახეობის 105 მსაჯი. ქარხანაში არსებულ სექციებსა და ტექნიკურ წრეებში გაერთიანებული იყო 2453 ქალიშვილი და ჰაბუკი. დათვალიერება-გამოცდის მსვლელობაში 315 ახალგაზრდამ შეასრულა სპორტული თანრიგი, 1732-მა — ნორმატივი „მზად ვარ სამშობლოს დასაცავად“ და „მზად ვარ შრომისა და თავდაცვისათვის“, ხოლო ასობით ახალგაზრდა დაეუფლა სამხედრო-ტექნიკურ სპეციალობებს.

დათვალიერების პერიოდში რესპუბლიკის კომკავშირის ძალებით აშენდა და შეკეთდა 400-ზე მეტი სპორტული ნაგებობა.

საინტერესოდ წარმართა მუშაობა გარდაბნის რაიონის ვარკეთილის საბჭოთა მეურნეობის კომკავშირულმა ორგანიზაციამ. მეურნეობამ თავისი სახსრებიდან ახალგაზრდობას გამოუყო გარკვეული თანხა, სამშენებლო მასალები, მშენებელთა ბრიგადა, მაგრამ მთავა-

რი სამუშაოები მაინც სპორტსმენებმა და ფიზკულტურელებმა შეასრულეს. მოეწყო შაბათობები. აშენდა ვრცელი სპორტული დარბაზი, საცურაო აუზი, სტადიონი, მოეწყო კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები.

გარდაბნელთა ინიციატივას ფართოდ გამოეხმაურნენ მახარაძის, კასპის, გურჯაანის, ყვარელის, ახალციხის და სხვა რაიონების კომკავშირელები და ახალგაზრდები, რომლებმაც აგრეთვე თავისი ძალებით ააშენეს სპორტული ნაგებობები.

დიდია სპორტის განვითარებაში რესპუბლიკის კომკავშირის წვლილი. კომკავშირში აღზრდილებმა ბევრჯერ დაიცვეს საბჭოთა სპორტის ღირსება ევროპისა და მსოფლიო პირველობებზე.

საქართველოს კომკავშირისათვის საამაყოა, რომ მის რიგებში აღიზარდნენ ისეთი გამოჩენილი სპორტსმენები, როგორიც არიან ნონა გაფრინდაშვილი, ალექსანდრე მეტრეველი, რომან რურუა, ვიქტორ სანეევი, ნანა ალექსანდრია, თინა ლეკვეიშვილი, შოთა ლომიძე და ბევრი სხვა, რომლებმაც სახელი და დიდება მოუხვეჭეს ქართულ სპორტს. ბევრი ჩვენი სპორტსმენი სულ ახლახან, ივლისში მოსკოვში გამართულ ხალხთა მეხუთე სპარტაკიადის ჩემპიონიც გახდა, მაღალი სპორტული მაჩვენებლებისათვის გამარჯვებულთ მიენიჭებული აქვთ საკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის სამკერდე ნიშნები „სპორტული მამაცობისათვის".

როდესაც ჩვენი ახალგაზრდა მუშების, კოლმეურნეების, მშენებლების, მომსახურების სფეროს მუშაკების, სტუდენტი ახალგაზრდობის, მოსწავლეებისა და რესპუბლიკის სპორტსმენების მიღწევებზე ვლაპარაკობთ, უნდა შევეხოთ ქალაქისა და სოფლის ახალგაზრდა ინტელიგენციის წარმატებებსაც, იმ დიდ წვლილს, რომელიც მათ შეაქვთ ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის საქმეში.

საქართველოს კომკავშირის ნახევარსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ახალგაზრდა ინტელიგენციის წინაშე მუდამ კონკრეტული ამოცანა იდგა. იგი თავის გამოხატულებას პოულობდა და პოულობს ახალგაზრდობის კულტურულ-ესთეტიკური მოთხოვნების დაკმაყოფილებაში, ქალაქისა და სოფლის კეთილმოწყობაში, სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის გაშლასა თუ ადამიანის ჯანმრთელობაზე ზრუნვაში; ერთი სიტყვით, ახალგაზრდა შემოქმედებითი ძალები კომკავშირს მუდამ მხარში ედგა სოფლად კულტურული დო-

ნის ამაღლებისათვის გამოცხადებულ დიდ ლაშქრობაში და თავისი ღირსეული წვლილი შეიტანდა ქართული კულტურის აყვავებაში.

ერთობლივმა მუშაობამ, ქართული ლიტერატურის, ხელოვნებისა და მეცნიერების განვითარების საკითხებით რესპუბლიკის კომკავშირის ღრმად დაინტერესებამ დასაბამი მისცა ბევრ სასარგებლო ინიციატივას.

საკმარისია დავასახელოთ ამ ათიოდე წლის წინათ კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტთან შექმნილი ახალგაზრდობის ესთეტიკური აღზრდის კომისია და გავეცნოთ მის მიერ ჩატარებულ ღონისძიებებს და თვალსაჩინო გახდება ახალგაზრდა ინტელიგენციისადმი კომკავშირის ხელმძღვანელობის ნაყოფი.

ახალი ნაწარმოებების გარჩევები, შემოქმედებითი მივლინებები ახალგაზრდულ კოლექტივებში, ახალგაზრდული ფესტივალების, დღესასწაულებისა და სხვა მასობრივი ღონისძიებების მოწყობა, შეხვედრები მხატვრული სიტყვის გამოჩენილ ოსტატებთან, ახალგაზრდა შემოქმედებითი ინტელიგენციისა და მეცნიერი ახალგაზრდობის რესპუბლიკური სემინარები ბაკურიანში, მატერიალური კულტურის ძეგლებზე შეფობის აღება, ქალაქებსა და რაიონებში მომუშავე ახალგაზრდა შემოქმედებისადმი დახმარება, მათი ნამუშევრების გამოფენა-განხილვები, სტუდენტი დიპლომანტების რესპუბლიკური გამოფენები, საკავშირო და საერთაშორისო კონკურსებსა და გამოფენებში მონაწილეობა, ახალგაზრდობის თემაზე საუკეთესო ნაწარმოებების შექმნისა და მეცნიერული დარგების განვითარებისათვის საკავშირო კომკავშირისა და საქართველოს კომკავშირის სახელობის პრემიების დაწესება, — აი მოკლედ ის სასარგებლო საქმეები, რომელთაც საფუძველი ესთეტიკური აღზრდის კომისიის მუშაობამ ჩაუყარა, რასაც ამჟამად აგრძელებენ კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ახალგაზრდა მწერლების, მხატვრების, კომპოზიტორების, არქიტექტორების, ჟურნალისტების, თეატრისა და კინოს მუშაკების სექციები და კომკავშირის კომიტეტებთან შემოკრებილი ახალგაზრდა ინტელიგენციის წარმომადგენლები.

სასიამოვნოა იმის აღნიშვნა, რომ საკავშირო ლენინური კომკავშირის სახელობის პრემიის პირველ ლაურეატთა შორის არის მწერალი ნოდარ დუმბაძე, რომლის ნაწარმოებებს იმთავითვე დიდი მოწონება და აღიარება ხვდა წილად როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ.

მაღალმხატვრული და მაღალიდეური ნაწარმოებების შექმნისა და საშემსრულებლო ოსტატობისათვის საქართველოს კომკავშირის სახელობის პრემიის ლაურეატების საპატიო წოდება სხვადასხვა დროს მინიჭებული აქვთ კომპოზიტორ რევაზ ლაღიძეს, კინორეჟისორებს რევაზ ჩხეიძეს, ელდარ შენგელაიას და თამაზ მელიავას, პოეტებს ჯანსუღ ჩარკვიანსა და რევაზ ამაშუკელს, მწერლებს მერაბ ელიოზიშვილს და ნოდარ წულეისკირს, მხატვრებს დიმიტრი ერისთავს და იოსებ ქოიავას, მომღერალ ზურაბ სოტკილავას, ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლს „გორდელას", ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს ქორეოგრაფიულ ანსამბლს „სინათლეს" (ხელმძღვანელი მ. ლომთათიძე), ახალგაზრდა მეცნიერებს ომარ აღდგომელაშვილს, ლიუდმილა ბენეთაშვილს, ზურაბ გენებაშვილს, გივი კახეთელიძეს, ნინო შათაშვილს, ჯიმშერ მაისურაძეს, ალბერტ სეფიაშვილს, დუგლას უგულავას, ელგუჯა ხინთიბიძეს.

რესპუბლიკის ახალგაზრდობას გულწრფელად ახარებს უდიდესი წარმატებები, რომლებიც ჩვენმა ახალგაზრდა მუსიკოსებმა, არქიტექტორებმა, კინომუშაკებმა, თეატრალურმა ახალგაზრდობამ მოიპოვეს საკავშირო და საერთაშორისო კონკურსებსა თუ ფესტივალებში.

ელისო ვირსალაძის, ლიანა ისაკაძის, ზურაბ სოტკილავას, მარინე ხვიტიას მაღალი პროფესიული ოსტატობის აღიარება იყო ჟიურის მიერ პირველი პრემიების ერთსულოვანი მინიჭება ისეთ წარმომადგენლობით და რთულ პაექრობაში, როგორიცაა ჩაიკოვსკისა და შუმანის სახელობის საერთაშორისო, იან სიბელიუსის სახელობის მეორე საერთაშორისო, ბარსელონის ვოკალისტთა მერვე საერთაშორისო, პარიზის მარგარიტა ლონგისა და ჟაკ ტიბოს სახელობის საერთაშორისო კონკურსები და სხვა.

რესპუბლიკის კომკავშირის 50 წლისთავს ახალი წარმატებებით ხვდებიან ახალგაზრდა შემოქმედებითი და სამეცნიერო ინტელიგენციის სხვადასხვა დარგების წარმომადგენლები. სიჭაბუკის ამ დიდი ზეიმის აღსანიშნავად შეიქმნა ბევრი ლექსი, მხატვრული ნარკვევი და მოთხრობა, გამოქვეყნდა სხვადასხვა სახის გამოკვლევები, დაიწერა ახალი მუსიკალური ნაწარმოებები, გაიხსნა ახალგაზრდა მხატვართა რესპუბლიკური საიუბილეო გამოფენა, საინტერესოდ წარმართავს თავის მუშაობას თეატრალური ახალგაზრდობა.

მესხეთის თეატრის ახალგაზრდული კოლექტივი ხშირად აწ-

ყობს გამსვლელ სპექტაკლებს და თავისი ხელოვნებით ჰეშმარიტ სიამოვნებას ანიჭებს ასპინძის, ადიგენისა და ახალციხის რაიონების მშრომელებს.

სოფლად კულტურული დონის ამაღლება და ახალგაზრდობის თავისუფალი დროის პრობლემა თანამედროვე პირობებში პარტიისა და კომკავშირის განსაკუთრებული ზრუნვის საგანია.

ამ საქმეში დიდია ჩვენი ინტელიგენციის როლი, ინტელიგენციისა, რომელიც აქტიურად მონაწილეობს სოფლად არსებულ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობაში, ხელმძღვანელობს ახალგაზრდობის მხატვრულ თვითშემოქმედებას, ფართო პროპაგანდას უწევს ჩვენი ხალხის კულტურულ მიღწევებს და სასახელო ტრადიციებს.

საკმარისია ითქვას, რომ ამჟამად რესპუბლიკის კულტ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს 10 ათასამდე მუშაკი ემსახურება, რომელთა შორის 5.400 უმაღლესი განათლებითაა.

ახალგაზრდა ინტელიგენციის წარმომადგენლები აწყობენ მხატვრული თვითშემოქმედების დათვალიერებებს, დრამატული კოლექტივების გამოსვლებს, ატარებენ სხვადასხვა კონკურსებს, ქმნიან აგიტბრიგადებს და მართავენ კითხვა-პასუხის, დასვენების საღამოებს და საშეფო კონცერტებს; აგროვებენ ხალხურ საუნჯეს, აწყობენ ახალგაზრდა შემოქმედთა და ნიჭიერი ბავშვების ნამუშევრების ჯამოფენებს, სისტემატურად ხვდებიან ლიტერატურის, ხელოვნებისა და მეცნიერების გამოჩენილ მოღვაწეებს, სათავეში უდგანან სახალხო დღესასწაულებს, მიზნობრივ ექსკურსიებსა და ლაშქრობებს ისტორიულ ადგილებში.

ქართული და საბჭოთა ლიტერატურის მიღწევების პროპაგანდას ისახავდა მიზნად რესპუბლიკის კომკავშირულ ორგანიზაციებში მიმდინარე წლის 1 აპრილიდან ჩატარებული წიგნის პროპაგანდისა და გავრცელების ერთთვიური, რომელიც საქართველოს საიუბილეო თარიღებს მიეძღვნა. ერთთვიურის პერიოდში კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის მიერ მოეწყო ათობით შეხვედრა ქართველ მწერლებთან და ხელოვნების მუშაკებთან, გავრცელდა მილიონამდე მანეთის ლიტერატურა, მათგან მარტო სოფლად 689 ათას მანეთამდე ღირებულებისა.

სოფლად კულტურული დონის ამაღლებაში მნიშვნელოვანი

წვლილი შეაქვთ ქალაქის ახალგაზრდა შემოქმედებით ინტელიგენციასა და ჩვენს სტუდენტ ახალგაზრდობას.

იმ მრავალ ღონისძიებათა შორის, რომლებიც საქართველოს კომკავშირის ნახევარსაუკუნოვანი იუბილესათვის მზადებას მიეძღვნა, უნდა ცალკე გამოვყოთ ახალგაზრდობის რესპუბლიკური აგიტლაშქრობა. იგი საქართველოს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქაროველოს პროფსაბჭომ, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ, კულტურის სამინისტრომ და საზოგადოება „ცოდნამ" 1971 წლის იანვარში გამოაცხადეს და მიუძღვნეს სკკპ XXIV ყრილობას, რესპუბლიკის საიუბილეო თარიღებსა და საქართველოს კომკავშირის 50 წლისთავს.

აგიტლაშქრობის პირველი ეტაპი ივნისში შეჯამდა და ასეთი სურათი წარმოგვიდგა: ახალგაზრდა მეცნიერებმა, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებმა რესპუბლიკის 5 ათასზე მეტ ორგანიზაციაში ჩაატარეს მასობრივ-პოლიტიკური და კულტურული ღონისძიებები, წაიკითხეს ლექცია-მოხსენებები ვ. ი. ლენინის მემკვიდრეობის საკითხებზე, სკკპ XXIV ყრილობის დოკუმენტებსა და გადაწყვეტილებებზე, პარტიისა და კომკავშირის გმირულ ისტორიაზე, საბჭოთა კავშირის საგარეო და საშინაო პოლიტიკის პრობლემებზე, საბჭოთა საქართველოს მიღწევებზე.

უშუალოდ საწარმოო უბნებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, მშენებლობებსა და ტრანსპორტზე ჩატარდა ლიტერატურული საღამოები, ზეპირი ჟურნალები და კონცერტები, მოეწყო გასვლითი საღამო-კონცერტები მაღალმთიან რაიონებში და ზამთრის საძოვრებზე.

აგიტლაშქრობის პირველი ეტაპის მაღალ დონეზე ჩატარებაში განსაკუთრებით აღსანიშნავია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომკავშირული ორგანიზაციის დამსახურება, იგი ამ სასარგებლო წამოწყების თაოსანია.

შინაარსიანი და ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარეს აგრეთვე თბილისის ა. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის, ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის, ქუთაისის ა. წულუკიძის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის აგიტმხატვრულმა ბრიგადებმა.

ამ მიმართებით საინტერესოდ მუშაობენ აგრეთვე სიღნაღის, ზუგდიდის, წყალტუბოს, თბილისის კალინინისა და 26 კომისრის

რაიონების კომკავშირული ორგანიზაციები, რომლებიც ფართო პროპაგანდას უწევენ საქართველოს ახალგაზრდობის სასახელო მიღწევებს შრომაში, სწავლაში, მეცნიერებაში, ლიტერატურაში, ხელოვნებასა და სპორტში.

მიღწევები კი, როგორც ვხედავთ, ძალზე ბევრი აქვს საქართველოს კომკავშირს. რესპუბლიკის ქალიშვილებისა და ჭაბუკების მაღალი აქტივობა თავის გამოხატულებას პოულობს სარეკორდო შრომით მაჩვენებლებში, ბეჯით სწავლასა და შემოქმედებითი ინტელიგენციის მიღწევებში.

საქართველოს კომკავშირმა არსებობის 50 წლის მანძილზე დაამტკიცა პარტიისა და ხალხის საქმისადმი უსაზღვრო ერთგულება და თავდადება. იგი ყოველწლიურად იზრდებოდა და მტკიცდებოდა პოლიტიკური და ორგანიზაციული თვალსაზრისით.

ყველა დასახელებული წარმატება და გამარჯვება რესპუბლიკის კომკავშირულმა ორგანიზაციებმა განვლილი ორმოცდაათი წლის მანძილზე პარტიული კომიტეტების სისტემატური დახმარებითა და მხარდაჭერით მოიპოვეს. სწორედ პარტია იდგა ახალგაზრდობის კომუნისტური მოძრაობის სათავესთან და ხელმძღვანელობდა მოზარდი თაობის რევოლუციურ ბრძოლებს. იგი ახალგაზრდობის ენერგიას მუდამ იყენებდა ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზული ამოცანების გადასაწყვეტად.

ასე იზრდებოდა და იწრთობოდა საქართველოს კომკავშირი, რომლის რიგებში ამჟამად 188 ათასზე მეტი მუშა და კოლმეურნე, 9.200-ზე მეტი ინჟინერი, აგრონომი, ვეტექიმი და ზოოტექნიკოსია. მოზარდი თაობის აღზრდას ემსახურება 8439 კომკავშირელი პედაგოგი და 3 ათასზე მეტი ლიტერატურისა და ხელოვნების ახალგაზრდა მუშაკი; 5.000 ახალგაზრდა კომუნისტი არჩეულია კომკავშირული ჯგუფის, საამქროს, ბრიგადის, ცვლის, ფაკულტეტისა და სხვა პირველადი ორგანიზაციის მდივნად, 11 ათასზე მეტი კომკავშირელი და ახალგაზრდა არჩეულია სასოფლო, რაიონული, საქალაქო, საოლქო მშრომელთა დეპუტატების საბჭოებისა და რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

უკანასკნელ წელიწადნახევარში რესპუბლიკის კომკავშირის რიგებს 120 ათასამდე ახალი წევრი შეემატა. საერთო წარმატებებისათვის დაუღალავად იბრძვის 63 ეროვნების წარმომადგენელი, რომ-

ლებიც ღირსეულად აგრძელებენ ერთა შორის ძმობისა და მეგობრობის დიდებულ ტრადიციებს. სწორედ ინტერნაციონალურ მეგობრობაშია კომკავშირული ორგანიზაციების ძლიერების წყარო.

ნახევარმილიონიანი საქართველოს კომკავშირი დიდ ძალას წარმოადგენს, რომელსაც შესწევს უნარი დარაზმოს ახალგაზრდობა პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში განხორციელებისათვის.

„მიხარია, რომ ჩემი საყვარელი კომკავშირი დიდ ძალად გადაიქცა, ნამდვილად მთელი ახალგაზრდობა მოიცვა. კომკავშირული ბილეთი თავის დროზე შეგნებულად არ ჩავაბარე და დღესაც პარტიულ ბილეთთან ერთად სათუთად ვინახავ. თუ ახლაც რაიმეში გამოვდგები, მზად ვარ, რაც შემიძლია ვემსახურო კომკავშირს“, — წერს კომკავშირული მოძრაობის ვეტერანი, ამჟამად სოხუმში მცხოვრები პარმენ პაპასკირი და ეს ერთეული შემთხვევა როდია. იუბილესათვის მზადების პერიოდში ბევრი ასეთი გულთბილი წერილი მიიღო საქართველოს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა.

ამ საზეიმო დღეებში ჩვენ ერთხელ კიდევ დიდი მადლიერებით ვიხსენებთ ყველას, ვინც ახალგაზრდული შეუპოვრობით იბრძოდა რესპუბლიკის კომკავშირის სახელისა და დიდებისათვის, ვინც დღესაც კომკავშირულ ორგანიზაციებს მხარში უდგას ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის საქმეში.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ საქართველოს კომკავშირის ნახევარსაუკუნოვანი იუბილე ესაა ჩვენი ახალგაზრდობის ბრძოლისუნარიანობისა და დარაზმულობის დიდი დათვალიერება, რომელიც საშუალებას გვაძლევს განვამტკიცოთ და განვავითაროთ სახელოვანი მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და სახალხო ინტელიგენციის შრომისა და შემოქმედების ღირსეული ტრადიციები. ამიტომაც რესპუბლიკის კომკავშირელები და ახალგაზრდები საზეიმოდ აცხადებენ: ვიშრომებთ, ვიბრძოლებთ და ვისწავლით ისე, როგორც ამას გვასწავლიდა ვ. ი. ლენინი. ჩვენ აღვუთქვამთ პარტიასა და მშობელ ერს, რომ თვითეული ჩვენგანი იქნება უფროსი თაობის ღირსეული მემკვიდრე, მისი საქმის დამცველი და გამგრძელებელი.

რედაქტორი გ. გელაშვილი
მხატვრული რედაქტორი ი. ვასილკოვსკი
ტექნიკური რედაქტორი რ. ცხვარაძე

●

ხელმოწერილია დასაბეჭდად 21/IX-71 წ.
ქაღალდის ზომა 60×90 1/16.
ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 6,5.
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,21
შეკვ. № 2988. ტირაჟი 5.000 უე 08530

●

ფასი 10 კაპ.

●

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა,
თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии,
Тбилиси, ул. Ленина, 14.